# ვერსია

ფასი 40 თეთრი

№9 (765) 28 - 29 იანვარი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი


# 20 გვერდი

## ექსკლუზიური ინტერვიუ „პატარა ბიძინასთან“!

ოლეგ იაძე ბიძინა ივანიშვილთან შესახვედრად ემზადება, კასპში 10-ათასიანი მიტინგის მოწყობას იქადნის და „რესპუბლიკელებს“ განხეთქილებაში ბრალს სდებს!

გვ. 3

ოლეგ იაძე: „ბიძინა ივანიშვილი 8 წელი უნდა იყოს საქართველოს პრეზიდენტი, რადგან სააკაშვილისნაირი ველარ მოგვერიოს!“

## თებერვლის ბოლოდან საქართველოში „სამედიცინო საჩხერიზაცია“ იწყება?!

შეეხება თუ არა საყოველთაო დაზღვევა გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას და როდიდან მიიღებენ რეგრესის პენსიონერები, ომის ინვალიდები და ვეტერანები კომპენსაციას

გვ. 4

ლიტო ველოვანი

## დაახლე პირდაპირ... ფეხებში

ის, რაც ხდებოდა წინა კვირაში

გვ. 2

## ფიქრია ჩიხრაძე სამთვიან დუმილს არღვევს – „ოცნებას“ სკანდალურ ბრალდებებს უყენებს

გვ. 5

„ახლების“ ახალ ღიდერს „ნაციონალებისა“ და ახალი ხელისუფლების კოჰაბიტაცია ეკათაგვობანას აგონებს!

## თბილისის მერიის „მიწების მაფია“ და ნაკვეთების გაყიდვის კორუფციული სქემა

ყოფილმა მაღალჩინოსანმა „ვერსიას“ გიგი უგულავას კომპრომატები მიანოდა

გვ. 10

## კორუფციული გარიგება, რომლის გამოც, მიხეილ მაჭავარიანი, გიორგი არველაძე და გია ნაცვლიშვილი შეიძლება, პროკურატურაში დაიბარონ

გვ. 11

## ჩოჩელისა და მერაბიშვილის კრიმინალურ-კორუფციული „გრეხები“

გვ. 7

როგორ „უტეხავდა“ სახელმწიფოს მიღიონებს ჩოჩელი-მერაბიშვილის ტანდემი და რეალური მიზეზი, რის გამოც, „ზედაზენისთვის“ რუსეთის ბაზარი გაიხსნა

## სკანდალური ინტერვიუ ნინო ბურჯანაძის ოჯახის მძღოლთან, რომელიც გლდანის ციხეში სერგო თეთრაძის მკვლელობას შეესწრო

რესტორან „მუხამბაზში“ გამართულ პურობაზე ყოფილმა პოლიტპატიმრებმა ნინო ბურჯანაძესა და ბადრი ბიწაძეს საუკუნო ერთგულება შეჰფიცეს!

გვ. 8

# დაახალე პირდაპირ... ფეხებში

დიტო გელოვანი

**„პეტერბურგის სადგურზე კვაჭს ექიმი ყორანაშვილი შეჰხვდა. ისიც ოსმალეთის ფრონტისკენ მოდიოდა. სამხედრო ექიმის ტანისამოსი ეცვა. ერთმანეთი მოიკითხეს. ყორანაშვილი კვაჭმა თავის კუპეში შეიპატიჟა. არზრუმამდის ერთი კვირა იმგზავრეს. იმ ერთ კვირაში ყორანაშვილმა ერთი სიტყვაც არ დასძრა არც ექიმობაზე, არც სხვა საგანზე: შვიდ დღეში კვაჭი არქეოლოგიით და ისტორიით გაჰბერა. დილიდან საღამომდე ყურში ჩაბზუოდა: „ურარტუელნი... ნაირები... ალაროდიელნი... ფაზისი... კარნუ ქალაქი... ნიკოფსია... არხეოპოლი... ხეტნი... სუმერიელნი...!! ადარნასე... ღლიღვნი...ლენორმანი და შარდენი... თარგამოსი და ქართლოსი... ოძრახე და გურჯიბოღაზი“. ბოლოს კვაჭმა ყველა სახელები და ეპოქები ერთმანეთში აურია და თქვა: „აჰ, ვერაფერი გევიგე. ისტორია ჩემი საქმე არ ყოფილა“.**

*(მიხეილ ჯავახიშვილი, „კვაჭი კვაჭანტირაძე“)*

ჩვენ, ყველანი გავფრინდებით და საქართველო ისეთი იქნება, როგორიც ერთაოზს წარმოედგინა, — მიხეილ სააკაშვილმა რეჟისორ ელდარ შენგელაიას დაბადების 80 წლის იუბილე ასე მიულოცა. მისივე თქმით, ქვეყანა ყველა იმის ჯინაზე გაფრინდება, ვისაც „ჩვენი დამიწება და ცხრაკლიტულში გამოკეტვა სურს“.

პირდაპირ ნიუსით დავიწყე... რა თქმა უნდა, ეს არ იყო მთავარი და რაც უნდა თქვან და რაც უნდა განაცხადონ, დავოსზე მთავარი, ირაკლი ალასანიას ვიცე–პრემიერობიდან მოხსნაზე მთავარი, ჩოჩელის დაჭერა-გამოშვებაზე მთავარი, მძღოლების გაფიცვაზე მთავარი, საერთოდ, ყველაფერზე მთავარი არის გაგება ანუ ფიქრი, გააზრება, წვდომა და, თუ გნებავთ, მუღამის დაჭერაც. ისე, რომ იცოდეთ, მუღამის დაჭერასაც მუღამის დაჭერა უნდა. ერთს თუ დაიჭერ, მერე სულ ამუღამებ და ამუღამებ და სულ დაჭერის მუღამში ხარ.

ჩვენში დარჩეს და, ყველა დასაჭერია – ისიც, ვინც 2003 კვადრატში აიყვანა და ისიც, ვინც კვადრატში აყვანილი 2003-დან კუბური ფესვი ამოიღო... მაგრამ ცოტანი ვართ და ყველას დაჭერა არ ივარგებს. გაუშვი... და კინაღამ ვთქვი იფრინონ-მეთქი. ყველამ ვიცით და ყველას გაგვიგია – „მხოხავად შობილს არ ძალუძს ფრენა“. „საზამთროს კურკები იქცეოდნენ ბუზებად და მიფრინავდნენ თბილ ქვეყნებში“, – თენგიზ ჩანტლაძეს დავესესხე და ცოტათი ჯამლეტ ხუხაშვილსაც დავესესხები: მინიატურების თეატრის „სტაჟიან გულშემატკივრებს“ აუცილებლად ეხსომებათ ჩანტლაძის ეს მონოლოგი, სადაც საზამთროს კურკებისა და ბუზების შეჯვარებაზეა საუბარი.

დარწმუნებული ვარ, სააკაშვილის ნარჩენებს ერთი სული აქვთ, როდის მოვა ოქტომბერი, როდესაც სააკაშვილი თბილ ქვეყნებში გაფრინდება; როდესაც საზოგადოების ერთი, კორექტული ნაწილი იტყვის, წადი და ჩვენკენ აღარ მოიხედოო, ხოლო მეორე, აპოლიტკორექტული ნაწილი (მათ შორის მეც) სიძულვილის ენაზე მიაძახებს: „წადი, წადი შენი...“

დღე არ გავა, ემულგატორებით აღსავსე ვადაგასულმა რამე არ თქვას და ამ რამეებში უამრავი სულელური რუმეები არ გამოურიოს. ეჭვი არ მეპარება, თუ ვინმე მაგის წასვლას ნატრობს, ეს, პირველ რიგში, სწორედ მისი ნარჩენებია. ის უნდა წავიდეს, ჩვენ უნდა დავივიწყოთ, ესენი გადაეწყობიან და ბუზადქცეულ საზამთროს კურკას მშვიდობის მტრედად შემოგვასაღებენ.

რამდენადაც მახსოვს, ერთაოზს ცათმფრენი მხოლოდ იმისთვის სჭირდებოდა, მარგალიტა ამყოლაძესთან ჯვარი ეფსკვნა. ეუბნებოდა ქრისტეფორე მგალობლიშვილს – გავფრინდეთ, მე ჩემ ცოცხალს მივხედავ, შენ შენს მკვდარს მიხედეო.

სააკაშვილმა კი, ისეთ საქართველოში გვეცხოვროს, ერთაოზი რომ ოცნებობდაო... გაივლის წლები და ისტორიის ფურცლებზე სააკაშვილი იმ სიმბოლოთი იქნება აღნიშნული, დაკლაკნილ ჭიას რომ ჰგავს.

„...რა თქმა უნდა, ყველანი გავფრინდებით, აუცილებლად, ჩვენი ქვეყანაც გაფრინდება ყველა იმის ჯინაზე, ვისაც უნდა დაგვაკავოს, დაგვამიწოს, ცხრაკლიტულში მოგვათავსოს. ჩვენი მთავარი ნატვრა ახდება, ყველაზე გაბედული რაღაცები მოხდება და საქართველო ისეთი იქნება, როგორიც ერთაოზს წარმოედგინა და, როგორც ჩვენ, ყველას გვინდა“... შე გამოქათამებულო! მაგისთვის გაგიშვით პარიზში?!

ნუ დავიჭერთ, დავაკავოთ. არ არის საჭირო ცხრაკლიტული, მხოლოდ ნატვრისთვალი ჩამოვართვათ. ნუ მოვკლავთ, დავჭრათ. ნუღარ გადავდებთ, ვრეკოთ თავში და გულიანად გავიცინოთ, როდესაც შეგვეკითხება, ვინ მოგცათ თქვენ ჩემი ცხედარიო. ვინ მოგვცა და, კომკავშირის, სუკისა და მოქკავშირის მიერ დაარსებულმა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებამ.

ჰოდა, როდესაც ეს წავიკითხე... თუმცა, მოდი, თქვენც წაიკითხეთ გიგი უგულავას სიტყვები: „ამ მთავრობასთან დიალოგი, პრაქტიკულად, შეუძლებელია, ამიტომ რიტორიკულ კითხვას დავსვამ: როდის დაამთავრებს ახალი მთავრობა აი, ამ ჩუკენობას და როდის გადავა ახალი მთავრობა რეალური საქმის კეთებაზე“.

როდის დაამთავრებს ახალი მთავრობა ჩუკენობასო, ანუ გიგი უგულავამ დასვა რიტორიკული კითხვა, როდის შეგვეშვება, როდის გაგვიშვებს ხელს ახალი მთავრობაო... დარდობს, შეძრულია, აინტერესებს. დიდი შეძრული ვინმეა ეს გიგი უგულავა, დიდი შეძრული!!!

ასი დღე, რომელმაც შეძრა გიგი უგულავა და ერთი დღე, რომელმაც შეძრა საქართველოს ბიუჯეტი – გიორგი თორთლაძემ 2012 წლის 2 ოქტომბერს დალაშქრა კილიმანჯარო, სადაც გაშალა დროშა, წარწერით Georgia Without Occupant's, დამზადდა ვიდეორგოლი, რომელიც რეგულარულად გადის საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში“.

საზოგადოებრივ მაუწყებელს არ ვუყურებ და ამიტომ არც იმ ვიდეორგოლის ამბავი ვიცოდი. აწი, დავინტერესდები და გავარკვევ, თორთლაძის ვიდეორგოლის თითო დატრიალებაზე რამდენი ოკუპანტი ტოვებს საქართველოს და თუ აღმოჩნდება, რომ მართლაც ტოვებს, ხომ არ გვეფიქრა პროცესების დაჩქარებაზე – დავირაზმოთ ქართველები და ერთად შევუტიოთ კილიმანჯაროს თოვლიან მთას, თითომ თითო რგოლი დავამზადოთ და სოფელიც აშენდება. თუმცა ბიუჯეტზე ვსაუბრობდი – „საქართველო ოკუპანტების გარეშე“ ორგანიზებისთვის 2012 წლის ივლისში 350 000 ლარი გამოყო. აღნიშნულ ინფორმაციას „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ აქვეყნებს“.

აჰა... ერთი ნაცნობი მყავს, ერთ ჯერზე ათი ლიტრის დალევა შეუძლია. გადაიხადოს კულტურის სამინისტრომ 350 ათასი ლარი და ათლიტრიან ყანწს დალევს, ვიდეორგოლსაც დაამზადებს და ეთერშიც განათავსებს. ოღონდ ოკუპანტები წაეთრიონ და რას არ გააკეთებს კაცი! მე, მაგალითად, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მოთხოვნით, თანახმა ვარ, დავესწრო ლივერპულურ დერბის და არც 350 ათასი მინდა, მაგის ნახევარსაც თავისუფლად ვიმყოფინებ და მერე, ვიდეორგოლში ყველა იხილავს, როგორ გეახლებით „პაულანერს“ „ენფლიდ როუდის“ უახლოეს პაბში და როგორ მოვითხოვ „საქართველოს ოკუპანტების გარეშე“.

„თორთლაძე აცხადებს, რომ შარშან კულტურის სამინისტრომ 350 000 ლარი არა პირადად მას, არამედ ცენტრს გადაურიცხა. მისივე თქმით, არასწორია ინფორმაცია, თითქოს თანხა მხოლოდ კილიმანჯაროს დასალაშქრად და ვიდეორგოლის დასაფინანსებლად დაიხარჯა. ამ დაფინანსებით ცენტრმა ორი სრულმეტრაჟიანი ფილმი გადაიღო და არაერთი ღონისძიება გამართა. თორთლაძის თქმით, აღნიშნული დაფინანსებიდან 81 529 ლარი ახალმა ხელისუფლებამ უკან დაიბრუნა და ასევე განმარტავს, კულტურის სამინისტროსთან მიღება-ჩაბარების აქტში, რომელიც დღევანდელი ხელისუფლების პირობებში გაფორმდა, აღნიშნულია, რომ მხარეებს ერთმანეთის მიმართ პრეტენზია არ გააჩნიათ“, – მატყობინებდა სააგენტო, რომელთანაც ძველი მეგობრობა მაკავშირებს.

აბა, ახლა, თორთლაძე რას იტყოდა? მაგრამ ეს მიღება-ჩაბარება რაღაც ვერ გავიგე, ნუთუ, თორთლაძისგან კულტურის სამინისტრომ ოკუპანტებისგან თავისუფალი ცხინვალი და სოხუმი ჩაიბარა?!

გასულ კვირაში ისე გამოვიდა, ირაკლი ალასანიას მიმართ, ლამის, ყველას პრეტენზია გაუჩნდა – როგორ გაბედა და როგორ ემხრობა საპრეზიდენტო რესპუბლიკას! როგორ გაბედა და როგორ გაივლო თავში, პრეზიდენტობაზე იყაროს კენჭი! როგორ გაბედა და ამ თემაზე თანაპარტიელებთან დაილაპარაკა! უნდა დაისაჯოს!!!

თუ ვიღაცისთვის ვიცე-პრემიერობიდან გადაყენება დასჯაა, ლოგიკურად გამოდის, რომ იმ ვიღაცისთვის ვიცე-პრემიერობა ჯილდო ყოფილა. აი, ეს არ მესმის. მაგალითად, თუ ვინმეს ჩემი დასჯა უნდა, შეუძლია დამნიშნოს ვიცე–პრემიერად, მაგრამ მერე, თუ კარგად მოვიქცევი, მომხსნას და დავისვენებ.

საერთოდ კი, საპარლამენტო უმცირესობასა და საპარლამენტო უმრავლესობის აბსოლუტურ უმრავლესობას რომ ვუსმენ, ვუყურებ და მათ მიერ გავლილი ცხოვრების გზა რომ ვიცი, მეც საპრეზიდენტო რესპუბლიკის მომხრე ვარ, ხოლო ოლეგ იაძე რომ მახსენდება, მზად ვარ, კილიმანჯაროზე ავიდე და მთელი ხმით დავიბღავლო: „საქართველო გამგებლების გარეშე“ და თუ სხვაგანაც განმეორდება ის, რაც რუსთვისა და წყალტუბოს „ოცნების“ შეკრებებზე მოხდა, მაშინ უკვე ევერესტზე დავდგები და სინანულით ვიკითხავ: „რატომ ჩაგვიკუკეთ ოცნებებში?“

ჩემი ოცნება სულაც არ ყოფილა, ვიღაც ტლუებსა და უვიცებს პარლამენტში მოსახვედრად ფული დაეხარჯათ და ვიღაც თავგასიებულებს პარლამენტში მოხვედრით ეშოვნათ ფული.

ა, ბატონო: „როგორც წიკლაურმა ჟურნალისტებს განუცხადა, შემოდგომისთვის იმდენად მძაფრი იქნება ქვეყანაში კრიზისი, იმდენად ცუდი იქნება ეკონომიკური ვითარება და იმდენად ღრმა იქნება კრიტიკა მთელი მსოფლიოს მხრიდან, რომ „ქართულმა ოცნებამ“, შესაძლოა, საპრეზიდენტო არჩევნებში ვერ გაიმარჯვოს“.

ა, ბატონო – როცა ნანა ყეინიშვილი ბლატაობს და ქარქუსოვებს აბლატავებს, იქ უკვე იმ თავგასიებული ნუგზარ-წუგზარ წიკლაურ-წაკლაურის ბლატაობის დროც დგება.

„მიხეილ სააკაშვილი: „თინა ბურჯალიანს საქმე ისე გაუხადეს, რომ საქართველოს დატოვება მოუხდა“, – ეს არის ნიუსის სათაური და აქვეა ჩემი და სხვა ბევრის საყვედურიც ხელისუფლების მიმართ – როგორმე ისე მოახერხეთ, თინა ბურჯალიანებმა და ზურაბ ადეიშვილებმა საქართველოს დატოვება ვერ შეძლონ. დღეს 28 იანვარია და ვინც სანდრო გირგვლიანს გაიხსენებს, ვთხოვ, არც თინა ბურჯალიანი დაივიწყოს.

სვანს თითზე ჯვარი აქვს დახატული. რატომო – ჰკითხეს და, ინგლისური ვისწავლე და რომ არ დამავიწყდესო. შალვა ნათელაშვილმა ინგლისური ისწავლა და როგორც ნიუსის სათაურში ამოვიკითხე „აქტიურ პოლიტიკას უბრუნდება“: „ლეიბორისტული პარტია“ 100-დღიან მორატორიუმს ასრულებს და აქტიურ პოლიტიკას უბრუნდება. ამის შესახებ პარტიის ლიდერმა, შალვა ნათელაშვილმა ჟურნალისტებთან შეხვედრისას განაცხადა“.

ცოტას გავერთობით... ისა და, ლეიბორისტები ხუდადოვზე კანალიზაციის შეკეთებას რომ ითხოვდნენ, ბოლო-ბოლო, შეაკეთეს თუ არა? ამის შესახებ, ალბათ, „ლეიბორისტების“ იდეოლოგიური მდივნის, კახა ძაგანიას უახლოესი პრესკონფერენციიდან შევიტყობთ. უკვე ვიცით, რომ გაფიცული მძღოლებისა და „თბილისის მიკროავტობუსის“ წარმომადგენლების მოლაპარაკება უშედეგოდ დასრულდა.

სამი დღეა, თბილისელები „მარშრუტკების“ გარეშე დავრჩით და პრობლემა არ არის, ერთი სამ დღეს და იქნებ, უფრო მეტსაც, კიდევ ავიტანთ. ამ შემთხვევაში აუტანელი მხოლოდ საინფორმაციო ვაკუუმში ყოფნაა. შეუმცირდებათ მძღოლებს გეგმა? შემცირდება მგზავრობის ღირებულება? მიეცემათ მძღოლებს რადიოს ჩართვის უფლება? – ეს ის კითხვებია, რომელიც არაპროგრესულ საზოგადოებას აწუხებს, რაც შეეხება პროგრესულ საზოგადოებას – სამოქალაქო და ელჯიბიტი საზოგადოებებსა და ექსპერტებს, მათ მხოლოდ ის აინტერესებთ, იქნება თუ არა დაცული გენდერული ბალანსი, ეს კი მხოლოდ რუსუდან კერვალიშვილმა იცის.

სხვათა შორის, „ნაცების“ საპარლამენტო ფრთამ (Stom), ვულკანიზაციის შიშით, ბალანსირება წამოიწყო – ზაზა კედელაშვილი ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობიდან“ გადის და ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა – მაჟორიტარებში“ ერთიანდება. ახალციხის მაჟორიტარი ვაჟა ჩიტაშვილი ნაციონალური მოძრაობიდან ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა – რეგიონებში“ შესვლის მიზნით გავიდა.

ამასთან დაკავშირებით, განმარტება ბობოხიძემ გააკეთა: „ვხედავთ, რომ ადგილი აქვს დეპუტატებზე ზეწოლას, რათა მოხდეს კონსტიტუციით დამტკიცებისთვის საჭირო 100 ხმის მოპოვება“.

ეს სიტყვა – ზეწოლა – რომ არ არსებობდეს, რა ეშველებოდათ?! „ნაცები“ ყოველთვის ამ ზეწოლების იმედად იყვნენ და ამის დამადასტურებელი კადრები პროკურატურამ ტელევიზიით გვიჩვენა. როგორც ჩანს, პროკურატურის მიერ გავრცელებული კადრები „ნაციონალებს“ საიმედოდ აქვთ გადამალული, რადგან „აკაკი ბობოხიძე იმედს გამოთქვამს, რომ საგაზაფხულო სესიისთვის ნაციონალური მოძრაობის შემადგენლობას მაჟორიტარები არ დატოვებენ“.

ვაღიაროთ – ბევრს აინტერესებს, რომელი პოლიტიკოსები იყვნენ იმ კადრებში... ვისაც აინტერესებს, დაჯდეს და დააკვირდეს, ვინ გავა „ნაცებიდან“ და ვინ დარჩება. ვინც „ნაცებში“ დარჩება, ჩათვალეთ, რომ იმას „ნაცების“ აქვს დარჩენილი.

ახლა, ექსპერტები ამიჯანყდებიან, მაგრამ ახლა ერთი ნიუსით შევაფასოთ, რანი არიან ქართველი ექსპერტები და რისთვის იბრძვიან ისინი.

„ჩემი აზრით, პრემიერის განცხადება უფრო შემწყნარებული და დელიკატური იყო ალასანიას განცხადებასთან შედარებით, როცა თავდაცვის მინისტრმა თქვა, რომ პრეზიდენტობის კანდიდატთან დაკავშირებით, ძალზე მძიმე საუბარი ჰქონდა პრემიერთან. მე შევახსენებდი ბატონ ალასანიას, რომ მძიმე საუბრის შემდეგ არც ერთი თავმოყვარე მინისტრი თანამდებობაზე აღარ რჩება“, – ეს სიტყვები ცნობილ ქართველ ექსპერტსა და ღვაწლმოსილ საზოგადო მოღვაწეს, სოსო ცინცაძეს ეკუთვნის.

ტელევიზორის სტაჟიან მაყურებელს სოსო ცინცაძის მრავალი სიბრძნე ახსოვს. ცინცაძის მიხედვით, სსრკ იყო მშვიდობის გარანტი მთელ მსოფლიოში; სკკპ იყო ჩვენი ეპოქის გონება, სინდისი და ღირსება და ბრეჟნევი ხომ იყო და იყო, ანდროპოვი, ჩერნენკო, გორბაჩოვი ხომ იყვნენ და იყვნენ... 80-იან წლებში კომუნიზმში უნდა გვეცხოვრა.

შევახსენებდი ბატონ ცინცაძეს, რომ მისი ამ მძიმე-მძიმე აზრების შემდეგ, ყველა თავმოყვარე ექსპერტი დაუჯერებდა გიგი უგულავას და თავისი ქალაქის მეეზოვე გახდებოდა, ხოლო უფროსად ეყოლებოდა შოთა ხიზანიშვილი, რომელიც გასულ კვირაში თბილისის მერის მოადგილედ დაბრუნდა. 35 000 ლარი გადაიხადა და დაბრუნდა.

მე რომ 35 ათასი ლარი გადამეხადა, ახლა ხელოვნური სუნთქვის აპარატზე ვიქნებოდი მიერთებული, ჩემი მთელი საახლობლო კი ტოტალიზატორში შეგდებული ბოლო ლარიანის იმედად იქნებოდა.

რა იოლად გადაიხდიან ხოლმე... ალბათ იმიტომ, რომ თავს ძალა დაატანეს და გაიხადეს... აი, პროკურატურამ კადრები რომ გააკრცელა...

ვინ იყო იმ კადრების უფროსი? ვინ არის ყველაფრის მკადრებელთა უფროსი?

„სტრასბურგში ვიზიტით მყოფმა საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენლებმა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე საქართველოს პრეზიდენტის სიტყვით გამოსვლაში სწორი აქცენტები შეენიშნეს. როგორც დეპუტატმა, ზურაბ ჯაფარიძემ განაცხადა, იყო გარკვეული კონკრეტიკა იმ საკითხებთან მიმართებაშიც, რომლებსაც პრეზიდენტი საქართველოს დემოკრატიული მომავლისთვის მნიშვნელოვნად და აქტუალურად მიიჩნევს“, – „ინტერპრესნიუსი“ რომ არ მყავდეს...

არადა, გამოსვლა იყო... თუმცა ყველამ ნახეთ და მოისმინეთ.

ყველა გიჟი ჩვენ როგორ უნდა აგვეკიდოს?! კიდევ რამდენი კვირა უნდა გავიდეს, რომ ეს კითხვა ბოლოჯერ დავსვათ?!

რაღაც, საზიზღარი კვირა იყო – მთავრობასა და საპარლამენტო უმრავლესობასთან მძიმე კითხვები მქონდა, მაგრამ კვირაში შვიდი დღე-ღამეა, დღე-ღამეში – 24 საათი და გასული კვირის ერთი კონკრეტული დღის, ერთ კონკრეტულ საათს ჩემს მეგობარს, ალექსანდრე გუგეშაშვილს შეეძინა შვილიშვილი ალექსანდრე გუგეშაშვილი.

გაუმარჯოს რაჭველებს!

**ნ. (ნაცმაცუნებო!) ამხანაგებო! – განაგრძო კვაჭმა – მე ძალიან ბევრი მტერი მყავს. ვიცი, რომე ეგენი ეცდებიან ჩემი ღვაწლი წაშალონ და ისტორიიდან ამომფხიკონ, მარა თქვენისთანა მეგობრებიც ბლომად მომეპოვება. ვინ იცის, მე დევიღუპო, მარა თქვენ ჩემი სახელი ისტორიკოსებს დავიწყების სანაგვეზე არ გადააგდებიოთ.**

*(მიხეილ ჯავახიშვილი, „კვაჭი კვაჭანტირაძე“)*

# ექსკლუზიური ინტერვიუ „პატარა ბიძინასთან“!

ეკა სეხნიაშვილი

**ივანიშვილის ხელისუფლების ლეგენდარული და ყველაზე პოპულარული გამგებელი, კოლორიტი ჩინოვნიკი, რომელმაც კასპის რაიონი საქართველოს „ცხელ წერტილად“ აქცია „რესპუბლიკელებს“ ბრალს სდებს და იმასაც განმარტავს, რატომ უწოდებს თავს „პატარა ბიძინას“. ექსკლუზიურად, „ვერსიას“ კასპის გამგებელი ოლეგ იაძე მის ირგვლივ განვითარებულ და სხვა მიმდინარე პოლიტიკურ თემებზე ესაუბრა და განგვიცხადა, რომ ჟურნალისტებზე ნაწყენია, მათ ინტერვიუს აღარ აძლევს, თუმცა „ვერსიისთვის“ გამონაკლისს უშვებს ერთადერთი პირობით, რომელსაც ვასრულებთ და ამიტომაც ინტერვიუს სტილი დაცულია.**

**— ბატონო ოლეგ, სოციალურ ქსელში გავრცელდა თქვენი მხარდამჭერი პეტიცია სახელწოდებით ,,ოლეგ იაძე საქართველოს პრეზიდენტად“. როგორც ამ პეტიციიდან ჩანს, ითხოვთ ხმებსა და ონლაინ-ხელმოწერებს „ფეისბუქში“. პრეზიდენტობას აპირებთ?**

— არაა, არც ვუყურებ, არც მაინტერესებს. ჩემდღეში კომპიუტერთან კავშირი არ მაქვს. კომპიუტერი ვიცი, უბრალოდ, მაგრამ არ ვუყურებ არც დილას, არც — საღამოს. ვიცი, რაც არის, რასაც ნიშნავს, მაგრამ არ ვუყურებ. ეს, არა მგონია, ჩემი მხარდამჭერებისგან იყოს წამოსული, ეს არის ჩემი მტრებისგან..

**— ვინ არიან თქვენი მტრები?**

— რა ვიცი, აბა... ეგენი, ვინც გაავრცელა. ეს არასერიოზულობაა. პრეზიდენტობაზე მე როგორ უნდა ვილაპარაკო? სამბოს ფედერაციის პრეზიდენტობაზე — კი, მაგრამ ქვეყნის პრეზიდენტობაზე — არა...

**— აპირებთ სამბოს ფედერაციის პრეზიდენტად კენჭისყრას?**

— რამდენიმე დღეში სამბოს ფედერაციის ყრილობაა და საპატიო პრეზიდენტად ამირჩევენ...

**— წინასწარ რა იცით, აგირჩევენ თუ არა?**

— ეგ უკვე გადაწყვეტილი საკითხია.

**— ბატონო ოლეგ, თქვენ თქვით, რეგიონში მე „პატარა ბიძინა“ ვარო, ასეც მოგიხსენიებენ და დიდმა ბიძინამ ამაზე რამე თუ გითხრათ?**

— არა, რეგიონში არ მითქვია, ეს ჟურნალისტებმა ცოტა შეკვეცეს, მიჭრეს-მოჭრეს და ამიტომ ეს ცოტა ჟურნალისტების ნამაიმუნარი იყო. ნებისმიერ რაიონში გამგებელი არის ხელმძღვანელი, „პატარა ბიძინა“ არასერიოზულად გაჟღერებული იყო, რა. ინტერვიუს ჩაწერა უკვე დამთავრებული იყო და ჟურნალისტმა არაკეთილსინდისიერად გამოიყენა ჩემი გულღიაობა და კამერის გარეთ ნათქვამი. მე ვთქვი, რა თქმა უნდა, რაიონში ათასი პრობლემაა-თქო და მე მტკივა ისიც, ისიც, ისიც. რამეთუ რაიონში გამგებელი არის იგივე პატარა პრემიერი-მეთქი და მე ვარ-მეთქი პატარა ბიძინა, აქედან გამომდინარე იყო ნათქვამი... ეს ფრაზა ზოგიერთმა არაკეთილსინდისიერმა პიროვნებამ გამოიყენა ცუდად.

**— ბატონო ოლეგ, თქვენ არ მიპასუხეთ და ჩემი ინფორმაციით, ამ ფრაზაზე თქვენ შენიშვნა მიიღეთ ივანიშვილისგან...**

— არა, არა, ეგ ბედნიერება არ მქონია, რომ ბატონ ბიძინას შევხვედროდი. ახლა სურვილი მაქვს მასთან შეხვედრის, რადგან უამრავი პრობლემა დაგროვდა რაიონში, თანაც ამას აქვს სათავეები, ეს არის მართვადი პროცესი. სანამ მე, ოლეგ იაძე ცოცხალი ვარ, ყოველთვის ასე იქნება, ძალიან პატარა პროცენტი იქნება ჩემთან დაპირისპირებული.

**— პროცესებს მართავენო და ვინ მართავს ამ დაძაბულობის პროცესებს?**

— მოიცა, მოიცა, ჯერ დავამთავრო... 20 წელიც რომ ვიყო რაიონის გამგებელი, ასე იქნება. ბატონ ბიძინაზე ამბობს ზოგიერთი ნაძირალა აუგს და ოლეგ იაძეზე რომ თქვას 50-100-მა კაცმა 55 000-იანი რაიონიდან, ეს რა პრობლემაა?! უბრალოდ, ეს სცდება კულტურას, ზრდილობას. განსაკუთრებით იმ ცოტა ისეთი ქალბატონებისაგან, რომლებიც მთელი ცხოვრება არასწორი ცხოვრებით ცხოვრობდნენ...

**— თქვენ ხომ ეს ქალბატონები, თქვენს მისაღებში აქციას რომ აწყობდნენ, ძალის გამოყენებით დაარბევინეთ და გააყვანინეთ?**

— როგორ გეკადრებათ, გენაცვალე. ისინი კი არ დავარბევინე, ისინი უკანონოდ იყვნენ შემოსულები შენობაში, შემეძლო იმავე საღამოს გამეყვანა, რადგან ყოველგვარი საშვის გარეშე იყვნენ შემოსულები, მაგრამ არა, ვიფიქრე, იყვნენ, დარჩნენ, ორი ქალბატონი იყო, ყოველგვარი განაცხადის გარეშე. დავატოვებინე, ღამე გაათენეს და დილას რომ შემოვედი, რა დონის ქალბატონებიც არიან, ის იკადრეს ჩემთან. მითხრეს უხამსი სიტყვები...

**— რა სიტყვები, ბატონო ოლეგ?**

— რა მითხრეს და, ქალისთვისაც და კაცისთვისაც შეუფერებელი სიტყვები, რაც თავად არიან, ეგ სიტყვა მითხრეს. ,,არაკაცოო“ და მეორე სიტყვაც, რაც თვითონ არიან, ის სიტყვა მითხრეს, მაგას მე ვერ გავიმეორებ. მოკლედ, ავედი ჩემს კაბინეტში და იქ ვუთხარი, წყნარად, წესიერად მოჰკიდეთ ხელი, ორმა აქეთ-იქიდან და გაიყვანეთ გარეთ-თქო. ზუსტად ასე მოხდა მათი გაყვანა, დაზიანებები თვითონ მიიყენეს და ყველაფრის მკადრებელი ხალხია. ასე, სულ „პადრუჩკით“ გაიყვანეს იქიდან. კამერაც მაქვს, ვიდეოკამერამ დააფიქსირა, რაც შენობაშია დამონტაჟებული.

**— ბატონო ოლეგ, ზევით ახსენეთ ეს დაძაბულობის პროცესების შექმნა კასპში ზემოდანაა მართულიო. კასპის საკრებულოში რა ცემა-ტყეპაც მოხდა, ეს საიდან იმართება. „ქართული ოცნების“ კოალიციის წევრებს გულისხმობდით?**

— რაც საკრებულოში მოხდა, ეს ამ ბანდიტების და ბანდის მართულია. მე მაგათ ბანდას ვეძახი. სამწუხაროდ, მაგრამ ჩვენი, „ქართული ოცნების“ კოალიციის წევრები არიან, თუმცა ასეთი საქციელი არც კოალიციის წევრებს ეპატიება და არც ქვეყნის მოღალატე სააკაშვილის მთავრობას. იმ მომენტში ეს ჩაიდინა იმ ბანდამ, რომელი ბანდაც შემოვიდა საკრებულოს სხდომაზე, რომელსაც ხელისშეშლის უფლება არ ჰქონდა.

**— რომელი პარტიის წევრები არიან?**

— მაგათი დასახელებაც არ მინდა. ჩვენს კოალიციაში შემავალი წევრები არიან.

**— „რესპუბლიკელები“ არიან ?**

— შესანიშნავად გცოდნიათ, ასეთია ჩემი პასუხი.

**— რა ხდება, ბატონო ოლეგ, თქვენ ხომ არაფრის გეშინიათ, უფრო დეტალურად რატომ არ საუბრობთ?**

— აღარ მინდა, ეგენი ვახსენო, მე კავშირი მაქვს გაწყვეტილი ჟურნალისტებთან, უბრალოდ, გოგო ხართ და უარი ვეღარ გითხარით.

**— თქვენ, ამას წინათ, ისიც თქვით, ლადო ვარძელაშვილს სადაც ვნახავ, ადგილზე გავუსწორდებიო...**

— მოდი, რა, რა საკითხზეც ვლაპარაკობდით, იმაზე ვილაპარაკოთ. არარაობებზე ნუ მელაპარაკებით. მაგას თავის უბედურება ეყოფა. ეს თემა გადავდოთ. სათქმელი მე ვთქვი, დაელოდეთ მოვლენებს.

**— ბატონო ოლეგ, მითხარით, პრემიერ-მინისტრს შევხვდები მალეო და თუ გექნებათ კასპის მოვლენების ირგვლივ ბატონ ივანიშვილთან საუბარი?**

— რა თქმა უნდა, აუცილებლად შევხვდები ბიძინა ივანიშვილს. კასპში გაგრძელდება ის, რაც დამავალა ქვეყნის ხელისუფლებამ, რა პროცესებიც დავსახეთ წინასაარჩევნო პერიოდში მაჟორიტარ დეპუტატთან ერთად. ასეთი თავზეხელაღებულების ბრბო მუდმივად ეყოლება ნებისმიერ ხელისუფლებას. თქვენ წარმოგიდგენიათ, რომ იქ მე მებრძვის 30-40 კაცი, ერთი წამით წარმოიდგინეთ, რომ მე წავედი და ჩემს მხარდამჭერებს დავუძახე, მერე რა უნდა ქნან, ასე უნდა გაგრძელდეს? ოლეგ იაძის მხარდასაჭერი 10 000-კაციანი მიტინგის მოწყობა შემიძლია, რაც კასპს არ ახსოვს. ნებისმიერ დღეს კასპში 10 000-კაციან მიტინგს გამოვიყვან ჩემს მხარდასაჭერად.

**— რომ მოგხსნან?**

— ეს გამორიცხულია. ხელისუფლებას აზრად არ აქვს ამის გაკეთება, რამეთუ შესანიშნავად იცის, რა ხდება კასპში, რას ვაკეთებთ...

**— ვინ დაგნიშნათ პოსტზე. კონტაქტი მაღალ სახელისუფლებო წრეებთან ვისთან გაქვთ?**

*დასასრული მე-4 გვერდზე*

## მიხეილ სააკაშვილი, მტრების ჯინაზე, გაფრენას აპირებს

საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, საქართველო ისეთი იქნება, როგორიც ერთაოზს წარმოედგინა, — ამის შესახებ სააკაშვილმა კინემატოგრაფიაში შეტანილი უდიდესი წვლილისთვის, ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით რეჟისორ ელდარ შენგელაიას დაჯილდოებისას განაცხადა:

**„ბატონო ელდარ, ყველანი გავფრინდებით, აუცილებლად. ჩვენი ქვეყანაც გაფრინდება, ყველას ჯინაზე, ვისაც უნდა, რომ მიწაზე დაგვაკავოს, დაგვამიწოს, სადღაც ცხრაკლიტულში მოგვათავსოს. არავის არაფერი გამოუვა. ყველა ჩვენი თამამი ნატვრა ახდება, ყველაზე გაბედული რაღაცები მოხდება და საქართველო ისეთი იქნება, როგორც ერთაოზს წარმოედგინა. როგორც თქვენ წარმოგედგინათ, როგორც ჩვენ, ყველას გვინდა“.**

თავის მხრივ, ცნობილმა ქართველმა რეჟისორმა პრეზიდენტს მადლობა გადაუხადა:

**„მადლობა პრეზიდენტს დაჯილდოებისთვის, ასეთი დახასიათებისთვის. ყველანაირად ვეცდები, როგორც შემიძლია, ისე ვემსახურო ჩემს ხალხს, ვიდრე ღმერთი ამ ქვეყანაზე ცხოვრების უფლებას მომცემს და ვფიქრობ, კიდევ რამდენიმე კინო გადავიღო, თუ მოვასწარი“.**

*„პირველი“*

## „გაზპრომმა“ უკრაინა 7 მილიარდით დააჯარიმა

The Financial Times-ის ინფორმაციით, „გაზპრომმა“ უკრაინისგან, გაზის შესყიდვის ვალდებულებების დარღვევის გამო, 7 მლრდ დოლარი მოითხოვა და აღნიშნული მოთხოვნა კიევს პრეზიდენტ ვიქტორ იანუკოვიჩის დავოსში, ეკონომიკურ ფორუმზე გამგზავრებამდე წარუდგინა.

„გაზპრომის“ მონაცემებით, იმპორტირებული გაზის მოცულობა იმაზე ნაკლები აღმოჩნდა, ვიდრე უკრაინას მიმდინარე ხელშეკრულებით უნდა მიეღო.

უკრაინული მონოპოლისტი „ნაფტოგაზი“ აღნიშნული თანხის გადახდას არ აპირებს. კომპანია საქმის საერთაშორისო არბიტრაჟში გადაგზავნას გეგმავს.

*„პირველი“*

## სამართალდამცავებმა საცხოვრებელი კორპუსიდან ხელყუმბარა ამოიღეს

თბილისში, ვარკეთილის მესამე მ/რ-ში საცხოვრებელი კორპუსის ეზოდან სამართალდამცავებმა, სავარაუდოდ, ხელყუმბარა ამოიღეს. ადგილობრივების თქმით, უცხო საგანი მამაკაცმა შენიშნა და საპატრულო ეკიპაჟი გამოიძახა. მათი მტკიცებით, საეჭვო ნივთი ხელყუმბარა იყო.

სამართალდამცავები და გამნაღმველები შემთხვევის ადგილზე 2 საათის განმავლობაში მუშაობდნენ.

*„ჯი-ეიჩ-ენი“*

ნინო კომახიძე
პოლიტიკა

# თებერვლის ბოლოდან საქართველოში „სამედიცინო საჩხერიზაცია“ იწყება?!

**შეეხება თუ არა საყოველთაო დაზღვევა გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას და როდიდან მიიღებენ რეგრესის პენსიონერები, ომის ინვალიდები და ვეტერანები კომპენსაციას**

**წელს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, სხვა უწყებებთან შედარებით, ბევრად დიდი — 2 მილიარდ 345 მილიონლარიანი ბიუჯეტი აქვს. ჯანდაცვის მინისტრი სამინისტროს პრიორიტეტებზე მედიას ესაუბრა, თუმცა ბოლო დროს, ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ თემაზე — უფასო მშობიარობაზე მხოლოდ ზოგადი განცხადება გააკეთა: „პროგრამა მხოლოდ კონკრეტულ მიზნობრივ ჯგუფებს კი არა, უკლებლივ, ყველა მშობიარეს შეეხება. მას კი, ვისაც ე.წ. ვიპ პაკეტის გამოყენება ანუ ცალკე პალატა და სხვა დამატებითი მომსახურება ენდომება, საბაზისოზე გარკვეული თანხის დამატება მოუწევს, თუმცა თავად საბაზისო პაკეტიც სრულყოფილი იქნება... უფასო მშობიარობის პროგრამა პირველი ივლისიდან ამოქმედდება, თუმცა ამ თემაზე სამშობიარო დაწესებულებების დირექტორებთან ჯერ შეხვედრა არ მქონია“. თებერვლიდან საყოველთაო დაზღვევაც ამოქმედდება, რომელიც ადამიანისთვის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაწევასაც გულისხმობს. ამასთან, სერგეენკო კიდევ ერთ, მნიშვნელოვან ინიციატივაზე საუბრობს: „შეიქმნა დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის საბჭო, რომელშიც სიკვდილიანობის შემსწავლელი კომისიაც შედის. ეს კომისია იმ ნებისმიერი აქტივობის კონტროლს მოიცავს, რომელიც დედისა და ბავშვის ჯანმრთელობასთანაა კავშირში. კომისია ასეთ საკითხებს სისტემურად შეისწავლის და ყველა კონკრეტულ შემთხვევაზე ინფორმაციას ერთ საათში მომაწვდის“. „ვერსიის“ კითხვებს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი დავით სერგეენკო პასუხობს.**

— სტატისტიკით, დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის 40% შეუსწავლელია, არავინ იცის, რა მიზეზით გარდაიცვალა ესა თუ ის ადამიანი. მეორე მხრივ, არსებობს სტატისტიკა, რომლის მიხედვითაც, დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი თითქოს მცირდება, მაგრამ ციფრები არცთუ სახარბიელოა. სწორედ ამ საბჭოს დაევალება გარკვევა, რა მოხდა კონკრეტულ შემთხვევაში.

**— სამწუხაროდ, ასეთ დროს დამნაშავედ თითქმის ყოველთვის ექიმს აცხადებენ. ბატონო დავით, როგორც მინისტრს, ეთიკის ნორმებისა და ექიმის უფლებების დაცვის დარეგულირებისთვის რამე სტრატეგია ხომ არ გაქვთ?**

— კარგია, ამ თემაზე ჩემი აზრისა და სამინისტროს პოზიციის დაფიქსირების შესაძლებლობა რომ მომეცა. მედიას ვერავინ მიუთითებს, ესა თუ ის მასალა და სიუჟეტი როგორ მოამზადოს, მაგრამ არსებობს იურიდიულ-ეთიკური მომენტი და უდანაშაულობის პრეზუმპცია. კარგი იქნება, თუკი ასეთ თემებთან მიმართებაში ამას ყველა გაითვალისწინებს. საზღვარგარეთ ეთიკის ნორმები მკაცრად რეგულირდება და თუნდაც პაციენტის სახის ჩვენება, მისი ან მისი ახლობლის წერილობითი ნებართვის გარეშე, დაუშვებელია. ჩვენთან კი, ასე არ ხდება — ახლახან, იყო შემთხვევა, როცა დიღმის ერთ-ერთ საავადმყოფოში მოთავსებული დაჭრილი სასულიერო პირი ყველა არხზე აჩვენეს.

რაც შეეხება ექიმთა უფლებების დაცვას, ახლობელი ადამიანის დაღუპვა საშინელებაა, ამის აღქმა რთულია და ჩნდება სურვილი, „დამნაშავე“ ექიმი ლინჩის წესით გასამართლდეს, მაგრამ ეს სურვილი რეალურ ფაქტებს უნდა ეფუძნებოდეს. ხომ უნდა გავარკვიოთ, შეცდომა ვინ და სად დაუშვა? 6 წელი საჩხერის საავადმყოფოს დირექტორი ვიყავი და ამ ხნის განმავლობაში, 5 შემთხვევა მოხდა, როცა მედიამ განაცხადა, საჩხერელი ექიმის გულგრილობის გამო, პაციენტი გარდაიცვალაო. ყველა შემთხვევა, რა თქმა უნდა, ძირისძირობამდე შეისწავლეს და იცით, რამდენ შემთხვევაში დადასტურდა ექიმის ბრალეულობა? — არც ერთში! იმ ექიმებმა კი, ვინც მედიამ დამნაშავეებად გამოაცხადა, ნახევარი სიცოცხლე გაათავეს...

**— სხვათა შორის, თქვენზე ამბობდნენ, მთელი ქვეყნის „საჩხერიზაცია“ უნდაო. იმ აპარატურა-აღჭურვილობით, ფასებითა და მომსახურების დონით, რაც საჩხერის საავადმყოფოშია, ერთ სამთავრობო ვადაში, მთელი ქვეყნის მასშტაბით, მსგავსი ინფრასტრუქტურის საავადმყოფოების შექმნას მოასწრებთ?**

— ჩემი და არა მხოლოდ ჩემი დეკლარირებული სურვილი იყო, საჩხერის საავადმყოფოს მოდელი მთელი საქართველოს მასშტაბით გავრცელებულიყო. ჩემს ყოფილ კოლეგებს, სხვა საავადმყოფოს დირექტორებს ნუ ეწყინებათ, მაგრამ იმ დონის საავადმყოფო, როგორიც საჩხერეშია, არათუ საქართველოში, არამედ, რუკას ფარგალი რომ დავადოთ და 1000-კილომეტრიანი წრე შემოვხაზოთ, მეორე არ არის! ამ მოდელის უპირატესობა ისაა, საჩხერის საავადმყოფოს აქვს შესაძლებლობა, უფულო და უპოლისო ადამიანი, რომელსაც გადაუდებელი სამედიცინო დახმარება ესაჭიროება, სასიკვდილოდ არ გაიმეტოს.

**— ეს, ალბათ, პრემიერ ბიძინა ივანიშვილის დამსახურებაა, რომელიც საავადმყოფოს აფინანსებს. საკითხავია, საქართველოს „სამედიცინო ჭორვილიზაცია“, პრემიერის ჯიბიდან გაღებული თანხის გარეშე ანუ ჯანდაცვის სამინისტროს გაზრდილი ბიუჯეტით თუ მოხერხდება?**

— საიდუმლოდ გეტყვით, რომ ის სადაზღვევო პაკეტი, რომელიც თებერვალში ამოქმედდება, ორ ლოტს მოიცავს: ოჯახის ექიმთან ვიზიტს და გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას. თებერვლის ბოლოდან, საქართველოს ყველა მოქალაქეს, თავისი სადაზღვევო პაკეტის მოცულობის შესაბამისად, შესაძლებლობა ექნება, ფულისა და პოლისის არქონის შემთხვევაშიც, მიიღოს გადაუდებელი სამედიცინო დახმარება, რაც აქამდე მხოლოდ საჩხერის საავადმყოფოში ხდებოდა. თუ ეს საჩხერეში საქველმოქმედო ფონდის მეშვეობით ხორციელდებოდა, ახლა ამას დაზღვევის პოლისი გააკეთებს და სახვეწარი არავის არაფერი ექნება!

**— კოალიციის საყოველთაო დაზღვევის პროგრამა გულისხმობდა საშემოსავლოს 20%-ის მესამედის მოქალაქეების სადაზღვევო ფონდში ჩარიცხვასა და საბაზისო დაზღვევის პაკეტის გაუმჯობესებას. კოალიციამ ამ ნახევრადგერმანულ მოდელზე უარი რატომ თქვა?**

— ეს სტრატეგია ისევ ძალაშია. უბრალოდ, რაღაცების მყისიერი შეცვლა შეიძლება, სტრატეგიის დანერგვას კი მეტი დრო სჭირდება. დროთა განმავლობაში, სწორედ ამ სტრატეგიაზე გადავალთ, ოღონდ, პირდაპირ ვამბობ, ეს 2013 წელს ვერ მოხდება, სუფთა ფინანსურ-ეკონომიკური მიზეზებით. საგადასახადო კოდექსის ცვლილება, ბევრ სხვა დადებით რყევასთან ერთად, სისტემას მყიფეს გახდის, მაგრამ გარწმუნებთ, მიზნობრივი სადაზღვევო შენატანები, რა თქმა უნდა, ისევ ჩვენი კონცეფციის ნაწილია, თუმცა არა — მიმდინარე წელს. ასეთი პროექტები 3, 5 და 7 წელზე უნდა გაიწეროს, ამიტომ დაზუსტებით ვერ გეტყვით, როდის გადავალთ დაზღვევის ამ მოდელზე.

**— წელს რეგრესის პენსიონერებს, ომის ინვალიდებსა და ომის ვეტერანებს კომპენსაციებს თუ დაურიგებთ? ბიუჯეტის პროექტში გიწერიათ, რომ 2013 წლის პირველი აპრილიდან მხოლოდ გადაანგარიშება დაიწყება...**

— ვადა — პირველი აპრილი, უკვე დათქმულია და აღარ გადაიწევს. რაც შეეხება თანხის რაოდენობას, ცნობილია, რომ ამ საკითხისთვის 19 მილიონი ლარი გამოიყოფა. იმის გადაანგარიშება კი, როგორ გადანაწილდება ეს 19 მილიონი თითოეულ ადამიანზე, ახლა მიმდინარეობს.

**— თანხის დარიგებასაც წელს დაიწყებთ? წინა ხელისუფლებაც ასე ითვლიდა და, ამასობაში, 8 წელი გავიდა!**

— ბიუჯეტიდან თანხა უკვე გამოყოფილია და რიცხვი 17 მილიონი, შემთხვევით არაა აღებული. როცა ერთ ლარს სადღაც ამატებ, ე.ი. ის ლარი სხვა რაღაცას აკლდება. ეს საპასუხისმგებლო საქმე — ბიუჯეტური გათვლა უკვე გაკეთებული და 17 მილიონი გამოყვანილია, რაც სწორედ იმას ნიშნავს, რომ საკითხი უახლოეს თვეებში გადაწყდება!

**— კიდევ ერთი თემა, ბატონო მინისტრო: ყოველდღიურად გვესმის, რომ ციხეს, ჯანმრთელობის გაუარესების გამო, 10-მდე ადამიანი მაინც ტოვებს. არსებობს ორი სამინისტროს ერთობლივი მიდგომა, როგორ უნდა გამოსწორდეს ციხის საავადმყოფოების მდგომარეობა?**

— სასჯელაღსრულების დაწესებულება ის ადგილი არაა, სადაც შეიძლება, ჯანმრთელობა გაიუმჯობესო, მაგრამ ჩვენი ამოცანაა, პატიმრობას ფატალური შედეგები არ მოჰყვეს. პენიტენციური სისტემის ჯანდაცვის განყოფილება, მართლაც, ვერ იყო იდეალური, ახლა კი, სამინისტროსთან აქტიურად ვთანამშრომლობთ.

**— ეს თანამშრომლობა რაში გამოიხატება?**

— ამ თემას მარიამ ჯაში კურირებს და შეგვიძლია, კონკრეტული ინფორმაციაც მოგაწოდოთ, რა გაკეთდა ამ კუთხით: პენიტენციურ სისტემას ვეხმარებით ადამიანური რესურსითა და ახალი ინფრასტრუქტურის შექმნით. მაგალითად, გასულ კვირას გაიხსნა ახალი ტუბდისპანსერი, შესაბამისი სამედიცინო აპარატურით...

**— კი, ბატონო, მაგრამ ეს სისტემური მიდგომა არ არის!**

— საპატიმროების სამედიცინო მომსახურება გარკვეულ კანონზომიერებას ექვემდებარება, სწორედ ახლა მიდის იმ კრიტერიუმების გადახედვაც, რა ჯგუფი უნდა მუშაობდეს კონკრეტული რაოდენობის პატიმარზე. ასე რომ, სისტემური მიდგომა ცოტა ხანში მნიშვნელოვნად შეიცვლება.

ექსკლუზიური ვერსია

# ექსკლუზიური ინტერვიუ „პატარა ბიძინასთან“!

*მე-3 გვერდიდან*

— არავისთან არ მაქვს კონტაქტი, მაგრამ ხომ ხედავენ, რა ტიპის ქალებიც მებრძვიან და რა უნდათ?! მე არავის დაუნიშნივარ. ჩემი ავტორიტეტიდან გამომდინარე, კოალიციამ წარმადგინა გამგებლის პოსტზე. საკრებულომ, რომელიც 27 წევრისგან შედგება, მას ჯერ უნდა გადაეყენებინა ძველი გამგებელი და შემდეგ დავენიშნე მე. ძველი გამგებელი გადააყენეს ჩემი ავტორიტეტიდან გამომდინარე. იქ, ფაქტობრივად, 90 პროცენტი ნაციონალური მოძრაობა იყო, მაგრამ იქ იყვნენ ჩემი ყოფილი სპორტსმენები, ჩემი ნათესავებიც, ამ დეპუტატებმა მოუწყვეს იმპიჩმენტი ძველ გამგებელს და დამნიშნეს მე. სამწუხაროდ, შეცდომა მაშინ იქნა დაშვებული, რომ ჩემი არჩევის სხდომას არ ესწრებოდა კოალიციის ერთ-ერთი ფრაქცია. არც გამგებლის იმპიჩმენტს და არც ჩემს არჩევას არ დასწრებიან „რესპუბლიკელები“. შეგიძლიათ, გაიკითხოთ. შეიძლება, ჩემთვის ხმა არ მოეცათ, მაგრამ ძველი გამგებლის იმპიჩმენტს ხომ უნდა დასწრებოდნენ?! ამის მერე, კიდევ ესენი მადანაშაულებენ „ნაციონალების“ ლობირებაში და „ნაციონალი“ ხარო? რაზე ველაპარაკო მაგათ, საერთოდ?

**— ბატონო ოლეგ, მანდ თუ „რესპუბლიკელები“ გებრძვიან, ახლა ხიდაშელმა, უსუფაშვილმა და ბერძენიშვილებმა რომ მოითხოვონ ოლეგ იაძის წასვლა?**

— არასერიოზული მოთხოვნაა და მაგ დონის პოლიტიკოსები ხომ არ არიან, ეგ მოითხოვონ? რადგან ჩემი გადაყენება შეუძლია მხოლოდ 27-კაციან საკრებულოს, რაც გამორიცხულია.

**— ივანიშვილმა რომ მოითხოვოს, კასპში დაძაბულობის განმუხტვისთვის ასე სჯობსო?**

— ბატონ ბიძინას მე პრობლემას არ შევუქმნი. რას მელაპარაკებით?! არც პრემიერი მოითხოვს ასეთ რამეს. ის კი არა, მე რომ მომინდა ახლა ბატონ ბიძინას შევხვდე, ეგეც კი მერიდება. არ მინდა, ჩემს პრობლემებზე ვესაუბრო, ისედაც ამდენი პრობლემაა ქვეყანაში.

**— ივანიშვილს ვისი დახმარებით უნდა შეხვდეთ?**

— რა ვიცი, ჯერ ერთი, გამგებელი ვარ. გნებავთ, პარლამენტიდან, გნებავთ — სხვა საშუალებით. ჩემს მაჟორიტარ დეპუტატს, დავით ონოფრიშვილს რა, არ შეუძლია, რომ შემახვედროს?!

**— ბატონო ოლეგ, თქვენს წინამორბედს იმპიჩმენტი რომ მოუწყვეს, დარღვევები ჰქონდა?**

— მე მოვითხოვე აუდიტი და რაიონში შემოსულია ფინანსური პოლიცია და ისინი იკვლევენ. მე, აბა, რა გითხრათ? მე კაცი ვარ და ვერც იმას ვიტყვი და ვერც — ამას ფაქტების გარეშე. იმას ვიტყვი, რომ ჩემი წინამორბედი, კახა ხაჩირაშვილი ისევე, როგორც ბევრი „ნაციონალებიდან“, ჩემი აზრით, მსხვერპლი იყო. კასპის საკრებულოს თავმჯდომარეც მსხვერპლია ამ მავნებლური მოძრაობის. იმხელა მსხვერპლია, რომ დღესაც კი სწამს და საფლავში მისდევს „ნაცმოძრაობას“. მე ვამტყუნებ, რომ პირადულში კარიერას იფუჭებს, თუმცა ქართველობაში იმის გარდა, რაც პოლიტიკაა, არსებობს კაცობაც და შეიძლება, კაცობაში გავამართლო კიდეც, მაგრამ კარიერას იფუჭებს.

**— ბატონო ოლეგ, ახლა ძალიან აქტუალური საკითხია და საქართველოს პრეზიდენტად ვისი კანდიდატურა მოგწონთ?**

— საქართველოში, ბიძინა ივანიშვილის გარდა, ღმერთმა არ ქნას, რომ ვინმე გახდეს საქართველოს პრეზიდენტი. ბიძინა ივანიშვილი უნდა იყოს საქართველოს პრეზიდენტი 8 წელი, ორივე ვადით. 8 წელი ივანიშვილი რომ იქნება პრეზიდენტი და ხალხი კარგად იქნება, იმ 8 წლის მერე, ვერც ერთი, სააკაშვილისნაირი ვეღარ მოერევა. ერთადერთი ადამიანი უნდა იყოს ქვეყნის პრეზიდენტი, ეს არის ბატონი ბიძინა ივანიშვილი. მას სულითა და გულით უნდა ქვეყნის ბედნიერება. ერთადერთი, ვისაც ეცოდება ქართველი ხალხი, ესაა ბიძინა ივანიშვილი.

**— გაირკვა, რომ ირაკლი ალასანიასაც ნდომებია პრეზიდენტობა.**

— მინდაო. მერე რა არის ამაში ცუდი? მე ის ჯარისკაცი შემირცხვენია, ვინც გენერლობაზე არ ფიქრობდეს. პრეზიდენტობა მარტო ალასანიას კი არა, ბევრ სხვასაც უნდა... ივანიშვილთან, რა თქმა უნდა, შეთანხმებული უნდა ყოფილიყო.

**— თქვენი აზრით, კოალიცია „ქართული ოცნება“ დიდხანს შეინარჩუნებს ერთიანობას?**

— კოალიცია კარგია, რომ შენარჩუნებული იყოს, მაგრამ ისიც კარგია, რომ ყველა პარტიამ თავისი ძალა დაანახოს ხალხს, ვინ რას წარმოადგენს. ამ კოალიციის შიგნით თავი რომ მოაქვთ, მათ შევახსენებ, კოალიციაში შემავალი ნებისმიერი პარტია, ბატონი ბიძინას გარეშე, ვერაფერს იზამს, ამას ვამბობ ხმამაღლა!

# ფიქრია ჩიხრაძე სამთვიან დუმილს არღვევს და „ოცნებას“ სკანდალურ ბრალდებებს უყენებს

ნინო კომახიძე
პოლიტიკა

**გარდამავალი „კრიშები“ და მონოპოლიები „ოცნებაში“, დისკრედიტებული „ნაციონალური“ ოპოზიცია და ზოოპოლიტიკური კატათაგვობანა ქვეყნის ორ წამყვან ძალას შორის — აქტიურ პოლიტიკაში დაბრუნებული ახალი მემარჯვენეები, დელიკატური ფინანსური და პოლიტიკური მდგომარეობის მიუხედავად, მორიდებულნი არც შეფასებებში არიან და არც — გეგმებში. პარტიას ახალი ინიციატივებიც აქვს და ახალი ლიდერიც ჰყავს — ფიქრია ჩიხრაძე, რომელიც არჩევნების შემდეგ, სამთვიან დუმილს არღვევს და პირველ ექსკლუზიურ ინტერვიუს „ვერსიას“ აძლევს.**

## „ახლების“ ახალ ლიდერს „ნაციონალებისა“ და ახალი ხელისუფლების კოჰაბიტაცია კატათაგვობანას აგონებს!

— ტაიმაუტი სამ თვეზე ცოტა მეტხანს გაგვიგრძელდა, რასაც თავისი ობიექტური მიზეზები ჰქონდა, მათ შორის, ერთ-ერთი ისიც იყო, რომ ახალი ხელისუფლებისთვის უნდა გვეცლია. ჩასაფრებულნი ნამდვილად არ ვართ, არც ის გვინდოდა, არჩევნებიდან 2 კვირაში გვეთქვა, აბა, დაპირებული, რეალური ნაბიჯები რატომ არ იდგმებაო... პარტიის ლიდერის პოსტიდან დავით გამყრელიძის წასვლა ჩვენთვის იოლი არ იყო. დათო პარტიაში რჩება, მაგრამ ქართული პოლიტიკისთვის სამწუხაროდ, გადაწყვიტა, ამ სფეროს ჩამოშორდეს, თუმცა საკადრო ცვლილებებსა და ბევრ სხვა საკითხში სწორედ მისი რეკომენდაცია გავითვალისწინეთ.

**— პარტიის ახალ ლიდერად რეკომენდაცია დავით გამყრელიძემ გაგიწიათ?**

— ეს, ალბათ, არც ხალხისა და არც ჩვენი პარტიისთვის სიურპრიზი არ ყოფილა. ისიც ცხადია, გამყრელიძის განწყობას დიდი მნიშვნელობა ექნებოდა. პირდაპირ გეტყვით, მისი ლიდერობის ქვეშ თავს ძალიან კარგად ვგრძნობდი და ვიცი, ძნელია, გამყრელიძე პოლიტიკურ პოსტზე შეცვალო, თუნდაც — საკუთარ პარტიაში, ამიტომ, მდგომარეობა, რაშიც 11 წელი ვიყავით, ბევრად მერჩივნა, მაგრამ რეალობა შეიცვალა და ახლა, პარტიის მომავალსა და ხალხზე, ვინც წლების განმავლობაში, პრინციპებს არ უღალატა და სხვაგან არ გადახტა, პასუხისმგებელი უკვე მე ვარ.

**— ახლა „მემარჯვენეებიდან“ „ოცნებაში“ „გადამხტარ“ ერთ-ერთ გამოკვეთილ ლიდერს გადაწვდით?**

— ნამდვილად არა! ჩვენ ამ თემაზე და ასეთ ტონალობაში არასოდეს ვსაუბრობთ, მაგრამ თავს მოვიტყუებ, თუ ვიტყვი, რომ ძველებური მეგობრობა გვაქვს, თუმცა ადამიანური ურთიერთობა ყველასთან გვაკავშირებს. გადახტომის პროცესს, სხვათა შორის, დღეს პარლამენტში უფრო ვხედავთ, როცა პოლიტიკაში მყოფი ადამიანების მარადიული კასტა ყოველთვის მმართველ გუნდთან ყოფნას ცდილობს და ამას იოლად და ოსტატურად ახერხებს.

**— ისე, საარჩევნოდ „ახლები“ ბოლოამოსუნთქვამდე მუშაობდით, მაგრამ დამარცხდით და გვერდი ვერც „გადახტომებს“ აუარეთ. ამბობენ, რომ იშლებით და ძალიან მწირი რეგიონული რესურსი დაგრჩათ. მართალია?**

— აბსოლუტური სიცრუეა — ჩვენი სტრუქტურების 95% შენარჩუნებულია! არჩევნებამდე ცალკეული გვარები „ოცნებაში“ გადავიდნენ და ამაზე დიდხანს საუბარს არ ვაპირებ, რამდენიმე ადამიანი „მემარჯვენედ“ დარჩა, მაგრამ აქტიური პოლიტიკური ბრძოლიდან გავიდა და იმაზეც იზრუნა, შემცვლელი დაეტოვებინა. ცხადია, გარკვეული რყევა ყველა, მით უმეტეს, ასეთ პოლარიზებულ არჩევნებს ახასიათებს. „ახლების“ უშედეგო ბრძოლის მიუხედავად, არჩევნების შედეგებს ვაღიარებთ, თუმცა არ დაგიმალავთ: სწორედ ამ არჩევნებზე იყო სეგმენტი, რომელიც პირდაპირ მეუბნებოდა, არ გვეგონა, ოდესმე ხმას ისევ სააკაშვილს თუ მივცემდით, მაგრამ ქვეყნის საგარეო კურსის ცვლილების შეგვეშინდაო. ისიც კომიკურია, როცა ხალხი მეკითხება, როდის გააქტიურდებითო და ვპასუხობ, ახალ ხელისუფლებას ვაცადოთ-მეთქი. ბევრს ესმის, რომ პროცესის უსისხლოდ დასრულების მიუხედავად, მიზანი მიღწეული მაინც არ არის: არც ქვეყანაა უფრო დემოკრატიული და არც პოლიტიკური სისტემა — მრავალპარტიული.

მრავალპარტიულობის გარანტი არც კოალიციაში რამდენიმე პარტიის ყოფნაა და არც „ნაციონალების“ ოპოზიციონერობა, რადგან მათი დღევანდელი ოპონირება, რაც უნდა სამართლიანი და სწორი იყოს, არადამაჯერებელი და აბსოლუტურად მიუღებელია!

ვისაც მახსოვრობა არ ღალატობს, კარგად იცის, რომ ეკონომიკური დანაშაულის დეკრიმინალიზაციას პირველები სწორედ „ახლები“ ვითხოვდით. რამდენიმე დღის წინ კი, ამ იდეით სააკაშვილი გამობრძანდა. მისი მოსმენის შემდეგ, იდეის მხარდაჭერის კი არა, პროტესტის სერიოზული გრძნობა გამიჩნდა — ამ კაცსა და მთელ პარლამენტს ესმოდა, ამ თემას ყველა ტრიბუნიდან როგორ ვლობირებდით, მაგრამ არავინ არაფერს აკეთებდა! სხვათა შორის, არც „ოცნებას“ სჭირდება კვალიფიციური ოპონირება, კოალიციის შიგნით ნაშობი ოპოზიცია კი როგორი უნდა იყოს, ჩემთვის დიდ გამოცანას წარმოადგენს!

**— ქალბატონო ფიქრია, თან ამას ამბობთ და თან ხალხს ეუბნებით, ახალ ხელისუფლებას ვაცალოთო. ამ „ორმაგი რეჟიმიდან“ როდის უნდა გამოხვიდეთ?!**

— უბრალოდ, რაღაც მიმართულების გამოსაკვეთად დროს ველოდით, თან გასაკრიტიკებელიც ხომ უნდა ყოფილიყო? ჰოდა, ჩავთვალეთ, რომ ეს დრო იანვრის ბოლოს დადგა! ავიღოთ, თუნდაც, ქვეყნის საგარეო კურსი — იმის თქმა, რომ ის აშკარად პრორუსულია, ძალიან გამიჭირდება, მაგრამ საერთოდ, რა კურსია, ვერ გამირკვევია. ჯერ ერთი, გაუგებარია, ვინაა გადაწყვეტილებების მიმღები. მეორეც, ლოგიკის დაჭერაც რთულია, თუნდაც ისრაელის კონფლიქტთან მიმართებაში გაჟღერებულ პოზიციაში. გაურკვეველია, ამ პოზიციამ ჩვენს ოკუპირებულ ქვეყანას რა სარგებელი მოუტანა! თუ მართლა თვალები უნდა დავხუჭოთ ტერმინ „ოკუპაციაზე“, რათა ურთიერთობა აღვადგინოთ, ერთ მშვენიერ დღეს, შეიძლება, ზურგშექცეულნი დავრჩეთ დასავლური სამყაროსგან, რომელიც ჩვენთვის, მართლაც, ბევრს აკეთებს და არ მომწონს ქართული საზოგადოების დაუნახაობა!

**— „ოცნების“ ინიციატივა რუსეთთან სარკინიგზო მიმოსვლისა და სავაჭრო ურთიერთობის აღდგენასთან დაკავშირებით, რატომ არ მოგწონთ?**

— რუსეთის ბაზრისგან მითს ნუ შევქმნით, თითქოს ჩვენი ეკონომიკა მხოლოდ მასზეა დამოკიდებული და ამის ხათრით კურსს უნდა გადავუხვიოთ. დღეს ამ ბაზრის უდიდესი ნაწილი სხვადასხვა ქვეყნის პროდუქციითაა ათვისებული და ნუ გვექნება პრეტენზია, რაკი რუსებმა ქართულ ბორჯომს, მანდარინისა და ღვინოს გემო ერთხელ გაუსინჯეს, ეს გემო აღარასოდეს დაავიწყდებათ! ეს საბჭოეთიდან გამოყოლილი ილუზიაა, რომელსაც ნელ-ნელა უნდა დავემშვიდობოთ, მაგრამ ხელში არც იარაღი უნდა ავიღოთ და ვაჟღარუნოთ!

**— ლოგიკურად, სოფლის მეურნეობასთან მივედით — ალბათ, იმაში ვერ შეგედავებიან, რომ თქვენს მიერ წამოწეული ეს თემა, „ოცნებამ“ და „ნაციონალებმა“ აიტაცეს, დაპირებების კორიანტელიც დააყენეს, მაგრამ ხვნათესვამდე არცთუ შორია და ამაზე ხმას აღარ იღებენ. ეს რას ნიშნავს?**

— სერიოზული პლაგიატის მიუხედავად, ის მაინც მოვახერხეთ, რომ სოფელი ქართული პოლიტიკის პრიორიტეტად ვაქციეთ! პოლარიზებულ გარემოში, როცა ეს საკითხი ყველა ძალის წამყვან საარჩევნო თემად იქცა, ჩვენ, რა თქმა უნდა, დავიჩაგრეთ, მაგრამ დღეს ამაზე აღარც „ნაციონალები“ საუბრობენ და აღარც — „ოცნება“. უდავოა, ამ სამი თვის მერე, სოფლის მეურნეობაში რაღაც მიმართულება მაინც უნდა გამოჩენილიყო, მაგრამ არაფერი ჩანს. არც ამ სამინისტროს ბიუჯეტი იძლევა იმედს, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში, სოფელი ახალი მთავრობის პრიორიტეტია. დღეს ბევრად მეტი ხმაური დაჭერებსა და გამოძიებებზეა ატეხილი და სხვა მნიშვნელოვანი თემები უკანა პლანზე რჩება! მაგალითად, გაუგებარია დაზღვევის სქემა და ანეკდოტურია, როცა მინისტრი მიხსნის, ჯერ გადაწყვეტილება მივიღე, ხარჯს კი მერე დავთვლიო. კიდევ უფრო გაუგებარია ანტიმონოპოლიური სამსახურის ბედი, როცა საარჩევნოდ, „ოცნება“ სულ ამაზე საუბრობდა!

**— ჯერ საკანონმდებლო ბაზა მზადდებაო, გეტყვიან...**

— ძალიან სიმპტომატურია, როცა პსპ-ს ხელმძღვანელი პარლამენტში ახალი ხელისუფლების მხარდამჭერი და ძველის საწინააღმდეგო განცხადებებით გამოდის! დეპუტატების ეს სეგმენტი გარდამავალი დროშასავითაა, მაგრამ სამწუხაროდ, მონოპოლიაც გარდამავალი აღმოჩნდა და წინგადადგმული ნაბიჯი ვერც ამ საკითხში დავინახეთ. ასე რომ, „ოცნებამ“ უნდა განმარტოს, იმას რატომ არ აკეთებს, რასაც წინა ხელისუფლებისგან ითხოვდა. „ნაციონალებს“ მონოპოლიური ბიზნესების ე.წ. კრიშებად მივიჩნევდით. ჰოდა, გამოდის, მხოლოდ „კრიშა“ იცვლება!

**— ქალბატონო ფიქრია, ვიდრე დუმდით, სამართლიანობის აღდგენის პროცესი ახალაიასა და სხვა, ნაკლებგამოკვეთილი ლიდერების დაჭერით დაიწყო, ბევრი, უზარმაზარი გირაოს სანაცვლოდ, გაათავისუფლეს, დიდი ამნისტია გამოაცხადეს და 200 ადამიანი პოლიტპატიმრად შერაცხეს... ყველა ეს აქტუალური თემა შეაფასეთ...**

— პოლიტპატიმრების თემა კრიტიკას ვერ უძლებს! იმ ხალხის გათავისუფლება, ვინც ციხეში გარკვეული პოლიტიკური მოვლენების გამო აღმოჩნდა, ცხადია, შეიძლებოდა, მაგრამ ასე, უაპელაციოდ, ყველასთვის პოლიტპატიმრის სტატუსის მიცემა, ამ სტატუსის დაკნინებაა და მეტი არაფერი! შეიძლება, ამ პრეტენზიით ხვალ ისეთი ხალხი გამოვიდეს, რომელიც „ოცნებასაც“ უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდებს. ხალხი, ვინც ამ სიაშია და მომავალშიც იქნება, შესაძლოა, იყო მსხვერპლი და დაზარალებული, მაგრამ არავითარ შემთხვევაში — პოლიტპატიმრები! როცა მიტინგზე გავლილ ადამიანს აპატიმრებ, ის სწორედაც მსხვერპლია და არა — პოლიტიკური პატიმარი, ამიტომ ამ თემას ცოტა სერიოზულად უნდა მიდგომოდნენ! საერთოდ, სჯობდა, ისინი სასამართლო გადაწყვეტილებით გათავისუფლებულიყვნენ. ხალხს სამართლიანობის აღდგენის მოლოდინი, მართლაც, აქვს, მაგრამ ნდობას გამართლება სჭირდება. ყველა კანონის ნორმების სრული დაცვით უნდა გასამართლდეს, უდანაშაულობის პრეზუმპცია არ უნდა ირღვეოდეს, სასამართლოზე ზეწოლა არ უნდა ხდებოდეს. ახალი მთავრობისგან კი, ყველა პრეტენზიის პასუხად ვისმენთ, „ნაციონალები“ იგივეს არ აკეთებდნენო?! ამ არგუმენტს ხალხი არ მიიღებს! გუნავა აქამდე, თვალთახედვის არეშიც არ მომხვედრია, მაგრამ როცა ვიგებ, ნარკოტიკიან წყალს რომ ასმევენ, პროტესტის გრძნობა მაქვს. ვიცი, როგორ დაალევინეს ნარკოტიკი ედიშერ ჯობავას, „ახლების“ ხობის ორგანიზაციის თავმჯდომარეს და მერე, ნარკოტიკის შენახვისთვის, ერთი წლით ციხეში ჩასვეს — ეს ამაზრზენი პრაქტიკა უნდა დასრულდეს და „ოცნებამ“ იმის სათქმელად არ უნდა გამოიყენოს, დამნაშავეს ვიჭერ, ხალხის დაკვეთას ვპასუხობო!

*დასასრული მე-6 გვერდზე*

## შსს-მ ორი კრიმინალური ფაქტი გახსნა

თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტზე, 1994 წელს დაბადებული ლუკა ჯ. დააკავეს.

დაკავებულმა, 2013 წლის 19 იანვარს, თბილისში, სამტრედიის ქუჩაზე, საფეხბურთო სტადიონზე, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, მუცლის არეში დანით დაჭრა საჩხერის რაიონის სოფელ კორბოულში მცხოვრები, 1994 წელს დაბადებული ტარიელ გოგალაძე და ამავე სოფლის მკვიდრი, 1993 წელს დაბადებულ მირზა გოგალაძე. მან, ასევე, მუცელსა და ზურგის არეში დაჭრა რუსთავში მცხოვრები, 1988 წელს დაბადებული მამუკა მურუსიძე. ბრალდებული შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

დაჭრილები სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ ღუდუშაურის სახელობის კლინიკურ საავადმყოფოსა და ქირურგიის ინსტიტუტში მოათავსა. ამჟამად მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს ისანი-სამგორის სამმართველოს მესამე განყოფილების თანამშრომლებმა კი, ქურდობის ბრალდებით, 1977 წელს დაბადებული დიმიტრი დ. დააკავეს.

დაკავებული, 2012 წლის სექტემბრიდან დეკემბრის ჩათვლით, თბილისში, კრწანისის ქუჩაზე მშენებარე საცხოვრებელი კორპუსიდან ცენტრალური გათბობის ქვაბებს ეტაპობრივად იპარავდა.

*„ჯი-ეიჩ-ენი“*

## ლევან ვასაძე: „პატრიარქმა ხაზი გაუსვა, რომ საქართველო განწყობილია რუსეთთან სამეგობროდ“

**„მისმა უწმინდესობამ, თუ შეიძლება ასე ითქვას, არ დატოვა იოტისოდენა ეჭვიც კი იმის შესახებ, რა არის მიზეზი სირთულისა ჩვენს ურთიერთობებში. მან რამდენჯერმე, ყველაზე მაღალი ტრიბუნებიდან გაუსვა ხაზი, რომ საქართველო განწყობილია რუსეთთან სამეგობროდ და ამისთვის საჭიროა, აღდგეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა. ეს მან გაიმეორა პატრიარქ კირილთან, სინოდის წევრებთან შეხვედრაზე, პრეზიდენტ პუტინთან და, ალბათ, ის არის ერთადერთი ადამიანი, ვისგანაც რუსები ამ უხერხულ თემას, ასეთი კრძალვით, მორიდებითა და თავმდაბლობით მიიღებდნენ“,** — განუცხადა ჟურნალისტებს ლევან ვასაძემ.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე მოსკოვიდან სამშობლოში 26 იანვარს დაბრუნდა, სადაც მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის, კირილის მიწვევით, 5-დღიანი ვიზიტით იმყოფებოდა. ილია მეორე „მართლმადიდებელ ხალხთა ერთობის ფონდმა“ სპეციალური პრემიით დააჯილდოვა, რომელიც მართლმადიდებელი ხალხების დამეგობრებაში შეტანილ განსაკუთრებულ წვლილს უკავშირდება.

ვიზიტის ფარგლებში, უწმინდესი მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქს, მის უწმინდესობა კირილს შეხვდა და პატრიარქებმა, წმინდა სინოდის წევრებთან ერთად, კრემლის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარში წირვა ჩაატარეს. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინსაც შეხვდა.

სასულიერო პირების დელეგაციის წევრებს შორის იმყოფებოდნენ საპატრიარქოს საგარეო განყოფილების თავმჯდომარე, ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტი გერასიმე შარაშენიძე, პატრიარქის ქორეპისკოპოსი, მიტროპოლიტი თეოდორე ჭუაძე, ბათუმისა და ლაზეთის მიტროპოლიტი დიმიტრი შიოლაშვილი, პროტოპრესვიტერი გიორგი ზვიადაძე, არქიმანდრიტი დავით ჭინჭარაული, არქიდიაკონი დემეტრე დავითაშვილი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ზაზა აბაშიძე.

*„ინტერპრესნიუსი“*

# სააკაშვილის ფინანსური ამნისტია — უკანონოდ მითვისებული ბიზნესის დაკანონების მზაკვრული გეგმა

## მამია სანადირაძე „ნაციონალთა“ მიღიარდობით ქონების შემსწავლელ კომისიას ქმნის და რეჟიმის გასამართლებას ითხოვს!

მაია მიშელაძე
ეკონომიკა

**კომპანია „კავკასუს ონლაინის“ ყოფილი მფლობელი მამია სანადირაძე ფინანსურ და საგადასახადო ამნისტიას ეწინააღმდეგება და ახალი ინიციატივით გამოდის. ამასთან, არსებულ სამართლებრივ სისტემას უნდობლობას უცხადებს და კომისიის შექმნას გეგმავს, რომელიც ექსპერტებისგან, პროფესორებისა და პარლამენტარებისგან დაკომპლექტდება. კომისია ნაციონალური მოძრაობის მაღალჩინოსანთა ქონების წარმომავლობას შეისწავლის.**

**საზოგადოებრივი მოძრაობა „მართალი სამართალი ღირსებისათვის“ ხელმძღვანელი მამია სანადირაძე „ვერსიას“ იმ დანაშაულებრივ სქემას უშიფრავს, რომლითაც ბიზნესმენებმა, წინა ხელისუფლების დროს, ქონება დაკარგეს. ამასთან, „კავკასუს ონლაინის“ ყოფილი მფლობელი იხსენებს, როგორ ჩაიგდეს მისი კომპანია სააკაშვილთან დაახლოებულმა „მეხინკლე“ ბიზნესმენებმა — ძმებმა შარანგიებმა ხელში და როგორ მოხვდნენ „შემოიხედე გენაცვალეს“, „ქალაქურისა“ და „ძველი სახლის“ მფლობელები ინტერნეტ-ბიზნესში.**

## როგორ „დააწერეს“ მამია სანადირაძეს სააკაშვილთან დაახლოებულმა „მეხინკლე“ ბიზნესმენებმა — ძმებმა შარანგიებმა „კავკასუს ონლაინი“ და როგორ უნდა დაიბრუნოს ადამიანმა ბიზნესი, რომელსაც ციხეში, ცოლის გაუპატიურების მუქარით, ქონება სხვაზე გადააფორმებინეს

**— ბატონო მამია, რატომ არ ეთანხმებით ფინანსურ და საგადასახადო ამნისტიას?**

— საპარლამენტო უმცირესობის ეს ინიციატივა იმ კომპანიებს ეხება, რომლებმაც დიდი ქონება ხელში საეჭვო მაქინაციებით ჩაიგდეს და რომელი მაქინაციებითაც ათობით და ათასობით ბიზნესმენი გაიძარცვა. სამაგიეროდ, ერთი მუჭა ბიზნესმენები გამდიდრდნენ და დღეს იმაზეა საუბარი, ეს მიტაცებული ქონება დაუკანონდეთ. გაძარცვულ ბიზნესმენთა 90%, არსებულ საკანონმდებლო ჩარჩოში, წართმეული ქონების წარმომავლობას ვერ ამტკიცებს, ის 10% კი, რომელსაც ამის დამტკიცება შეუძლია, სააკაშვილისა და მისი ორგანიზებული, დანაშაულებრივი ჯგუფების წევრი მოსამართლეების ხელში მოხვდება, რომლებიც სასამართლო პროცესებს, ალბათ, წლობით გაწელავენ.

მეორე თემაა საგადასახადო ამნისტია, რომელიც გადაუხდელ გადასახადებს ეხება. ესეც მახინჯი და მზაკვრული მოთხოვნაა, რადგან გადაუხდელ გადასახადებს მხოლოდ ნაციონალურ მოძრაობასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებსა და კომპანიებს პატიობდნენ. ამ მოთხოვნითაც გვასულელებენ, თორემ, მაგალითად მე, თუნდაც 1 ლარის არგადახდა ვინ მაპატია? ხალხის გასულელებას თავი დაანებონ! მიხეილ სააკაშვილისა და ყოფილი მმართველი ძალის კრიმინალურ გეგმას არ ავყვებით და მოვითხოვთ, საქართველოში, ერთხელ და სამუდამოდ, სამართალმა პური ჭამოს. მძარცველი და თაღლითი კი, დაისაჯოს! ყველა ის მოყაჩაღო და კრიმინალური ელემენტი, ვინც ბოლო 25 წლის განმავლობაში, ხალხს ძარცვავს და სახელმწიფო ქონებას იპარავს, მოგებულია, რადგან ნაძარცვ ქონებას ახალ მთავრობას უნაწილებს და ხახლის ძარცვას ახალი ხელისუფლების პირობებშიც განაგრძობს. ჩემი ინფორმაციით, ახლაც მიმდინარეობს ფუსფუსი და სიტუაციის დალაგება — ნათესავებისა და მეგობრების საშუალებით ცდილობენ, სხვადასხვა გზა იპოვონ. სააკაშვილის ფსევდოინიციატივაც სწორედ, ნაძარცვი ქონების ლეგალიზაციასა და ქვეყანაში დაუსჯელობის სინდრომის გაძლიერებას ემსახურება.

**— გაქვთ კონკრეტული ფაქტები, ვინ ცდილობს ახალ ხელისუფლებასთან ურთიერთობის დალაგებას?.. ძმები შარანგიები, რომლებმაც თქვენი კუთვნილი „კავკასუს ონლაინი“ გადაიფორმეს, თურმე, ბიძინა ივანიშვილთან მეგობრით ტრაბახობენ.**

— ეჭვის საფუძველი ისაა, ეს ხალხი თავს დღემდე ლაღად რომ გრძნობს. მხოლოდ შარანგიების კი არა, იმ ბიზნესჯგუფების ქონებაც ხელშეუხებელია, რომლებიც ძველ მთავრობასთან ერთად, ზემოხსენებულ კომბინაციებში მონაწილეობდნენ. მართალია, დამადასტურებელი დოკუმენტები არ მაქვს, მაგრამ ბევრი მაწვდის ინფორმაციას და ვიცი, შარანგიებს ტრაბახით უთქვამთ, ახალ ხელისუფლებასთან ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს და ვმეგობრობთო.

ჩვენს ორგანიზაციაში ექსპერტები, პროფესორები და, საერთოდ, ის ხალხი მოვიწვიეთ, ვინც მთელი ცხოვრება სამართლებრივ საკითხებზე მუშაობს. ვიმსჯელეთ და აღმოჩნდა, რომ კანონმდებლობა მთლიანად წინა ხელისუფლების კრიმინალურ საქმიანობაზეა მორგებული და, როგორც აღვნიშნე, მოსამართლეები პროცესებს წლობით გაწელავენ. ამასობაში კი, კომპანია თუ საწარმო, რომლის დაბრუნებასაც ბიზნესმენი შეეცდება, გაიძარცვება, ვალები დაუგროვდება და პატრონს გამოწურული ლიმონივით მიუგდებენ. მაგალითად, „კავკასუს ონლაინს“ ათეულობით მილიონი ლარის ვალი აქვს, რომელიც ყოველწლიურად იზრდება. ამასობაში, ბაზრის წილი იკარგება, კომპანიაში კი, „ზონდერები“ და ნაციონალური მოძრაობის აქტივისტები მუშაობენ, რომლებსაც ინტერნეტთან შეხება საერთოდ არ აქვთ. ეს იმიტომ ხდება, რომ „ნაციონალებმა“ საკუთარ აქტივისტებს ხელფასი გადაუხადონ. ეს მხოლოდ „კავკასუსს“ არ ეხება, ესაა ზოგადი სქემა, როგორ გაძარცვა სააკაშვილის კრიმინალურმა რეჟიმმა ქართული ბიზნესი.

**— ვიდრე „კავკასუს ონლაინზე“ დეტალურად ვისაუბრებთ, ერთს გკითხავთ: თუკი კანონმდებლობაა შესაცვლელი, რასაც დრო დასჭირდება, გამოსავალი სადაა და ქონებაწართმეულმა ბიზნესმენებმა რა ქნან?**

— როცა ნიურნბერგის პროცესზე ფაშისტებს ასამართლებდნენ, ყველა არ გაუსამართლებიათ. ამ პროცესზე კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული დამტკიცდა და ადამიანის ღირსების შემლახავი ფაქტები გამოვლინდა. თუ ერთ ფაქტს მაინც დავამტკიცებთ, რომ ადამიანს ღირსება აჰყარეს, ეს უნდა განზოგადდეს, პოლიტიკური შეფასება მიეცეს და რეჟიმი გასამართლდეს. ვაპირებთ, შევქმნათ კომისია, რომელიც ცრუმაგიერ პირებზე გაფორმებული მილიარდობით ქონების საქმეს გამოიძიებს.

> **დღეს საქართველოს ეკონომიკის 90%-ს, ცრუმაგიერი პირების საშუალებით, ისევ „ნაციონალები“ აკონტროლებენ, ათობით ათასი ადამიანი კი, გაძარცვულია. საერთოდ, ეშმაკს ეშმაკობაში ვერ აჯობებ. ამიტომ, მათ დახლართულ ბილიკებს არ უნდა გავყვეთ — „ნაციონალებს“ ყველაფერი წინასწარ ჰქონდათ განსაზღვრული. რა უნდა დაამტკიცოს მარჩენალდაკარგულმა ოჯახმა, რომლის ქონებაც მიიტაცეს ან რა ქნას იმ ადამიანმა, რომელსაც ციხეში, ცოლის გაუპატიურების მუქარით, ქონება სხვა პირზე გადააფორმებინეს? რომელი სასამართლო გაუძლებს, ათიათასობით საქმე განიხილოს? ზემოხსენებული კომისია ზედაეშელონების სახელმწიფო მოხელეების ხელში აღმოჩენილი მილიარდობით ქონების წარმომავლობას გამოიკვლევს და გამოიძიებს, როგორ გადაიფორმა, მაგალითად, ვიღაცის 80 წლის მამიდამ მილიარდიანი სუპერმარკეტი.**

**— შარანგიებმა „კავკასუს ონლაინი“ ხელში როგორ ჩაიგდეს. პროკურატურაში, ქონების უკან დაბრუნების მოთხოვნით, სარჩელი შეიტანეთ?**

— „კავკასუს ონლაინი“ შარანგიების, უფრო ზუსტად, „ჯი ემ სი ჯგუფის“ სასარგებლოდ, იძულებით გადამაფორმებინეს. სხვადასხვა სახელმწიფო ორგანიზაციამ ერთდროულად განახორციელა შეტევა კომპანიაზე: თავდაპირველად, კომუნიკაციების მარეგულირებელმა კომისიამ 660 000 ლარით, უკანონოდ დაგვაჯარიმა. ამის შემდეგ, საგადასახადოს თანამშრომლებმა გამოგვიცხადეს, ინტერნეტს იაფად ჰყიდით, რის გამოც სახელმწიფომ, დამატებითი ღირებულების გადასახადის (დღგ) სახით, 11 000 000 ლარი ვერ მიიღოო და 11 000 000 ლარით დაგვაჯარიმეს. არადა, ფასებს ბაზარი არეგულირებს — „გაერთიანებულ ტელეკომში“ ინტერნეტ-მომსახურება 15 ლარი ჯდებოდა და მეც ასე ვყიდდი. ბიზნესმენი ვარ და მეტად გაყიდვა რომ შემძლებოდა, გავყიდდი კიდეც. 11 000 000 ლარის გადახდა „კავკასუსს“ არ შეეძლო, არადა, თუ ამ თანხას არ გადავიხდიდი, დამაპატიმრებდნენ.

> **გარდა ამისა, გიორგი რამიშვილი, იგივე „ზარალა“, თავისი კომპანია „სილქნეტის“ სასარგებლოდ, ჩვენს კაბელებს ჭრიდა და ამაში მერიის თანამშრომლებიც მონაწილეობდნენ. აი, ასეთ ვითარებაში მოვიდნენ ჩემთან „ჯი ემ სი ჯგუფის“ წარმომადგენლები და მითხრეს, თუ ქონებას გადავუფორმებდი, ყველაფერს დაალაგებდნენ. იძულებული ვიყავი, ჩემი კომპანია „კავკასუს ონლაინი“ მათთვის გადამეცა, რადგან ფსიქოლოგიური ზეწოლის გარდა, უკმაყოფილო აბონენტებიც სხვა კომპანიაში გაედინებოდნენ. ერთ დღეს კი, ყველა სახელმწიფო ორგანიზაციამ, რომელიც ჩემს ქსელში იყო ჩართული, მომწერა, თქვენი კლიენტი აღარ ვარო. პრაქტიკულად, სახელმწიფომ საბოტაჟი მოგვიწყო. ეს ჩვეულებრივი ორგანიზებული დანაშაული გახლდათ, რომელიც ვანო მერაბიშვილმა დაგეგმა და „სილქნეტი“ თუ სხვადასხვა სახელმწიფო ინსტიტუტი გამოიყენა. იძულებული ვიყავი, კომპანია გადამეფორმებინა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ოთხი შვილით ქუჩაში ვრჩებოდი, რადგან ჯარიმების გამო, სახლსაც დავკარგავდი.**

უსამართლო სასამართლოზე იმედს არ ვამყარებ, ვაპირებ, ჩამოვაყალიბო საზოგადოებრივი აზრი, ხალხმა რეჟიმის გასამართლება რომ მოითხოვოს. ვინც დანაშაული ჩაიდინა, სამაგალითოდ უნდა გასამართლდეს, რათა სამომავლოდ, მთავრობაში ხელი აღარავის წაუცდეს და სუსტის დაჩაგვრა აღარ მოუნდეს.

*მე-5 გვერდიდან*

**— ოქრუაშვილისთვის 4 მძიმე ბრალდების მოხსნაც ხალხის დაკვეთა იყო? ამას იმიტომ გეკითხებით, რომ ექსმინისტრთან პირადად ყოველთვის დაძაბული ურთიერთობა გქონდათ...**

— ეს ურთიერთობა მაშინ იყო, როცა ოქრუაშვილი მრისხანე მინისტრი და „ნაციონალების“ მთავარი დასაყრდენი გახლდათ. მაშინ მას და მის მეთოდებს ყველა ტაშს უკრავდა და საზოგადოება აღფრთოვანებული იყო ახალი მინისტრით. ოქრუაშვილთან დაპირისპირება მისი „ზეობის ხანაში“ ძალიან რთული იყო, მაგრამ უკან არ დაგვიხევია. ახლა, თუ ვინმეს ოქრუაშვილი გმირად მიაჩნია, მას ვერაფრით ვუშველი! გარკვეული ლოგიკა, მართლაც იყო, რომ ის „ნაციონალებს“ მტრის ხატად სჭირდებოდათ, მაგრამ ივანიშვილს რაში სჭირდება, არ ვიცი, გამოჩნდება... ასე დაიწყო ნაციონალურმა მოძრაობამაც და თავიანთი მოღვაწეობის გარიჟრაჟზე ისე წამხდრებიც არ იყვნენ, როგორც 8 წლის მერე. ალბათ, დაიჯერეს, მუდმივად დაუსჯელნი დარჩებოდნენ. ახლაც, თუ ვინმე შეცდომას დაუშვებს, უნდა იცოდეს, რომ დაისჯება!

**— როგორც ყოფილი ვიცე-პრემიერი ალასანია, როგორც ითქვა, საკუთარ პარტიასთან დამოუკიდებელი კონსულტაციების გამო დაისაჯა, არა?**

— არ ვიცი, ეს დასჯა იყო, დატუქსვა თუ სხვებისთვის მაგალითის ჩვენება, თუმცა რაკი ყველა ლიდერი ამბობდა, რასაც ივანიშვილი გადაწყვეტს, ისე ვიზამთო, მიუხედავად იმისა, რომ ეს დამოკიდებულება არ მესმოდა, ასეც უნდა მოქცეულიყვნენ! ამ ფაქტში ცოტა საგანგაშოდ ის მეჩვენება, რომ ალასანიას იქ ყოფნა დასავლური კურსის მაჩვენებელი იყო. ცოტა ეჭვი მეპარება, ამ საკითხში ირაკლის გადამწყვეტი როლის შესრულება შეძლებოდა, მაგრამ ფაქტი მაინც უსიამოვნო გახლდათ.

## ფიქრია ჩიხრაძე სამთვიან დუმილს არღვევს და „ოცნებას“ სკანდალურ ბრალდებებს უყენებს

**— ახლა ნამდვილად იტყვიან, რომ თქვენი და „ნაციონალების“ შეფასება ერთმანეთს ემთხვევა!**

— დისკრედიტებულ ნაციონალურ მოძრაობას, რომელმაც ქართული საზოგადოება ძალიან გააბრაზა, პროდასავლურ კურსს ვერ გადავაყოლებთ! საგარეო კურსი, ბიზნესის ხელშეწყობა და პოლიტიკური ლანდშაფტი ჩვენთვის ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო და პროგრესი არც ერთ მათგანში არ ჩანს!

> **ჯერ იყო და, სააკაშვილს თავი პრეზიდენტად წარმოედგინა და მივიღეთ სუპერსაპრეზიდენტო მოდელი. ახლა შეიძლება, ივანიშვილის წარმოდგენების გამო, სუპერსაპრემიერო მოდელზე გადავიდეთ. საპარლამენტო მოდელის შემთხვევაში კი, როცა მთავრობა ერთი გუნდისაა, როგორც საპარლამენტო უმრავლესობა და პრეზიდენტიც ამ უმრავლესობამ უნდა აირჩიოს, მაშინ ვახტანგ ხმალაძის მიმართ ჩემი დიდი პატივისცემის მიუხედავად, ძალიან მეეჭვება, არბიტრობა მოახერხოს.**

მთელი ამ ხნის განმავლობაში, ამ ორ ძალას შორის ურთიერთობაში არა რაღაც კოჰაბიტაციური, არამედ კატათაგვობანას თამაშის განცდა რჩება.

**— კატა რომელია?**

— ხან ერთია, ხან — მეორე. როცა უგულავას გარშემო დაჭერები იწყება, ბუნებრივია, უგულავა თაგვია, მაგრამ ზოოპოლიტიკურ შეფასებებს აღარ გავაკეთებ, რადგან ცხოველები იმდენად მიყვარს, არ მინდა, ამ უბედურებაში გავხვიო!

**— ახლა თავად უნდა გაეხვიოთ აქტიურ პოლიტიკაში და მითხარით, „დაბრუნების“ აღსანიშნავად, „ახლების“ პირველი ნაბიჯი რა იქნება?**

— ქვეყანაში დემოკრატიულობის ხარისხის დასადგენად, ერთი მარტივი ტესტი არსებობს: როცა ბიზნესი თავისუფალია და მმართველ პარტიას კი არა, მისთვის სასურველ ოპოზიციას აფინანსებს, ე.ი. რაღაც უკეთესობისკენ იცვლება. ვნახოთ, ამ კუთხით რა მოხდება. ჩვენ მზად ვართ, რამდენიმე დღეში ქართულ და საერთაშორისო საზოგადოებას შევთავაზოთ ინიციატივა, რათა პოლიტიკური პროცესი ამ ორ ძალას შორის არ ჩაიკეტოს — უნდა შეიკრიბოს პარლამენტსგარეთ მყოფი პოლიტიკური სპექტრი და არასამთავრობო სექტორი, რადგან ვნახოთ, რა რესურსი გვაქვს მთავრობის ჯანსაღი ოპონირებისთვის. ეს არც მესამე ცენტრია და არც — ყბადაღებული მესამე ძალა, ეს საკუთარი შესაძლებლობების შეფასებაა, რომლის ეფექტურობის დიდი იმედიც მაქვს.

### როგორ „უცეხავდა“ სახელმწიფოს მილიონებს ჩოჩელი-მერაბიშვილის ტანდემი და რეალური მიზეზი, რის გამოც, „ზედაზენისთვის“ რუსეთის ბაზარი გაიხსნა

# ცეზარ ჩოჩელისა და ვანო მერაბიშვილის კრიმინალურ-კორუფციული „გრეხები“

მაია მიშელაძე
ეკონომიკა

**მცხეთა-მთიანეთის ყოფილი გუბერნატორი ცეზარ ჩოჩელი, წინასწარი დაკავების იზოლატორიდან, 200 000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს. სამართალდამცავებმა ჩოჩელს ბრალი ორი — 337-ე და 194-ე მუხლის მესამე ნაწილით წაუყენეს. გამოძიება ჩოჩელს სამეწარმეო საქმიანობაში უკანონო მონაწილეობისა**

**და უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის გამო ედავება, რომელთან დაკავშირებითაც ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა განცხადება გაავრცელა: „ცეზარ ჩოჩელს, როგორც საჯარო მოხელეს, კანონმდებლობით ეკრძალებოდა სამეწარმეო საქმიანობა და საწარმოს მართვაში მონაწილეობა. მიუხედავად აკრძალვისა, ის, ფაქტობრივად, ხელმძღვანელობდა შპს „ნიუ ენერჯის“, მფარველობდა და ხელს უწყობდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული პროექტების შესრულებაში. 2009 წლის ნოემბერში, ცეზარ ჩოჩელმა „ნიუ ენერჯის“ მოსთხოვა, რომ სხვადასხვა პროექტის განხორციელების შედეგად მიღებული შემოსავლები, შპს „ბერტას“ საბანკო ანგარიშზე გადაერიცხა, რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელი, მისი ძმა, იაგო ჩოჩელი იყო, თუმცა ამ ფირმასაც ცეზარ ჩოჩელი მართავდა. „ნიუ ენერჯიმ“ ჩოჩელის უკანონო მოთხოვნა დააკმაყოფილა და შპს „ბერტას“ 5 360 000 ლარი ეტაპობრივად გადაურიცხა. 2010 წლის ზაფხულში, ცეზარ ჩოჩელის მოთხოვნის საფუძველზე, შპს „ნიუ ენერჯიმ“, ჩოგბურთისა და კალათბურთის მოედნების მოსაწყობად, თურქეთიდან ჩამოიტანა 61 845 ლარის ღირებულების საჭირო ინვენტარი და თბილისში, სოფელ დიღომში, ცეზარ ჩოჩელის მეუღლის, სვეტლანა ჩოჩელის საცხოვრებელი სახლის ეზოში დაამონტაჟა. გამოძიების მიერ მტკიცებულებების შეფასებისა და საერთო ანალიზის საფუძველზე, ცეზარ ჩოჩელმა 5 421 845 ლარის შემოსავალი უკანონოდ მიიღო, რაც საჯარო მოხელის ყოველწლიურ ქონებრივ დეკლარაციაში არ აუსახავს“.**

**მოკლედ, ცეზარ ჩოჩელი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს, თუმცა გამოძიება გრძელდება... „ვერსიას“ კარგად ინფორმირებული წყარო დაუკავშირდა, რომელმაც ფულის გათეთრების კორუფციული სქემა დეტალურად გაუშიფრა. ინფორმატორის თქმით, ამ სქემაში ჩოჩელის „ნიუ ენერჯი“ მთავარი კომპონენტია, მაგრამ ყოფილი გუბერნატორი მარტო არ მოქმედებდა. „ვერსიის“ წყაროს ინფორმაციით, ფულის გათეთრების კორუფციული სქემა ცეზარ ჩოჩელისა და ვანო მერაბიშვილის „ბიზნეს-ტანდემის“ შედეგია. ამ ტანდემს დროდადრო, თურმე, საქართველოს წინა მოწვევის პარლამენტის წევრები — დავით ბეჟუაშვილი, კახა ოქრიაშვილი და დუშეთის ყოფილი გამგებელი ეხმარებოდა.**

### როგორ დაიწყო „ჩოჩელების ეპოპეა“ კონფლიქტის რეგიონში

კარგად ინფორმირებული წყარო გვიამბობს, რომ ცეზარ და იაგო „ჩოჩელების ეპოპეა“ მაშინ დაიწყო, როცა ჩრდილო კავკასიელმა, უფრო ზუსტად, ვლადიკავკასიელმა მოჭიდავეებმა, ძმებმა ხადარცევებმა, ჩოჩელებს 300 000 აშშ დოლარის ინვესტიცია გამოუყვეს. ამ თანხით, ჩოჩელებმა ახალგორში, პირველი ლუდის ქარხანა „ლომისი“ ააშენეს. წყაროს ინფორმაციით, ქარხანაში 50%-ს ხადარცევები, დანარჩენ 50%-ს კი, ჩოჩელები ფლობდნენ, მოგებაც ასე უნდა განაწილებულიყო, მაგრამ ჩოჩელებმა ხადარცევების გადაგდება მოინდომეს, ვლადიკავკასიელები განზრახვას მიუხვდნენ და ინვესტირება შეწყვიტეს. ამ წინააღმდეგობის გამო, ჩოჩელები ქარხნის სრულ მეპატრონეებად იქცნენ, მაგრამ ხადარცევებმა ლუდის ქარხანა მას შემდეგ დაიბრუნეს, რაც რუსეთმა საქართველოს ანექსია განახორციელა — 2008 წლის საომარი მოქმედებების დროს, ხადარცევები რუსებთან ერთად შემოვიდნენ, „ლომისის“ სრული დემონტაჟი განახორციელეს, ტექნიკა, ასევე მანქანა-დანადგარები 21 მანქანაზე დატვირთეს და სამხრეთ ოსეთის გზით, ყანჩავეთის გავლით, გაიტანეს.

სამართალდამცავებმა ცეზარ ჩოჩელი 24 იანვარს დააკავეს, ამასთან დაკავშირებით ნაციონალური მოძრაობის გენერალურმა მდივანმა ვანო მერაბიშვილმა განაცხადა, რომ ხელისუფლებამ დააპატიმრა ადამიანი, რომელიც ომის დროს, კონფლიქტის რეგიონის მოსახლეობას საკუთარ სახლში იფარავდა და მფარველობდა. მეტიც, ცეზარ ჩოჩელი დევნილ მოსახლეობას ფინანსურადაც ეხმარებოდაო. „ვერსიის“ წყარო კი, სულ სხვა ინფორმაციას ფლობს:

**„თავი დავანებოთ იმ ფაქტს, რომ ჩოჩელების უპასუხისმგებლო საქციელის გამო, ლუდის ქარხანა, რომელიც ახალგორში სრული დატვირთვით მუშაობდა და ქართულ პროდუქციას ქმნიდა, ინვესტორებმა უკან წაიღეს. 2008 წელს, როდესაც რუსეთ-საქართველოს კონფლიქტი იწყებოდა, ცეზარ ჩოჩელმა მოსახლეობა კი არ გააფრთხილა, რაც მისი, როგორც გუბერნატორის უშუალო მოვალეობა იყო, არამედ, ზრუნვა საკუთარი ქონების გადარჩენაზე დაიწყო — მთლიანად დაცალა საკუთარი სახლი და 1 500 სული ძროხა, ლომისის უღელტეხილისა და მლეთის გავლით, თეთრი არაგვის ხეობაში, ხევსურეთის მთებში, უსაფრთხო ადგილზე გაიყვანა. გარდა იმისა, რომ მოსახლეობა მოსალოდნელ უბედურებაზე არ გააფრთხილა, როცა საომარი მოქმედება სერიოზულ, ღრმა ფაზაში შევიდა, ცეზარ ჩოჩელმა ადგილობრივები აიძულა, ქართული სოფლები დაეტოვებინათ. ახალგორში რუსეთის ჯარი საომარი მოქმედებებით არ შესულა, მაგრამ მოსახლეობა იმისთვის გამოიყენეს, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით, ძალიან დიდი რაოდენობით თანხა გამოიყო. კორუფციული სქემის საშუალებით კი, ეს თანხა ცეზარ ჩოჩელისა და ვანო მერაბიშვილის ტანდემმა აითვისა“.**

### ფულის გათეთრების კორუფციული სქემის დეტალები

ამ ეტაპზე, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური მცხეთა-მთიანეთის ყოფილ გუბერნატორს 5 421 845 ლარის უკანონო შემოსავალს ედავება, მაგრამ წყაროს ინფორმაციით, ფულის გათეთრების შედეგად, ჩოჩელებისა და ვანო მერაბიშვილის ჯიბეში ბევრად უფრო მეტი თანხა დაილექა:

**„ცეზარ ჩოჩელმა და ვანო მერაბიშვილმა შექმნეს კომპანია „ნიუ ენერჯი“ და დაიწყეს სახელმწიფო დაკვეთების შესრულება. მეტიც, ეს კომპანია აბსოლუტურად ყველა სახელმწიფო ტენდერს იგებდა, რის შემდეგაც, სახელმწიფო დაკვეთების შესასრულებლად, ქვეკონტრაქტორებად სხვადასხვა ორგანიზაციას ასაქმებდნენ. ეს ორგანიზაციებიც მათი დაფუძნებული იყო. პირველი მსხვილი სახელმწიფო დაკვეთა წეროვანსა და მის შემოგარენში კომპაქტურად ჩასახლებული დევნილებისთვის სახლების, ანუ კოტეჯების მშენებლობის პროექტი იყო. ამ კოტეჯების მშენებლობაზე, აბსოლუტურად ყველა სახელმწიფო სტრუქტურა დახურული ციკლით მუშაობდა. ყველაფერი ასე დაიწყო: თავდაპირველად, წეროვანსა და მის შემოგარენში მიწა ძალიან დაბალ ფასად შეიძინეს — 280 ჰექტარ მიწის ნაკვეთში მხოლოდ 280 000 ლარი გადაიხადეს, რაც მიზერულია. ჩოჩელმა და მერაბიშვილმა სახელმწიფოს კუთვნილი მიწა, პრაქტიკულად, უფასოდ ჩაიგდეს და მერე ისევ სახელმწიფოს მიყიდეს, ოღონდ 221 000 000 ლარად! აი, ამ მიწაზე დაიწყო დევნილებისათვის კოტეჯების მშენებლობა ჩოჩელისა და მერაბიშვილის „ნიუ ენერჯისა“ და ასევე, ჩოჩელის კუთვნილი ბეტონის ქარხანა „ლუქსორის“ საშუალებით. ამავე მშენებლობაში იყო ჩართული ჩოჩელის კიდევ ერთი კომპანია „ნიუ პლასტი“, რომელიც დევნილების კოტეჯებისთვის სხვადახვა ზომის მილებსა და სახურავებს ამზადებდა. მეტიც, კოტეჯების მშენებლობაში ჩოჩელის საკუთრებაში არსებული ქვის სამტვრევი, ასევე ინერტული მასალების სარეცხი ობიექტებიც გამოიყენეს. ეს ობიექტები ახალგორში მდებარეობდა, მაგრამ რუსებსა და ოსებთან გარიგების შედეგად, აგვისტოს ომის დამთავრებიდან 6 თვის შემდეგ, ახალგორიდან ნელ-ნელა გამოიტანეს. ეს ობიექტები ქსანსა და ავჭალაში დაამონტაჟეს, საიდანაც დევნილების კოტეჯების ასაშენებლად საჭირო მასალები მიჰქონდათ. გარდა ამისა, „ნიუ ენერჯიმ“ ტენდერი მოიგო ავტობანის მშენებლობაზეც, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც, ცეზარ ჩოჩელი და ვანო მერაბიშვილი უზარმაზარ თანხას „ნიუ ენერჯისა“ და „ლუქსორის“ საშუალებით ათეთრებდნენ“.**

*დასასრული მე-9 გვერდზე*

## ქუთაისის პარლამენტის შენობაში, შესაძლოა, უცხოური ორგანიზაციები განთავსდეს

საპარლამენტო უმრავლესობის წევრის, ზურაბ ტყემალაძის თქმით, ქუთაისში მდებარე პარლამენტის შენობის ბედი ამ დროისათვის გადაწყვეტილი არ არის.

როგორც ტყემალაძე ამბობს, უმრავლესობა საკითხს განიხილავს და პარლამენტის შენობას იმგვარი ფუნქცია მიეცემა, რომელიც ეკონომიკური თვალსაზრისით, იმერეთისა და ქუთაისისათვის უფრო მომგებიანი იქნება, ვიდრე პარლამენტია.

**„იყო საუბარი უნივერსიტეტის განთავსებაზე, მაგრამ თვითონ შენობა არ არის უნივერსიტეტისათვის მოწყობილი. შესაძლოა, პარლამენტის შენობაში უცხოური ორგანიზაციები განთავსდეს“,** — ამბობს ტყემალაძე.

ცნობისათვის, საქართველოს პარლამენტი თებერვალში იმ კანონპროექტის განხილვას გეგმავს, რომლის მიხედვით, პარლამენტის ადგილსამყოფელი კონსტიტუციით არ განისაზღვრება. დეპუტატები პარალელურად, თბილისში მდებარე შენობის გარემონტებაზეც საუბრობენ.

*„ჯი-ეიჩ-ენი“*

## მოსკოვში ქურდული „სხადნიაკი“ აღკვეთეს

რუსმა სამართალდამცავებმა მოსკოვის ოლქში, ერთ-ერთ რესტორანში ე.წ. ქურდული შეკრება აღკვეთეს და მისი მონაწილე 23 კრიმინალი დააკავეს, — იუწყება რუსეთის შს სამინისტრო. აღნიშნულ შეკრებას რუსი და ბელორუსი ე.წ. კანონიერი ქურდები ესწრებოდნენ.

**„მოპოვებული ინფორმაციით, შეხვედრაზე უნდა გადაწყვეტილიყო ბელორუსიდან ჩასული სამი კრიმინალის ე.წ. კანონიერ ქურდად კურთხევის საკითხი. გარდა ამისა, შეხვედრაზე, რომელიც ერთ-ერთი მხცოვანი ე.წ. ქურდული გენერლის დაბადების დღის ზეიმის აღნიშვნის საფარქვეშ მიმდინარეობდა, უნდა განეხილათ მომავალი მოქმედებები „დედ ჰასანის“ მკვლელობის შემდეგ და ასევე, იმ ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების მოქმედებების კოორდინირება მოეხდინათ, რომლებიც ტარიელ ონიანის კლანს ექვემდებარებიან“,** — ნათქვამია რუსეთის ფედერაციის შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

*„ჯი-ეიჩ-ენი“*

facebook NEWS



**ნანა ხატიაშვილი**

გიულის ბუდეს ბიძომ გადაუფრინა.

facebook NEWS

**ხათუნა საგინაშვილი:**

ერბოკვერცხი ხალხმა უკვე შეწვა „ნაციონალების“ თავზე და ახლა, სანამ ამათ „პოსლიკა“ თავზე ხაშლამას არ მოხარშავენ, თავს არ დაგვანებებენ???

facebook NEWS

**შორენა მარსაგიშვილი:**

„ნაციონალებო“, 2011 წელს ყველას სომხობაზე რომ გქონდათ პრეტენზია, დაგავიწყდათ? აღარც ის გახსოვთ, 70 დეპუტატი გარეგინ მეორემ რომ დაგლოცათ ერევნული კანონის მისაღებად? სწორედ ამ ლოცვის მადლი შეგეწიათ არჩევნებზე. ვაგან ჩახალიანის ლანძღვას კი, მგონი, 2008 წლამდე ქსენოფობიად გვითვლიდით ჟურნალისტებს.

facebook NEWS

**შალვა რამიშვილი:**

უგულავამ დღეს იკითხა საჯაროდ, როდის დაანებებს პროკურატურა ნძრევას თავსო. უგულავავ, შენ და ვანოს როცა დაგიჭერს, მაშინ დაანებებს!

facebook NEWS

PLANETA GE
თავისუფალი ფორუმი

**არჩილ მელიქიშვილი:**

მოვიდეს ფინანსთა სამინისტრო და გაგვცეს პასუხი, მართლა იზრდება თუ არა მიწაზე გადასახადი...

facebook NEWS

**როლანდ ხოჯანაშვილი:**

სახელმწიფო სისტემებში შერჩენილო „ნაცებო“, თუ გგონიათ, ქართული საქმის გაფუჭებით „ოცნებას“ შეიძულებს ხალხი და თქვენ შეგიყვარებთ, ძალიან ცდებით.

ორთავეს შეგიძულებენ!

# სკანდალური ინტერვიუ ნინო ბურჯანაძის ოჯახის მძღოლთან, რომელიც გლდანის ციხეში სერგო თეთრაძის მკვლელობას შეესწრო



ნინო კომახიძე
პოლიტიკა

**„ვერსიის“ ექსკლუზიური ინფორმაციით, 25 იანვარს, 17 საათზე, რესტორან „მუხამბაზში“ ბურჯანაძე-ბიწაძის ოჯახმა „დიდი პურობა“ გამართა. საზეიმო სუფრას ნინო ბურჯანაძე, რომელიც თითქოს დავოსში იმყოფებოდა, პოლიტდევნილობიდან დაბრუნებული ბადრი ბიწაძე და ანზორიკო ბიწაძეც ესწრებოდნენ. როგორც „ვერსიამ“ შეიტყო, სუფრა 26 მაისს პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ 47 ადამიანს მიეძღვნა. „მუხამბაზში“ იმყოფებოდნენ სახალხო კრების წარმომადგენლებიც: ნონა გაფრინდაშვილი, ელიზბარ ჯაველიძე, რეზო ესაძე, ირაკლი ბათიაშვილი. ასევე, ის ადვოკატები, ვინც 26 მაისს დაპატიმრებულთა ინტერესებს იცავდნენ. როგორც „ვერსიამ“ გაარკვია, შეხვედრის პირველი ნაწილი სიტყვით გამოსვლას უფრო ჰგავდა, ვიდრე — ტრადიციულ სუფრას: პოლიტპატიმრებს ჯერ ბურჯანაძემ მიმართა, მერე ისინი ლიდერს ფეხზე წამოუდგნენ და სამუდამო ერთგულებაც აღუთქვეს. სხვათა შორის, „შეზარხოშების“ მერე, ყველას ნინო ბურჯანაძესთან სამახსოვრო ფოტოს გადაღება მონდომებია. მართალია, მომავალ გეგმებზე ბევრი არ უსაუბრიათ, მაგრამ ისიც გავარკვიეთ, რომ კოლექტიური სარჩელის მომზადებას აპირებენ, რომლის ერთ-ერთი ადრესატი მიხეილ სააკაშვილი იქნება. რაც შეეხება ნინო ბურჯანაძის ოჯახის მძღოლის, მიხეილ დეფერიძის ინტერვიუს, რომელსაც „ვერსია“, ასევე ექსკლუზიურად გთავაზობთ, ამნისტიით გათავისუფლებული გენერლის, გია უჩავას ინტერვიუს გამოქვეყნების შემდეგ, „ვერსიას“ დეფერიძე საკუთარი სურვილით დაუკავშირდა. მას ერთწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს, თუმცა 2-წლიანი პირობითი მსჯავრი ისევ მოსახდელი აქვს და ახლა, სხვებთან ერთად, ყოფილი პოლიტპატიმრის სტატუსის მინიჭებას ითხოვს. სხვათა შორის, ბურჯანაძის მშობლების მძღოლი და ოჯახის სახლთუხუცესი დეფერიძე სერგო თეთრაძის წამებისა და მკვლელობის მოწმეც ყოფილა.**

— ნინო ბურჯანაძის ცრემლები ვნახე, როცა რომელიმე ჩვენგანი დაკავების საკუთარ ისტორიას იხსენებდა და ყვებოდა, როგორ გვაწამებდნენ! მე პირველ ივნისს დამაკავეს, 26 მაისიდან 6 დღის შემდეგ. სახლიდან გასვლისთანავე, მე და ჩემმა მეუღლემ კუდი შევნიშნეთ და სპეციალურად ტაქსში ჩავსხედით. ვცდილობდით, ან პარტიის ოფისამდე მიგვეღწია ან ნინო ბურჯანაძის სახლამდე, მაგრამ დამიჭირეს, სამი მანქანით ალყაში მომაქციეს და პოლიციის სამართველოში არც კი შემიყვანეს, სამოქალაქო ფორმებში გამოწყობილმა თანამშრომლებმა ისე დამკითხეს, მაგრამ მიხვდნენ, რომ ჩემი აყვანა დიდი შეცდომა იყო, რადგან ვერ ადასტურებდნენ, თითქოს 26 მაისის ესკორტში ვიყავი. ჩემი სიმართლის დამადასტურებელი ვიდეომასალაც მქონდა და იმ დადგმულ კადრებში მონაწილეობა ვერ დამაბრალეს.

**— მხოლოდ ამიტომ დაგიჭირეს თუ, როგორც გენერალ უჩავასთვის გითქვამთ, თქვენგან იმ ინფორმაციის მიღება სურდათ, ვინ შედიოდა და გამოდიოდა ბურჯანაძის სახლში?**

**— კუდ-ს აინტერესებდა, სად იმყოფებოდა ბადრი ბიწაძე და ცდილობდა, მეთქვა, ვითომ საჭესთან ანზორიკო ბიწაძე იჯდა. მოკლედ, მათ სურდათ, ბადრი და ანზორიკო ბიწაძეების წინააღმდეგ ჩვენება მიმეცა! მათ ვუთხარი, რომ ბიწაძის ადგილსამყოფელი არ ვიცოდი, რაც უჩავამაც და სხვებმაც მოისმინეს! ციხეში ე.წ. კარანტინის დაშლის პროცესის დროს, პრაქტიკულად, დაკითხვა მომიწყვეს, მაგრამ ვპასუხობდი, თუ გაინტერესებთ, მათ ოჯახს რა სჭირდება და რამდენი პური შედის, შემიძლია გითხრათ, მაგრამ რაც არ მეხება, ის საიდან უნდა ვიცოდე-მეთქი?! თუმცა უჩავას ჩვენების გამო, უკვე სერიოზულ ზეწოლაზე წამოვიდნენ და ჩვენთვის**

**შეიარაღებული აჯანყების დაბრალება უნდოდათ, ვითომ, „რაგატკებით“ ვგეგმავდით გადატრიალებას. ამ „რაგატკების“ გამო, გვირტყეს კიდეც... უჩავას საქციელს ახსნა არ აქვს.**

**— შესაძლოა, გამართლება არ აქვს, მაგრამ უჩავას თქმით, მას ცოლის ფოტოები დაუდეს და მისი მოკვლით დაემუქრნენ!**

— იქ ტორტი ჩემთვისაც არავის უჭმევია! მესმის მისი, შეიძლება, მასაც გაუგო. ასე, მეც მაღიარებინეს ბრალი. მითხრეს, შენს შვილს ნარკოტიკს ჩავუდებთო და რა მექნა, მაგრამ თავი დავიდანაშაულე, საკუთარ პრინციპებს ვუღალატე და არა — სხვას, უჩავა კი, სხვანაირად მოიქცა. ამაზე მაქვს პრეტენზია, თორემ ვიცი, თუნდაც გია უჩავამ იქ რა გადაიტანა. უბრალოდ, დღეს მაინც უნდა ითქვას სიმართლე — ბურჯანაძეს არავინ მიუტოვებია. ამ საქმეებში იმდენად არ ვერეოდი, ისიც არ ვიცოდი, უჩავა ვინ იყო, ვიდრე ე.წ. ფუქსებში არ ვნახე, სასამართლოს წინ. ვუთხარი, უკაცრავად, ბატონო გენერალო, მაგრამ იმ მანქანიდან რატომ არ გადმოხვედით, როცა თქვენ გადასარჩენად ციხეში ბიჭები ჩასხდნენ-მეთქი. დიდი ბოდიში, მაგრამ 11 წლის გოგო მყავს და მისი გინებიდან დაწყებული, დედა, და და ცოლი არ დაუტოვებიათ უგინებელი. ისიც არავინ იკითხა, იმ „რაგატკების“ გამო, ჩვენ რა დღეში ჩაგვყარეს. რომ იცოდეთ, ახლაც ვმკურნალობ ყურებზე, დღემდე ნერვული სტრესის ქვეშ ვარ, მაგრამ ის არ მითქვამს, რაც არ დამინახავს. სამაგიეროდ, პირდაპირ ვამბობ — მე ვარ სერგო თეთრაძის მკვლელობის მოწმე! 27 სექტემბერს, სერგო თეთრაძე, ყოფილი სამხედრო მოკლეს და დღესაც მესმის იმ კაცის კივილ-წივილი, მიშველეთო.

**— თქვენ რა შეხება გქონდათ მის წამებასთან ან, კონკრეტულად, რა ფაქტი იცით?**

— ეს იმიტომ მოხდა, რომ ჩვენი და ადმინისტრაციის კორპუსი ერთმანეთს უყურებდა და ყველა, ვინც ჩემს კორპუსში იჯდა, ამას დაადასტურებს. აბა, როგორია, კაცის კივილი და მუდარა რომ გესმის, გეხვეწებით, ნუ მომკლავთო?! ეს ყველაფერი საკუთარი ყურით მაქვს გაგონილი, ჩემს თვალწინ მიარბენინებდნენ მის დაგლეჯილტანსაცმლიან ცხედარს!

**— ვინ მიარბენინებდა, ისიც ნახეთ?**

— ჩემი თვალით ვნახე, ფაცაცია და მუხაძე როგორ ამოვიდნენ კარანტინის კიბიდან და სიცილით სკდებოდნენ, როცა იმ საწყალის გვამი სხვებს მიჰქონდათ. მეორე დღეს კი, რადიოში ვუსმინე, თეთრაძე გულის შეტევით მოკვდაო. არადა, კაცი ერთი საათი აწამეს! ცოტა ხანში, როცა „ზონაზე“ გადამიყვანეს, ორთაჭალის ყოფილი „რეზბალნიცის“ ტერიტორიაზე მე და ზურა ხუბულაშვილი, 26 მაისის მონაწილე, ერთად მოვხვდით. გლდანი აღარ მაკმარეს, იქაც „დახვედრა“ მომიწყვეს — სმენის უფროსის, ბულიას კაბინეტში ამიყვანეს და ერთი კვირა ცხვირიდან სისხლი მდიოდა, გაშლილი ხელისგულებით ყურებში მირტყამდნენ — ეს ფაშისტური წამების ერთ-ერთი ხერხი იყო. ამ დროს, ყურის ბარაბნებიდან სითხე მდიოდა და ამ ტკივილის გამოცდას არავის ვუსურვებ. ხელებზე შემხედეთ, ეს ხელის თიაქარია, რომელიც ხელების გადაგრეხვის გამო დამემართა, საოპერაციო ვარ და არ ვიცი, თანხა საიდან მოვიტანო! კადრები ხომ ნახეთ, ქურდებს აგინეო, რასაც ბადრაგი ითხოვდა პატიმრებისგან — ზუსტად ასე ითხოვდნენ ჩვენგანაც, აგინეთ ბურჯანაძესო! არ ვაგინებდით და ამის გამო, გვირტყამდნენ... გია უჩავამ მცდარი ინტერვიუ მოგცათ — ყველანი, ვინც ციხიდან გამოვედით და ერთმანეთს შევხვდით, ერთ აზრზე ვიყავით — ნინოსთან უნდა დავბრუნდეთო. ჩვენ მას არ მიუტოვებივართ!

**— არმიტოვება რაში გამოიხატებოდა?**

— ეს იყო, თუნდაც, მორალური მხარდაჭერა და ის, რომ მისი ხმა რადიოში გვესმოდა — ჩვენ ეს ქალი გვერდით გვედგა. ყველა პატიმარს თვეში 50 ლარს ურიცხავდა, არც ჩემი ცოლისა და შვილების მოკითხვა და დახმარება დავიწყებია. მისი პარტიის წევრი ვარ, მის წევრადაც დავრჩები და იქ ვიქნები, სადაც საჭირო ვარ! ყველაზე მეტად, იმას ვცდილობდი, ოღონდ, ვინმეზე დაბოღმილი არ გამოვსულიყავი ციხიდან, თუმცა, რა თქმა უნდა, სამართლიანობის აღდგენა და იმ პოლიციელების დასჯა მინდა, ვინც ჩემი დაჭერის გამო, ალბათ, პრემიაც აიღო!

**— თქვენ კი, ალბათ, პოლიტპატიმრის სტატუსის გამო, კომპენსაციას მოითხოვთ. რა არის თქვენი უახლოესი გეგმები და რა ხდებოდა ციხიდან გამოსვლის შემდეგ ბურჯანაძესთან შეხვედრაზე?**

— ჯერჯერობით, ისევ პატიმრად ვრჩები — პრობაცია არ მომხსნია და კიდევ 2 წელი დამრჩა. ბრალი 253-ე მუხლით მაქვს წაყენებული. რა თქმა უნდა, პოლიტპატიმარი ვარ. არ მაქვს უფლება, ქვეყნიდან გავიდე. ისიც არ მესმის, რატომ რჩებიან ციხეში ის მწამებლები, ვინც ბრძანება გასცა, ისინი, ვინც ასრულებდნენ ამ ბრძანებას და ის, ვინც ხელს უწყობდა ამ დანაშაულს. ამიტომ ეჭვი მიჩნდება, რომ შესაძლოა, მომავალში, ეს ხალხი ისევ ბოროტად გამოიყენონ. ან რომ არ უშვებენ, იქნებ, სწორედ ამის გაკეთება სურთ?!

**— ალბათ, სარჩელის შეტანასაც აპირებთ. კონკრეტულად, ვის წინააღმდეგ?**

— სახეების ამოცნობა ყველასთვის ძალიან რთულია. ჯერ ერთი, თავს ზემოთაც არ გვაწევინებდნენ. გლდანის ვერც ერთი ოფიცრის სახელსა და გვარს ვერ გეტყვით ვერც ერთი პატიმარი — არ ვიცით და იმიტომ! დიახ, ვიწყებთ სარჩელის მომზადებას: მე ის ვიცი, რომ სარჩელს შევიტან პროკურორის, ხუნჯუას წინააღმდეგ, რა თქმა უნდა, სააკაშვილისა და მთელი ამ სისტემის წინააღმდეგ! ნებისმიერი პატიმარი გეტყვით, რომ სასამართლოები არ ტარდებოდა, მთელი დღე საკვები არ გვქონდა, გვამცირებდნენ, არც საპირფარეშოში გვიშვებდნენ. ჩემი სასამართლო პროცესი 39-ჯერ გადაიდო! თუ ეს ადამიანები არ დაისაჯნენ, ვიღაც გარეწარი, ხვალ, აუცილებლად მოვა და შეიძლება, უარესი გააკეთოს!

# ანანოვების სასახლე განადგურების პირასაა

ეთორნიკე ხურციძე
„ვერსიისთვის“ ქუთაისიდან

**მეოცე საუკუნის დასაწყისში აგებული სასახლე და დიდების შემორჩენილი ნაშთები განადგურების პირასაა — ბაღდათის რაიონის სოფელ ვარციხეში სომეხი კაპიტალისტების მიერ აგებული სასახლე უფუნქციოდაა დარჩენილი. მიტოვებულ სასახლეს რაიონის მიერ დაქირავებული რამდენიმე დარაჯი იცავს, თუმცა შენობა სასწრაფო რეაბილიტაციას საჭიროებს.**

**1900 წლის დასაწყისში, სომეხმა ვაჭრებმა — აბაგრ და მიხრან ანანოვებმა მდინარე ყვირილას ნაპირზე, ღვინის ქარხანა და თავადური სახლი ააგეს. ძმები წინა საუკუნის დასაწყისში, ერთ-ერთ პირველ კაპიტალისტებად ითვლებოდნენ და საქართველოსა და ევროპაში ღვინითა და ხე-ტყით ვაჭრობდნენ. საბჭოთა რეჟიმის დამყარებისთანავე, მათ თავი საფრანგეთს შეაფარეს, ძმების მიერ აშენებული ღვინის ქარხანა კი, 2005 წლის შემდეგ აღარ მუშაობს.**

## ვინ იყვნენ ძმები ანანოვები, რაფომ გაიქცნენ საფრანგეთში და ვის სთხოვს დახმარებას ბაღდათის გამგებელი

**ქრისტინე გიორგობიანი, სოფელ ვარციხის მცხოვრები:** „მამაჩემის ხელნაწერები შემოგვრჩა, რომელიც ანანოვების შესახებ დეტალურ ინფორმაციას გვაწვდის. ანანოვები მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში, ამ მხარეში ერთ-ერთ პირველ კაპიტალისტებად ითვლებოდნენ — ხე-ტყითა და ღვინით ვაჭრობდნენ. პროდუქცია ევროპის ქვეყნებში გაჰქონდათ და საკმაოდ ცნობილი ადამიანებიც იყვნენ. რაც შეეხება სასახლეს, მისი უნიკალურობა ახლაც თვალშისაცემია. ანანოვებს საბჭოთა რეჟიმის დამყარებისთანავე, ქონება ჩამოართვეს. ძმები ქვეყნიდან გაიქცნენ და თავი საფრანგეთს, იმ იმედით შეაფარეს, რომ რევოლუცია დამარცხდებოდა და საქართველოში დაბრუნებას კვლავ შეძლებდნენ... მათი წასვლის შემდეგ, სასახლეში რამდენიმე ოჯახი შეასახლეს, მათ შორის — ჩვენც. შემდეგ კი, აქ სამთავრობო რეზიდენცია და სასტუმრო ფუნქციონირებდა. 2009-10 წლებში, სასტუმრო და რეზიდენცია გაუქმდა და პატრიოტთა ბანაკი განთავსდა“.

ანანოვების პირადი ნივთებიდან თითქმის ყველაფერი განადგურდა, თუმცა ამ უნიკალურ ნივთებზე უამრავი თქმულება არსებობს... ანანოვების სასახლის ეზო მოუწესრიგებელია, თავად სასახლე კი, სასწრაფო რეაბილიტაციას საჭიროებს.

„გული მტკივა, რომ უნიკალური სასახლე ახლა ასეთ მდგომარეობაშია. აქ 15 წელი ვიმუშავე. იმედია, აქაურობას პატრონი გამოუჩნდება, რაც ხელს ადგილობრივების დასაქმებასაც შეუწყობს“, — ამბობს სოფელ ვარციხეში მცხოვრები **მარინა მესხორაძე**.

სასახლე და 7 ჰექტარზე მეტი ტერიტორია, ადგილობრივი თვითმმართველობის ბალანსზეა. რაიონი მის დაცვას მხოლოდ რამდენიმე დარაჯით უზრუნველყოფს. ბაღდათის მუნიციპალიტეტში ამბობენ, რომ სასახლის გადარჩენის ერთადერთი გზა, კერძო ინვესტორისთვის მისი გადაცემაა.

**დავით ტაბეშაძე, ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგებელი:** „ობიექტი ადგილობრივ თვითმმართველობის ბალანსზე, დაახლოებით, ერთი წლის წინ გადმოვიდა. ახლა, სასახლეში იურიდიული სტატუსის მქონე ერთი ერთეულიც არ ფუნქციონირებს და, შესაბამისად, არც დირექტორი ჰყავს. ადრე, როცა აქ რეზიდენცია იყო განთავსებული, ობიექტს სახელმწიფო დაცვაც იცავდა, ახლა კი, როგორც მუნიციპალურ ქონებას, რაიონის მიერ დაქირავებული რამდენიმე დარაჯი იცავს. სასახლეს დიდი პერსპექტივა აქვს, მაგრამ ასეთი პროექტების განხორციელება, როგორც წესი, დიდ თანხებთანაა დაკავშირებული. რაიონს კი, ამის საშუალება არ აქვს. ვფიქრობ, ამ ადგილის განვითარების ერთადერთი პერსპექტივა კერძო ინვესტორია, რომელსაც ადგილობრივი ხელისუფლება ხელს ყველანაირად შეუწყობს, რადგან დიდი სურვილი გვაქვს, ანანოვების სასახლე განვითარდეს“.

## დავით პაიჭაძის აგარაკი გაქურდეს

ჟურნალისტ დავით პაიჭაძის აგარაკი გაქურდეს. ამის შესახებ ინფორმაცია თავად პაიჭაძემ „ფეისბუქში“ საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა. ჟურნალისტი იქვე ინტერესდება, „რატომ არ მომხდარა მსგავსი ფაქტი 7 წლის განმავლობაში და რატომ მოხდა ახლა?“

ამ შეკითხვაზე პასუხს პაიჭაძე ახალი ხელისუფლებისგან ითხოვს.

*„ივერონი“*

## მაია ფანჯიკიძე პოლონეთში გაემგზავრა

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე პოლონეთის რესპუბლიკაში გაემგზავრა, სადაც შეხვედრას გამართავს თავის პოლონელ კოლეგა რადოსლავ შიკორსკისთან.

ვიზიტის ფარგლებში მაია ფანჯიკიძე, ასევე, შეხვდება პოლონეთის პრეზიდენტის კანცელარიის უფროსს, იაცეკ მიხალოვსკის, პოლონეთის სენატის სპიკერს, ბოგდან ბორუსევიჩს და პოლონეთის სეიმის ვიცე-სპიკერ ცეზარ გრაბარჩიკს.

*„ინტერპრესნიუსი“*

# ცეზარ ჩოჩელისა და ვანო მერაბიშვილის კრიმინალურ-კორუფციული „გრეხები“

*მე-7 გვერდიდან*

წყარო იმასაც გვიამბობს, რომ შპს „საქართველოს რკინიგზის“ საკუთრებაში არსებული რკინა-შპალის ქარხანა, რომელიც მუშა მდგომარეობაში იყო, ცეზარ ჩოჩელმა და ვანო მერაბიშვილმა გააჩერეს, გააკოტრეს და ბოლოს, თვითონვე შეიძინეს. ეს ყველაფერი იმიტომ გააკეთეს, რომ იმ პერიოდში, კომპანია „ნიუ ენერჯიმ“ ყარსი-ახალქალაქის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობის ტენდერი მოიგო. სარკინიგზო მაგისტრალის სამშენებლო სამუშაოებისთვის საჭირო რკინა-ბეტონის განძელები კი ჩოჩელი-მერაბიშვილის საკუთრებაში არსებული რკინა-შპალის ქარხანაში დამზადდა. წყაროს ინფორმაციით, ყარსი-ახალქალაქის 700 000 000 აშშ დოლარიან ობიექტზე მთელი რიგი სამუშაოები ჩოჩელი-მერაბიშვილი „ნიუ ენერჯის“, „ლუქსორისა“ და რკინა-შპალის ქარხნის საშუალებით შესრულდა.

### „ზედაზენის“ საგადასახადო აფერა რუსეთის ბაზარზე

2012 წლის შემოდგომაზე, ქართული პროდუქციისთვის ჩაკეტილი რუსეთის ბაზარი ექსკლუზიურად „ქართული ლუდის კომპანიისთვის“ ანუ „ზედაზენისთვის“ გაიხსნა, ოღონდ მოსკოვსა და მის შემოგარენში ქართული ლუდი კი არა, მხოლოდ „ზედაზენის“ ლიმონათი შედიოდა. „ვერსიაში“ უკვე ვწერდით, რომ „ქართული ლუდის კომპანიას“ ცეზარ და იაგო ჩოჩელები ფლობენ და ამიტომ გასაკვირი არ უნდა ყოფილიყო, თუ რატომ გაიხსნა რუსეთის ბაზარი მხოლოდ ერთი კომპანიისთვის. იმასაც შეგახსენებთ, რომ ჩოჩელებმა ეს კომპანია დმანისის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის კახა ოქრიაშვილისა (მის საკუთრებაშია „პე-ეს-პე ფარმა“ და „ნიუ ჰოსპიტალსი“) და „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის“ მონაწილეობით დააფუძნეს. ამ კორპორაციის 100%-იან წილს შპს „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი“ ფლობს, რომელიც თეთრიწყაროს მაჟორიტარი დეპუტატის, დავით ბეჟუაშვილის საკუთრებაშია... „ვერსიის“ წყარო კი იმ საგადასახადო აფერაზე გვიამბობს, რომლითაც „ზედაზენის“ ლიმონათი რუსეთის ბაზარზე ხვდება და რის გამოც, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი ასეულობით მილიონ ლარს კარგავს:

**„დავიწყოთ იქიდან, რომ ძირითადი აქციონერები ვანო მერაბიშვილი, ცეზარ ჩოჩელი და დავით ბეჟუაშვილი არიან. ახლა კი, იმ კორუფციულ სქემაზე გიამბობთ, რომლითაც „ზედაზენის“ ლიმონათი რუსეთის ბაზარზე გადის: არსებობს სომხური ფირმა „სპაიკა“, რომლითაც ლიმონათის ექსპორტს ახორციელებენ. საექსპორტო ლიმონათს სომხეთის ტერიტორიაზე, ოღონდ სომხურ ფირმებზე აფორმებენ, ცარიელ მანქანებს ლუქავენ და საქართველო-სომხეთის საზღვარზე ასე მოდიან. „ზედაზენის“ ტერიტორიაზე, ამ მანქანებს ხსნიან, ლიმონათით ტვირთავენ და ისევ ლუქავენ, ოღონდ უკვე გაფორმებულსა და ბეჭედდარტყმულს. საქართველოდან კი, ჩრდილო კავკასიის მიმართულებით, დაახლოებით, 250 მანქანით გააქვთ და ასე ხვდება „ზედაზენის“ ლიმონათი რუსეთის ბაზარზე. ქართული პროდუქცია, პრაქტიკულად, დაბეგვრის გარეშე შედის რუსეთში, რის გამოც საქართველოს ბიუჯეტი ასეულობით მილიონ ლარს კარგავს. ამ კორუფციულ სქემაში, დუშეთის ყოფილი გამგებელი ოდიშვილიც მონაწილეობდა, რომელიც მოგვიანებით, ლარსის საბაჟო-გამშვები პუნქტის ხელმძღვანელად გადაიყვანეს. სამწუხაროდ, ყოფილ გამგებელს „ქურდული მანტია“ ჰქონდა მოსხმული და დუშეთს უსტატუსოდ განაგებდა. ეს იყო დანაშაულებრივად შეკრული, მაფიოზური ჯგუფი, რომელიც სრული დატვირთვით მუშაობდა“.**

ვერსიის“ წყაროს ინფორმაციით, ცეზარ ჩოჩელისა და ვანო მერაბიშვილის საკუთრებაშია სოფელ ნატახტარში მდებარე, ჩამოსასხმელი წყლის კომპანია „სნო“, ლუდის ქარხანა „ნატახტარი“, რომელიც მოგვიანებით თურქულმა კომპანიამ ჩოჩელებისგან 70 000 000 აშშ დოლარად შეიძინა, ნატახტარის ხორც-კომბინატი და წეროვანში მდებარე ფხვნილებისა და სარეცხი საშუალებების კომპანია „ბერტა“. წყარო გვიამბობს, რომ ირაკლი ოქრუაშვილისა და მისი ბიზნესმენი მეგობრის, ქიბარ ხალვაშის ქვეყნიდან განდევნა ბაზარზე „ბერტას“ გამოჩენას უკავშირდება. შეგახსენებთ, რომ ქიბარ ხალვაში „პროქტერ ენდ გემბელი“-ს ოფიციალური წარმომადგენელი იყო საქართველოში, რომელიც ბაზრის 7-%-ს ფლობდა. ეს იყო მიზეზი, რის გამოც დაიჭირეს ხალვაში, დაუწვეს საწყობი, ბაზრიდან განდევნეს და მის სანაცვლოდ, საქართველოს ბაზარზე გამოჩნდა „ბერტა“, რომელმაც იგივე პროდუქციის გამოშვება დაიწყო წეროვანში, ჩინური დანადგარების საშუალებით.

## მეწყერმა ცხრა ადამიანი იმსხვერპლა

ინდონეზიაში ჩამოწოლილმა მეწყერმა ცხრა ადამიანი იმსხვერპლა. უცხოური მედიის ინფორმაციით, გადაუღებელი წვიმების გამო, ინდონეზიის სოფელ ტანჟუნგ სანიში მეწყერი ორჯერ ჩამოწვა, რის შედეგადაც 20 საცხოვრებელი სახლი დაინგრა. ხუთი გარდაცვლილის ცხედარი მაშველებმა ნანგრევებიდან ამოიყვანეს, 17 კი ამ დროისთვის დაკარგულად ითვლება.

რაც შეეხება მეორე მეწყერს, ის იმ შენობასთან ჩამოწვა, სადაც მუშები სადილობდნენ. შედეგად, 4 ადამიანი გარდაიცვალა.

*„ინტერპრესნიუსი“*

## ქართველი მეცნიერი გივი ღამბაშიძე ნობელის მშვიდობის პრემიაზეა წარდგენილი

კავკასიის ხალხთა შორის მეგობრული ურთიერთობების განვითარებისა და მშვიდობიანი თანაარსებობისათვის მრავალწლიანი მოღვაწეობისათვის 2013 წლის მშვიდობის დარგში ნობელის პრემიაზე წარდგენილია „კავკასიის ფონდის“ პრეზიდენტი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის „კავკასიის ქვეყნებთან სამეცნიერო თანამშრომლობის კომისიის“ თავმჯდომარე, დავით ბააზოვის საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმის დირექტორი, პროფესორი გივი ღამბაშიძე.

შეგახსენებთ, რომ ნორვეგიის ნობელის ინსტიტუტში გივი ღამბაშიძის კანდიდატურა წარადგინეს საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, დაღესტნის, ჩეჩნეთის, ინგუშეთის, ისრაელის, პოლონეთის ცნობილმა საზოგადო მოღვაწეებმა და მეცნიერებმა.

*„ჯი-ეიჩ-ენი“*

## დევნილები ელექტროენერგიის დავალიანების ჩამოწერას ითხოვენ

თელავში კომპაქტურად ჩასახლებული აფხაზეთიდან დევნილი 85 ოჯახი ელექტროენერგიის დავალიანების ჩამოწერის მოთხოვნით თელავში, სოხუმის ქუჩაზე შეიკრიბა. ელექტროენერგიის დავალიანება ამ დროისთვის 500-დან 1 000 ლარს შეადგენს.

როგორც დევნილები აცხადებენ, აღნიშნული დავალიანების გადახდას ვერ შეძლებენ, რადგან მათ მხოლოდ სოციალური დახმარება აქვთ.

*„მედიანიუსი“*

# თბილისის მერიის „მიწების მაფია“ და ნაკვეთების გაყიდვის კორუფციული სქემა

**„ხელისუფლების შეცვლის შემდეგ მოსწრებაზე არიან, „ნაციონალებთან“ დაახლოებულ პირებზე რაც შეიძლება მეტი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა გაიყიდოს. ასეთი გაყიდვის ასობით ფაქტი არსებობს და ერთ მყიდველსაც ვერ ნახავთ, რომელიც ქალაქის მერთან ან „ნაციონალებთან“ დაახლოებული არაა“**

ნელი თორდია

**9-წლიანი ნაციონალური მმართველობის დროს, „ნამუსის გარდა“, გასაყიდი ობიექტების ნუსხაში, ათასობით საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი ობიექტის პარალელურად, სასოფლო თუ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებიც მოხვდა. კულუარული ვერსიით, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, სახელმწიფო ქონების დასაკუთრების ფაქტებმა არათუ იკლო, არამედ, მკვეთრად მოიმატა. თბილისის მერიის გენერალური ინსპექციის კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლისა და საფინანსო შემოწმების განყოფილების ყოფილი უფროსი იოსებ ჯუღელი დარწმუნებულია, რომ ოქტომბრის შემდეგ გაყიდული ობიექტებისა თუ სასოფლო-სამეურნეო მიწის უკან „ნაციონალებთან“ დაახლოებული პირები დგანან. მერიის ყოფილი მაღალჩინოსნის განმარტებით, თბილისის მერიაში წლების წინ შემუშავებული კორუფციული სქემა, რომლითაც არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების „ლეგალურად“ გასხვისება ხდებოდა, დღემდე მოქმედებს. მიუხედავად ამისა, უგულავას უწყებაში შესულ მაკონტროლებლებს კანონდარღვევის კონკრეტული ფაქტების გამოვლენა, როგორც იოსებ ჯუღელი „ვერსიასთან“ საუბრისას ამბობს, გაუჭირდებათ.**

## ყოფილმა მაღალჩინოსანმა „ვერსიას“ გიგი უგულავას კომპრომატები მიაწოდა

— 1987 წელს, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით, გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ შექმნილ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივს ქავთარაძის ქუჩაზე, კერძოდ, სისხლის გადასხმის ინსტიტუტსა და სასაფლაოს შორის, მშენებლობისთვის მიწის 4132 კვმ-იანი ნაკვეთი გამოეყო, თუმცა მშენებლობები მალე შეჩერდა და ხალხი ბინებით ვერ დააკმაყოფილეს. მოსახლეობის პროტესტის გამო, თბილისის მერია იძულებული გახდა, შეჩერებული მშენებლობები შიდავალში აეღო... მოგვიანებით, არქივიდან საქალაქო საბჭოს ის გადაწყვეტილება გაქრა, რომლითაც საბინაო-სამშენებლო კოოპერატივისთვის მიწის ფართი იყო დამაგრებული. 2008 წელს კი, იგივე ფართი შპს „სერვისი 96“-ის საკუთრებაში გადავიდა და ეს მაშინ, როცა ოთხმოცდაათ ოჯახს ფული აქვს გადახდილი და ამ თანხას მერია შიდა ვალად აღიარებს. რაც მთავარია, არსებობს ინდივიდუალური აქტები, რომელიც არავის გაუუქმებია. მიწის ნაკვეთის სხვა მყიდველზე ლეგალიზება კი, კანონდარღვევაა.

**— კოოპერატივის წევრები ამ ფაქტს რატომ არ აპროტესტებენ?**

— არ იციან და სახელმწიფოს მიერ აღებული ვალის გასტუმრებას ელოდებიან. ამ უკანონობის მთავარი შემოქმედი მერიის არქიტექტურის სამსახურია, რომელიც ვალდებული იყო, მიწის კოოპერატივზე დამაგრების გადაწყვეტილება საჯარო რეესტრის არქივში გადაეგზავნა. ეს საბუთი სპეციალურადაა გამქრალი და მიწა საჯარო რეესტრში ისე იყო დაფიქსირებული, როგორც სახელმწიფო საკუთრება. ასეთი ასობით შემთხვევა არსებობს, მაგრამ მერიაში შესულ მაკონტროლებლებს კონკრეტული ფაქტების გამოვლენა გაუჭირდებათ.

**— რატომ?**

— „ნაცმოძრაობას“ იმ ადამიანების უმეტესობაზე, რომელიც ახლა მერიას ამოწმებს, კომპრომატები აქვს და თავად განსაჯეთ, ისინი „ნაციონალებისთვის“ არასასურველი ფაქტების დადებას გაბედავენ თუ ვერა. ისე, თუკი მიწების გაყიდვის კორუფციული სქემით შესაბამისი უწყებები დაინტერესდებიან, შემიძლია, ჩემი სიტყვების დამადასტურებელი დოკუმენტები გადავცე.

სხვათა შორის, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, მოსწრებაზე არიან, რომ „ნაციონალებთან“ დაახლოებულ პირებზე რაც შეიძლება მეტი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა გაიყიდოს. ასეთი გაყიდვის ასობით ფაქტი არსებობს და ერთ მყიდველსაც ვერ ნახავთ, რომელიც ქალაქის მერთან ან „ნაციონალებთან“ დაახლოებული არაა.

**— ბოლო დროს, გაყიდული სკოლებისა და ბაგა-ბაღების თემაც გააქტიურდა. ბატონო იოსებ, თქვენი ყოფილი თანამდებობიდან გამომდინარე, ასეთი საქმეების შესახებაც უნდა იცოდეთ...**

— მხოლოდ ერთს გეტყვით: გაყიდულ საჯარო სკოლებში გახსნილი კერძო სკოლები მალე დაიხურება. თავდაპირველად, სკოლის მყიდველი ვალდებული იყო, საგანმანათლებლო პროფილი რაღაც პერიოდის განმავლობაში შეენარჩუნებინა, ახლა ეს ვადები იწურება და სკოლებს ერთმანეთის მიყოლებით დახურავენ. გადახდისუნარიანი მოსახლეობა შემცირდა და კერძო სკოლები ზარალზე მიდიან, ამიტომ არ გაგიკვირდეთ, კერძო სკოლების ადგილას, მალე საცხოვრებელი სახლის ან სხვა ობიექტის მშენებლობას თუ მოჰკრავთ თვალს. ვიმეორებ: კერძო სკოლების ნახევარი დაიხურება. მასობრივად დახურული საჯარო სკოლების ფონზე კი, ეს რას გამოიწვევს, ძნელი მისახვედრი არაა.

ბატონი ჯუღელის განმარტებით, სახელმწიფო ნების არსებობის შემთხვევაში, უგულავას უწყებას შიდავალად აღიარებული თანხის გასტუმრება საბინაო ამხანაგობებზე დამაგრებული მიწის ნაკვეთების გადაცემით შეეძლო — ამით მოსახლეობასაც დააკმაყოფილებდა და ამხანაგობას მიწასაც დაუკანონებდა, თუმცა მერიამ, მოსახლეობის კანონიერი მოთხოვნების დაკმაყოფილებას, არასასოფლო-სამეურნეო მიწების კორუფციული ლეგალიზების გზით, ნათესავ-ახლობლებსა და სარფიან მყიდველებზე გადაფორმება არჩია.

ორიოდ კვირის წინ, მაკონტროლებელთა შტურმის ქვეშ მოქცეულმა ქალაქის თავმა „პირველი რადიოს“ ეთერში უკმაყოფილება გამოთქვა. „მერიაში არ დარჩენილა სამსახური, სადაც რომელიმე მაკონტროლებელი თუ საგამოძიებო უწყების შიკრიკები არ ისხდნენ და ქექავდნენ“. როდის დაასრულებენ „ქექვას“ და რა ფაქტებს დაუდებენ მაკონტროლებლები კავკასიაში ერთ-ერთ ყველაზე მდიდარ მერს, ჯერჯერობით უცნობია, თუმცა თუკი ფინანსთა მინისტრს დავუჯერებთ, შემოწმება პოლიტიკური ნიშნით არ მიმდინარეობს და საგამოძიებო სტრუქტურებს მხოლოდ მერიის სამსახურების მიერ ბიუჯეტის განკარგვისა და გადასახადების აკრეფის კანონიერება აინტერესებთ. მერიის შემოწმება 7 მიმართულებით მიმდინარეობს. აქედან, მაკონტროლებლების ერთ-ერთი სამიზნე იოსებ ჯუღელის მიერ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების კანონდარღვევით გაყიდვაში მხილებული არქიტექტურის სამსახურია...

## ვერსიანიუსი

### ფოლადაანთკარში აქცია გაიმართა

გარდაბნის რაიონის სოფელ ფოლადაანთკარის მოსახლეობა სასმელი წყლის, გზის რეაბილიტაციის, ბუნებრივი აირისა და ამბულატორიის პრობლემის მოგვარებას მოითხოვს.

ადგილობრივების თქმით, გარდა იმისა, რომ რთულ პირობებში უწევთ ცხოვრება, სოფლის დატბორვის საფრთხეც არსებობს, რადგან ახლომდებარე ტბის დამცავი ჯებირები დაზიანებულია. მოსახლეობა დახმარებას ადგილობრივ ხელისუფლებას სთხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში, აცხადებენ, რომ სოფელი დაიცლება.

როგორც ადგილობრივი გამგეობის წარმომადგენლები აცხადებენ, ტბის დამცავი ჯებირების შეკეთება, გზის რეაბილიტაცია და სასმელი წყლის პრობლემის ნაწილობრივ მოგვარება 2013 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია.

*„ინტერპრესნიუსი“*

### ჩეხეთის პრეზიდენტი მილოშ ზემანი გახდა

ჩეხეთის საპრეზიდენტო არჩევნებში სამოქალაქო უფლებების პარტიის ლიდერმა მილოშ ზემანმა გაიმარჯვა.

საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში მან ამომრჩეველთა ხმების 55 პროცენტი მიიღო და ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი კარლ შვარცენბერგი დაამარცხა. მილოშ ზამანის ინაუგურაცია 8 მარტს, პრაღაშია დაგეგმილი.

ცნობისთვის: ზემანი ხალხის მიერ პირდაპირი გზით არჩეული პირველი პრეზიდენტი გახდა. აქამდე ქვეყნის პირველ პირს ჩეხეთის პარლამენტი ირჩევდა. ზემანი თავისი მკვეთრი განცხადებებით და ანტიისლამური გამოსვლებითაა ცნობილი.

*„მედიანიუსი“*

# 111-ე საჯარო სკოლა სააკაშვილმა მოსწავლეებიანად გაყიდა?!

ნელი თორდია

**რატომ გააუქმა ქვეყნიდან გაქცეულმა განათლების ექსმინისტრმა დიმიტრი შაშკინმა 580-მოსწავლიანი 111-ე სკოლა და რაში ადანაშაულებენ ისანი-სამგორის რაიონის ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებს გაუქმებულ-გაყიდული საჯარო სკოლის პედაგოგები და მოსწავლეთა მშობლები? — ამ თემებზე „ვერსიას“ ყოფილი 111-ე საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე ДАРИА ЗОМЦЕЛИДЗЕ ესაუბრა.**

**კორუფციული გარიგება, რომლის გამოც, მიხეილ მაჭავარიანი, გიორგი არველაძე და გია ნაცვლიშვილი შეიძლება, პროკურატურაში დაიბარონ**

— სრული პასუხისმგებლობით გეუბნებით, რომ 111-ე სკოლის ისტორია უპრეცედენტოა... 2011-12 სასწავლო წლის მეორე სემესტრის დაწყებისთანავე, სკოლაში, განათლების სამინისტროს სახელით, რამდენიმე ადამიანი გვესტუმრა. მათ შენობა დაათვალიერეს, ფოტოსურათები გადაუღეს და წავიდნენ. ვიფიქრეთ, ჩვენთანაც, სხვა სკოლების მსგავსად, რემონტისთვის ემზადებოდნენ, მაგრამ რემონტი კი არა, განათლების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის 3-დღიანი შემოწმება „მივიღეთ“. შეამოწმეს ყველაფერი — სასწავლო პროცესითა და პირადი საქმეებიდან დაწყებული, საბუღალტრო დოკუმენტაციით დამთავრებული. ოქმებთან დაკავშირებით, პედსაბჭოსა და სამეურვეო საბჭოს მცირე შენიშვნები მოგვცეს, წარმატებები გვისურვეს და წავიდნენ. ამის შემდეგ, სკოლაში მიმოსვლა ისნის რაიონის ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებმა დაიწყეს, რომლებიც სკოლის შესაძლო გაყიდვაზე საუბრობდნენ. განსაკუთრებით, ისნის რაიონის „ნაცმოძრაობის“ ხელმძღვანელი ბესარიონ დონაძე და სამგორის რაიონის საკრებულოს წევრი ხვიჩა სანაია აქტიურობდნენ.

**— 580-მოსწავლიან სკოლას მცირეკონტინგენტიანი არ ჰქვია. სკოლის გაუქმების მიზეზად, რას ასახელებდნენ?**

— მიუხედავად იმისა, რომ 111-ე სკოლაში პედაგოგად 33 წელი ვიმუშავე და სისტემას კარგად ვიცნობ, ეს საკითხი ჩემთვის დღემდე გამოცანად დარჩა. გაუგებარია, რომელ სტანდარტს ვერ ვაკმაყოფილებდით. სკოლას ხელმძღვანელობდა არაჩვეულებრივი დირექტორი და დიდებული ადამიანი მერაბ მეტრეველი, რომელიც 2011 წლის 7 მარტს გაათავისუფლეს. თუ დამიჯერებთ, სამეურვეო საბჭოს წევრებმა დირექტორის გაშვების გადაწყვეტილებას ხელი ტირილით მოაწერეს. 12 მარტს სკოლას ახალი დირექტორი მოევლინა — 146-ე სკოლის დირექტორის მოადგილე ირმა ტყეებუჩავა. ეს გოგონა, სკოლაში მუშაობის პარალელურად, სამგორის რაიონის „ნაცმოძრაობის“ საარჩევნო კამპანიის ქვედა ზონის ხელმძღვანელიც გახლდათ. სკოლის მართვის მისეულ დამამცირებელ და შეურაცხმყოფელ მეთოდებზე აღარაფერს ვიტყვი.

**— დირექტორად „შინაური“ მოუყვანიათ და სამ კვირაში რატომღა გაუშვეს?**

— იმიტომ, რომ 27 მარტს, დიმიტრი შაშკინის ბრძანებით, მეზობლად არსებულ 87-ე სკოლასთან შეგვაერთეს და გაერთიანებული სკოლების დირექტორად 87-ე სკოლის დირექტორი დავით ჭეიშვილი დანიშნეს, მაგრამ ყველაფერი ამით არ დასრულებულა. ერთი თვის შემდეგ, ჭეიშვილი 117-ე სკოლის დირექტორად გადაიყვანეს და ჩვენთან ხარისხის მართვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილის, პეტრე წურწუმიას მეუღლე მაკა ბეჟანიშვილი დანიშნეს.

**— სამ თვეში, ოთხი დირექტორი გამოგიცვლიათ. ასეთი ცვლილებები კი, „ნაციონალების“ მმართველობის დროს, სკოლის ლიკვიდაციას მოასწავებდა...**

— ასეც მოხდა. 2012 წლის 7 აპრილს სკოლა ლიკვიდაციაში „გაუშვეს“ და აბსოლუტურად ყველა შტატი გააუქმეს. წარმოიდგინეთ, 87-ე სკოლის გადატვირთულობის გამო (1 200-ზე მეტი მოსწავლე ჰყავდა), ყოფილი 111-ე სკოლა თავის შენობაში დარჩა და მუშაობა გამორთული დენის, ინტერნეტის, ტელეფონისა და კომუნიკაციის ყველა საშუალების გარეშე განაგრძო. სკოლას აღარ ჰყავდა ბუღალტერი, საქმის მწარმოებელი, მნე, ბიბლიოთეკარი, დარაჯი და დამლაგებლებიც გაათავისუფლეს. ასეთ პირობებში, ბავშვებმა თვენახევარი ისწავლეს. დამლაგებლისა და დარაჯის მოვალეობას მასწავლებლები მორიგეობით ვასრულებდით, რომ ბავშვებს სუფთა გარემოში ესწავლათ და შენობაში უცხო პირი არ შესულიყო. ამასობაში, ჩვენი სკოლა პირდაპირი მიყიდვის წესით გაიყიდა და ბრძანებაზე ხელი პრეზიდენტმა მოაწერა, მაგრამ ყველაზე საშინელი ისაა, რომ სკოლა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ბალანსზე გადაიყვანეს, ხოლო შენობა აჩვენეს, როგორც ცარიელი ფართი და მოსწავლეებიან-მასწავლებლებიანად გაყიდეს. შეიძლება, სააკაშვილმა არ იცოდა, გაყიდული სკოლის შენობაში ბავშვები სწავლობდნენ, მაგრამ საინტერესოა, დოკუმენტი ხელმოსაწერად ვინ შეუტანა და ვის მოუვიდა აზრად, რომ 600 ბავშვით სავსე სკოლა ცარიელი ფართის ფორმით გაეყიდა?

**— 111-ე სკოლის ახალი მეპატრონეები ვინ არიან?**

— სამგორის რაიონის განათლების განყოფილების ყოფილი გამგე თამაზ ნაცვლიშვილი, 146-ე საჯარო სკოლის მოქმედი დირექტორი გოგი ღამბაშიძე, სამგორის რაიონის საკრებულოს ნაციონალური მოძრაობის წევრის, გიორგი ხახნელიძის დედა მარინა სოფრომაძე და ლია გელენიძე. თავადაც მიხვდებით, რა ნიშნით შეირჩნენ სკოლის მყიდველები... განათლების სამინისტროს ძველი ხელმძღვანელობისა და ნაციონალური მოძრაობის ისნის რაიონის წარმომადგენლების მიერ შემუშავდა ვერაგული გეგმა, რომელშიც ჩართულნი იყვნენ მინისტრის მოადგილე გიორგი ჩახნაშვილი, მისი მეუღლე და ადმინისტრაციის უფროსი გენრიეტა მუმლაძე. ამ ადამიანებმა იცოდნენ, რომ განათლების სისტემას მალე დატოვებდნენ და შუა სასწავლო წელს, სკოლის გაყიდვა ამიტომაც იჩქარეს. მოვითხოვთ, ვინმემ გვიპასუხოს, რომელ სტანდარტს ვერ ვაკმაყოფილებდით და რომელი კანონი ითვალისწინებს მოსწავლეებით სავსე სკოლის პირდაპირი წესით გაყიდვას?

**— ამ კითხვებით განათლების სამინისტროს მიმართეთ?**

— მხოლოდ სამინისტროში კი არა, განცხადება პრეზიდენტთანაც შევიტანეთ და პროკურატურაშიც. სკოლის დაბრუნების მოთხოვნით, 156 მშობლის ხელმოწერაა შესული განათლების სამინისტროში, სადაც შეიქმნა კომისია, რომელსაც გურანდა რომანაძე ხელმძღვანელობს და 111-ე საჯარო სკოლის გაუქმების ფაქტს სწავლობს. როგორც იქნა, სამართლიანობის განცდა დაგვიბრუნდა... ისე, პირად საუბარში განათლების სამინისტროს თანამშრომელმა დაადასტურა, რომ სკოლა კანონდარღვევითაა გაუქმებული, თუმცა ფაქტია, მას ახალი მფლობელი ჰყავს. იმედია, განათლების სამინისტრო ამ ურთულესი სიტუაციიდან გამოსავალს მოძებნის...

**საჯარო სკოლის გაუქმების შემდეგ, შპს „მჭევრის“ დამოუკიდებელი ბიზნესსკოლის მოსწავლეთა ბაზაში ჩარიცხული ყოფილი 111-ე სკოლის მოსწავლეები და მათი მშობლები ბავშვთა უფლებების დარღვევაზე საუბრობენ. თინათინ ჯოგლიძის თქმით, კერძო სკოლაში იძულებით გადასვლის შემდეგ, მისი შვილების სასწავლო პირობები გაუარესდა:**

„111-ე სკოლაში ჩემი ორი შვილი სწავლობდა. მშობლებმა პირველი შოკი მაშინ მივიღეთ, როცა გავიგეთ, სკოლა შუა სასწავლო პროცესის დროს გაიყიდა. რაც შეეხება კერძო სკოლაში ჩვენს იძულებით გადასვლას, მართალია, 111-ე სკოლის მოსწავლეებს სწავლის გადასახადს არ გვთხოვენ, მაგრამ ჩვენთვის არავის უკითხავს, კერძო სკოლაში სწავლა გვინდოდა თუ არა. ჩემი შვილების უფლებები ირღვევა იმიტომ, რომ კერძო სკოლის მოსწავლეები პირველ ცვლაში სწავლობენ, ყოფილი 111-ე სკოლის მოსწავლეთა უმეტესობა, მათ შორის უფროსკლასელები — მეორეში. ჩემი შვილი წარმატებული მოსწავლეა და მეცადინეობა შუაღამემდე იმის გამო უნევს, რომ სკოლაში სწავლა ორის ნახევარზე ეწყება. მეორე შვილი მეორე კლასშია და იქაც საშინელი მდგომარეობაა: პირველი სართულის საპირფარეშო კერძო სკოლამ დაკეტა. პატარები, 5-წუთიან დასვენებაზე, ზედა სართულის საპირფარეშოში ასვლას ვერ ასწრებენ და, ამას წინათ, ჩემი შვილის თანაკლასელმა, ვიდრე მესამე სართულზე ავიდოდა, ჩაისველა. ჩვენი შვილების უფლებები იმის გამოც შეილახა, რომ შუა სასწავლო პროცესის დროს, ვიღაცამ ბავშვებით სავსე სკოლის გაყიდვა გადაწყვიტა სკოლის აღდგენის მოთხოვნით, განათლების სამინისტროს უკვე მივმართეთ და ვაპირებთ, დახმარება ბავშვთა უფლებების დამცველებსაც ვთხოვოთ“.

**111-ე საჯარო სკოლის მასწავლებლების მიერ მთავარ პროკურატურაში შეტანილ განცხადებაში საუბარი დანაშაულებრივ ფინანსურ გარიგებაზეცაა: „ეჭვს იწვევს მყიდველის, შპს „მჭევრის“ მიერ ორ ნაწილად გადახდილი თანხა. ერთი ნაწილი საპრივატიზაციო საფასურია (250 000 ლარი), ხოლო მეორე ნაწილი განათლების სამინისტროს მიერ გადანაწილებულია განსაზღვრულ საგანმანათლებლო დაწესებულებების ანგარიშზე (კერძოდ, 250 000 ლარი გადაერიცხა 61-ე, 64-ე, 141-ე საჯარო სკოლებს), რაც გაუგებარია და, ამავდროულად, გასარკვევიც“. ამასთან, კბილაშვილისთვის გაგზავნილ წერილში, 111-ე სკოლის გაყიდვით განათლების სამინისტროს დაინტერესებული მაღალჩინოსნების გარდა, საუბარი მათ მფარველებზეცაა. კერძოდ, სამგორის რაიონის მაჟორიტარ მიხეილ მაჭავარიანზე, გია ნაცვლიშვილზე, გიორგი არველაძეზე და ა.შ.**

**ჯერჯერობით უცნობია, რით დასრულდება საეჭვო ვითარებაში დახურულ-გაყიდული სკოლის ამბავი, თუმცა როგორც „ვერსიისთვის“ გახდა ცნობილი, ორიოდ დღის წინ, განათლების სამინისტროს სპეციალურმა კომისიამ, ვითარებაში გარკვევისა და დოკუმენტაციის შესწავლის მიზნით, შპს „მჭევრის“ შემოწმება დაიწყო...**

## ვერსიანიუსი

### ლავროვის უწყებამ ქართული დელეგაციისთვის ვიზების გაცემის დავალება გასცა

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ქართული დელეგაციისთვის ვიზების გაცემის დავალება გასცა. როგორც ლავროვის უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული, „საქართველოში შვეიცარიის საელჩოს რუსეთის ინტერესების სექციას ქართული დელეგაციისთვის ვიზების გაცემის დავალება მისცა, რომელიც მოსკოვში ქართული ღვინისა და სხვა პროდუქციის რუსულ ბაზარზე დაბრუნებასთან დაკავშირებით მოლაპარაკებებისთვის უნდა ჩავიდეს“. **„რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში შემოვიდა გენადი ონიშჩენკოს თხოვნა ქართული დელეგაციისთვის სავიზო მხარდაჭერის შესახებ, რომელიც „როსპოტრებნადზორში“ მოლაპარაკებების მიზნით უნდა ჩამოვიდეს. საქართველოში შვეიცარიის საელჩოს რუსეთის ინტერესების სექციას მათთვის ვიზების გაცემის დავალება მიეცა“,** — ნათქვამია ლავროვის უწყების განცხადებაში. რაც შეეხება ქართული დელეგაციის შემადგენლობასა და სხვა საკითხებს, რომელიც მოლაპარაკებებს ეხება, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით, ამის შესახებ ინფორმაციის მიღება „როსპოტრებნადზორშია“ შესაძლებელი.

შეგახსენებთ, რომ ქართული დელეგაცია მოსკოვში მოლაპარაკებებს 4 თებერვალს გამართავს.

*„პირველი“*

### კახა კალაძე აფხაზებს შეხვდა

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე ენგურჰესზე, გალის რაიონის სოფელ საბერიოში აფხაზური მხარის წარმომადგენლებს შეხვდა. მხარეებმა აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული 4 ჰიდროელექტროსადგურის რეაბილიტაციაზე ისაუბრეს. კალაძე გალის ე.წ. ადმინისტრაციის ხელმძღვანელ ბესლან არშბასა და კომპანია „ჩერნომორენერგოს“ დირექტორ რეზო ზამთარიას ესაუბრა.

**„მინდა გითხრათ, რომ ამ კუთხით, ძალიან კარგი ურთიერთობები არსებობს. რა თქმა უნდა, პოლიტიკას არ უნდა შევეხოთ. ენერგეტიკული ურთიერთობები დაწყებულია, დღესაც გრძელდება და ვფიქრობ, მომავალშიც თბილი ურთიერთობები გვექნება. ახალი მთავრობის მიზანია, დავათბოთ და დავარეგულიროთ ურთიერთობები აფხაზებთან. ისინი ჩვენი ძმები არიან და დარწმუნებული ვარ, ჩვენი ურთიერთობები, სამომავლოდ, თბილი და მეგობრული იქნება“,** — განაცხადა კალაძემ.

*„მედიანიუსი“*

## სარფის საბაჟოზე „ჰეროინის“ გამსალებელი დააკავეს

სარფის საბაჟო-გამშვებ პუნქტზე, აჭარის საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა, განსაკუთრებით დიდი ოდენობის „ჰეროინის“ შემოტანის ფაქტზე, 1981 წელს დაბადებული გიორგი ჯ. დააკავეს. დაკავებულს, შემოწმებისას, ქურთუკის ჯიბეში, პოლიეთილენის პარკში შეფუთული ნარკოტიკული საშუალება აღმოაჩნდა.

ექსპერტიზამ დაადგინა, რომ გიორგი ჯ-მ თურქეთის რესპუბლიკიდან კუსტარულად დამზადებული და 23 პაკეტად დაფასოებული, 10,45 გრამი, „ჰეროინის“ შემცველი ნარკოტიკული საშუალების საქართველოში შემოტანა სცადა. ასევე, ექსპერტიზის დასკვნით, აღმოჩენილ ნარკოტიკულ საშუალებაში „ჰეროინის“ სუფთა წონა 4,485 გრამია, რაც მოქმედი კანონმდებლობით, განსაკუთრებით დიდ ოდენობად ითვლება.

ნარკოლოგიური შემოწმების შედეგად, დაკავებულს ორგანიზმში ოპიუმის ჯგუფის ნარკოტიკის მოხმარების კვალი აღმოაჩნდა. სისხლის სამართლის საქმე 260-ე მუხლის (ნარკოტიკული ნივთიერების განსაკუთრებით დიდი ოდენობით შეძენა, შენახვა) მე-3 ნაწილითა და 262-ე მუხლის (ნარკოტიკული საშუალების უკანონო შემოტანა) მე-4 ნაწილით მიმდინარეობს. დაკავებული დროებით მოთავსების იზოლატორშია გადაყვანილი.

*„ჯი-ეიჩ-ენი“*

## ამნისტირებული პატიმრების გათავისუფლების პროცესი 10-15 დღეში დასრულდება

ამნისტირებული პატიმრების გათავისუფლების პროცესი 10-15 დღეში დასრულდება, — ამის შესახებ სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრმა სოზარ სუბარმა განაცხადა და აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით სასამართლოები ეფექტურად მუშაობენ.

**„ამნისტიის სრულად ჩატარებისთვის კანონით ორი თვეა განსაზღვრული, თუმცა უნდა ვაღიარო, რომ სასამართლოები ძალიან სწრაფად და ეფექტურად მუშაობენ. უკვე გათავისუფლებულია 2 900-ზე მეტი ადამიანი და მუშაობა ასეთი ტემპით თუ გაგრძელდა, დაახლოებით 10-15 დღეში პატიმრების გათავისუფლების პროცესი დასრულდება, თუმცა ეს სრულად არ ნიშნავს ამნისტიის დასრულებას. პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობს მსჯავრდებულებისთვის სასჯელის მეოთხედის ჩამოკლება, პრობაცია და ეს ყველაფერი ორ თვეში ჩაეტევა“,** — განაცხადა სოზარ სუბარმა.

შეგახსენებთ, რომ კანონის მიხედვით, ამნისტიის პროცესის დასასრულებლად ორი თვეა განსაზღვრული.

*„ჯი-ეიჩ-ენი“*

# პარლამენტი ნარკომანიასთან ბრძოლის სპეციალურ საბჭოს ქმნის

მერაბ ბერიძე

**პარლამენტში ნარკომოხმარების დეკრიმინალიზაციაზე მსჯელობენ, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს ქმედება, სისხლის სამართლის კოდექსით, დასჯადი აღარ უნდა იყოს და სახელმწიფო მხოლოდ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობით შემოიფარგლოს ანუ ფინანსური სანქციები გაზარდოს. ინიციატივის მიხედვით, ნარკოტიკული საშუალების პირველ ჯერზე მოხმარება, ადმინისტრაციული წესით, 300 ლარით დაისჯება, განმეორების შემთხვევაში — 600-ით, უფრო მეტჯერ განმეორების შემთხვევაში კი — 3 500 ლარით ან 60-დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობით. ამასთან, ნარკომომხმარებელს, თუკი თანახმა იქნება, უნდა მიეცეს შესაძლებლობა, გადახდილი თანხით მკურნალობა სპეციალიზირებულ სამკურნალო დაწესებულებაში განაგრძოს. ამ ინიციატივასა და მოსალოდნელ შედეგებზე „ვერსია“ ნარკოლოგიის ინსტიტუტის ჯგუფის ხელმძღვანელს, პროფესორ გელა ლეჟავას ესაუბრა.**

## ნიშნავს თუ არა „მარიხუანას“ მოხმარების დეკრიმინალიზაცია დაუსჯელობას და უნდა გაიარონ თუ არა მოსწავლეებმა ნარკოტესტირება

— ნარკომანიის ახალი კანონი პრობლემის მიმართ მთლიან დამოკიდებულებას უნდა ასახავდეს. არ შეიძლება, ერთი ნაწილი ისე შეცვალო, სხვას არ შეეხო.

**— რას გულისხმობთ?**

— სულ ჰოლანდიის მაგალითი მოჰყავთ, მაგრამ იქ ნარკომანიის პრობლემებზე, ჩვენთან შედარებით, ასოცჯერ მეტი ფული იხარჯება. „მარიხუანას“ მოხმარების დეკრიმინალიზაცია დაუსჯელობას არ ნიშნავს. უბრალოდ, საუბარი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მოხსნაზეა. თუკი სხვა ზომები გატარდება, ეს ნაწილი, შესაძლოა, მართლაც, მოიხსნას. ეს „სხვა ზომები“ კი ევროპაში მრავალფეროვანია. ვთქვათ, სამ თვემდე პატიმრობა, ყოველ მეორე დღეს შარდის ანალიზის ჩაბარება, კვირაში სამჯერ პოლიციაში მისვლა, საღამოს ექვსი საათის შემდეგ, შინიდან გასვლის აკრძალვა, პასპორტის ჩამორთმევა და ა.შ. ერთი სიტყვით, სხვადასხვა ზომა დამნაშავე პირს ძლიერი სასჯელის განცდას შეუქმნის. როცა დეკრიმინალიზაციაზე ან დასჯის ზომების შესუსტებაზეა საუბარი, ვისაც მკურნალობა მეტნაკლებად სჭირდება, ამის რეალური საშუალება უნდა ჰქონდეს, თან ეს სამკურნალო ღონისძიება ეფექტური უნდა იყოს. მაგალითად, ნარკოლოგიის ინსტიტუტში მკურნალობა — ორი კვირა სტაციონარში და ორიც ფსიქოთერაპიაში — 2 200 ლარი ჯდება, რაც არასაკმარისია. ეს, პრაქტიკულად, მკურნალობის საწყისი ეტაპია. სიტუაციას ისიც ართულებს, რომ ნარკოდამოკიდებულები სხვადასხვა პრეპარატს იღებენ, რაც ნერვულ სისტემაზე ხშირად უფრო დამანგრევლად მოქმედებს. ამიტომ, მკურნალობაში ნევროლოგის ჩართვაც საჭიროა. ჩვენს ინსტიტუტში ნევროლოგები, რასაკვირველია, არიან, მაგრამ ეს პროცესი უფრო ფართოდ უნდა განხორციელდეს.

**— ბატონო გელა, ჰოლანდია და ევროპული გამოცდილება ახსენეთ. ქართულ რეალობას უფრო რომელი ვარიანტი მიესადაგება?**

— „მარიხუანას“ მოწევისთვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, რასაკვირველია, ნამეტანია. ეს იძულებითი ზომა იყო, რადგან სხვა საშუალება არ გვქონდა... ევროპაში რაც უფრო იზრდება ქვეყნის შიდა შემოსავალი, მით დიდ თანხებს გამოყოფენ ნარკომანიის პრობლემების მოსაგვარებლად. სამწუხაროდ, ჩვენთან ასეთი დამოკიდებულება არაა. ჰოლანდიელებს ვკითხე, ამ პრობლემაზე გამოყოფილი თანხა ასჯერ რომ შეამციროთ, ლიბერალური კანონმდებლობის შენარჩუნებას თუ შეძლებთ-მეთქი? მიპასუხეს, რა თქმა უნდა, ვერაო. ყველაფერი თანხებზეა დამოკიდებული.

მოკლედ, სასჯელის ზომა ადეკვატური უნდა იყოს და ამ ზომებმა ნარკოტიკის მიმართ ლტოლვა ოპტიმალურად უნდა შეამციროს. ამასთან, საერთაშორისო კონვენციების მოთხოვნებიც უნდა გავითვალისწინოთ.

**— ახალი მთავრობიდან გრძნობთ მზაობას, რომ ამ მიმართულებით აუცილებელ ნაბიჯებს გადადგამს?**

— საკანონმდებლო ორგანოში გარკვეული შეხვედრები უკვე შედგა. პარლამენტიდან მონაცემები მთხოვეს და ნარკომანიის პრობლემებთან ბრძოლის საბჭო უნდა შეიქმნას, თუმცა ვერ გეტყვით, კონკრეტულად, რა და როგორ იქნება. დაფინანსება გადაწყვეტს, რის გაკეთება შეიძლება, მე და სხვა ნარკოლოგებს, ამ მონაცემებზე ხელი არ მიგვიწვდება.

**— მაინც, რა მდგომარეობაა ნარკომოხმარების თვალსაზრისით? ბრძანეთ, ნარკომომხმარებლები ე.წ. დანამატ მედიკამენტებს იღებენო...**

— შს სამინისტრომ ძალიან კარგად იმუშავა და საქართველოში ტრადიციული ნარკოტიკის — ჰეროინის, სუბუტექსისა თუ ოპიუმის შემოსვლა მნიშვნელოვნად შეამცირა, ამიტომ ბევრი მომხმარებელი ე.წ. სააფთიაქო პრეპარატებზე გადავიდა, რომლებსაც თეთრებად ყიდულობენ და დიდი დოზით იღებენ ან იმას, რაც უნდა გადაყლაპონ, სხვადასხვა კომბინაციით, ვენაში „უშვებენ“.

სხვათა შორის, აშშ-შიც კი, „მარიხუანას“ შემდეგ, მეორე ადგილზე აფთიაქებიდან გამოტანილი წამლებია. მათ გამოცდილებაზე საუბარი შორს წაგვიყვანს. ჩვენთან შინ ამზადებენ, სხვადასხვა რაღაცას უმატებენ და ასე იღებენ „კრაკადილსა“ და ა.შ., რაც ნერვული სისტემის მდგრადობის თვალსაზრისით, ძალიან მძიმე შედეგს იწვევს. მინისტრმა სერგიენკომ განაცხადა, რეცეპტურისა და აფთიაქიდან წამლის გატანის მოწესრიგებაზე ვმუშაობთო. ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯია, მაგრამ ამავდროულად, ღონისძიებების მთელი კომპლექსია ჩასატარებელი. მაგალითად, ისეთი წამალი, რომელსაც რეცეპტი არ სჭირდება, ბავშვს არ უნდა მიეყიდოს. ამასთან, მარაგი უნდა შეიქმნას.

**— რა მდგომარეობაა ნარკომოხმარებით გამოწვეული ინფექციების გავრცელების თვალსაზრისით?**

— შიდსის გავრცელების ყველაზე დიდი წყარო, ჯერჯერობით, ისევ ინტრავენური ნარკომანიაა.

**— ბოლოს, ბატონო გელა, შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავლის ერთგვარი გზები დავსახოთ...**

— აშშ-ში ამ პრობლემის შესახებ საბავშვო ბაღის აღსაზრდელებსაც ესაუბრებიან. ამ თემაზე აქტიურად სკოლებშიც უნდა ლაპარაკობდნენ. მაგალითად, ამერიკაში ცნობილია, რომ ყველა მეთორმეტე ბავშვს პედაგოგიური დახმარება სჭირდება. ყველა მშობელი იმ დონეზე არაა, შვილს სწორი გზა შეურჩიოს, ამიტომ სკოლებში გამოცდილი პედაგოგების ჯგუფია შექმნილი და როცა ბავშვს ან მშობელს პრობლემები ექმნება, შეუძლია, მას მიმართოს. აღმოჩნდა, რომ ასეთი ტიპის დახმარება ბევრს სჭირდება. სხვათა შორის, აშშ-ს უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, სკოლის დირექტორებს ნება მიეცათ, მოწაფეებს ქიმიო-ტოქსიკოლოგიური ტესტი ჩაუტარონ და გამოარკვიონ, ბავშვი ნარკოტიკს იღებს თუ არა.

ერთი სიტყვით, ნარკომანიასთან ბრძოლის სისტემა უნდა ჩამოყალიბდეს, თანხა გამოიყოს, ხალხი შეირჩეს, ჩამოყალიბდეს სამთავრობო კომისია, რომელიც, ალბათ, პრემიერ-მინისტრს დაექვემდებარება და გარდა ამისა, ღონისძიებების მთელი ნუსხაა, რასაც ადეკვატური დაფინანსება სჭირდება. ჰოლანდიელები იდიოტები ხომ არ არიან, ერთ კაცზე, წელიწადში, დაახლოებით, 150 ევროს რომ ხარჯავენ? ჩვენთან კი, ერთ ადამიანზე 2-3 ლარი იხარჯება. დასავლეთში სპეციალური სისტემები აქვთ შექმნილი, მაგალითად, ადრეული შეტყობინების სისტემა, რომელშიც გაერთიანებულია აკადემია, ქიმიურ-ნარკოლოგიური, სამედიცინო დაწესებულებები, პოლიცია, პროკურატურა და ა.შ. ეს ერთიანი ჯგუფი პრობლემას სწავლობს და ზომებსაც იღებს. ამ საკითხს ორი წელი ვაყენებდი, მაგრამ სამწუხაროდ, დღემდე ძვრა არაა.

## ვერსიანიუსი

### ოპერის ბაღში პოლიციელებმა ახალგაზრდა ბიჭს სასტიკად სცემეს

როგორც „ნიუპოსტს“ აცნობეს, თბილისში, ოპერის ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე ახალგაზრდა ბიჭი სასტიკად სცემეს, მერე კი მანქანაში ძალის გამოყენებით ჩასვეს და წაიყვანეს. თვითმხილველებმა „ნიუსპოსტს“ უთხრეს, რომ ახალგაზრდა აღმოჩნდა ბექა სულაბერიძე.

დაკავებამდე მან თვითონ დაასახელა ვინაობა და ხმამაღლა ითხოვდა შველას, თუმცა ორ გამვლელ ქალბატონს, რომლებიც მობილურებით ცდილობდნენ ინციდენტის გადაღებას, პოლიციელებმა ტელეფონები ხელიდან გამოგლიჯეს. ბექა სულაბერიძის დედა, ნანა სულაბერიძე აცხადებს, რომ მისი შვილი ავადმყოფია და პოლიციის მხრიდან ფიზიკური ზეწოლა მისთვის ორმაგად აღმაშფოთებელია.

ბექა სულაბერიძის დედა და მეზობლები ასევე ამბობენ, რომ პოლიციის თანამშრომლებმა ბექას უბნელ თანატოლებზე და მოზრდილებზე ინფორმაციის შეგროვება დაავალეს, ხოლო მას შემდეგ, რაც ახალგაზრდამ უარი განაცხადა, ამ ფორმით იძიეს შური.

**„საშინელებაა, რაც ხდება. ბიჭმა „ნასედკობაზე“ უარი თქვა და ახლა მაღაზიიდან ლუდის მოპარვას აბრალებენ. რუსთაველზე მდებარე მაღაზიის მეპატრონემ, საიდანაც თითქოს ლუდი ბექამ მოიპარა, კაცურად განაცხადა, ამ ბიჭს პირველად ვხედავო. „ნასედკობაზე“ უარის შემდეგ აი, ასე დასაჯეს ბექა სულაბერიძე. ვინ იცის, კიდევ რას მოუგონებენ“,** — ამბობს დაკავებული ახალგაზრდის ერთ-ერთი მეზობელი, რომელმაც ვინაობის დასახელება არ ისურვა.

მომხდართან დაკავშირებით შსს-სთან დაკავშირება ვერ ხერხდება, რადგან საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ნინო გიორგობიანი სატელეფონო ზარებს არ პასუხობს. ბექა სულაბირიძის დაკავების შესახებ ოფიციალური ცნობა არ არის გამოქვეყნებული შსს-ს ვებგვერდზე, შესაბამისად, დაუდგენელი რჩება, რაში ედება ბრალი დაკავებულ ახალგაზრდას.

*„ნიუპოსტი“*

# საქართველოში მათხოვართა რაოდენობა გეომეტრიული პროგრესიით იზრდება!

მერაბ ბერიძე

**თბილისში მოწყალების მთხოვნელთა რაოდენობა გეომეტრიული პროგრესიითაა გაზრდილი. გაიარეთ თუნდაც, ცენტრალურ გამზირებზე და ლამის ყოველ ნაბიჯზე შეგხვდებათ ხანშიშესული ადამიანი, რომელიც დახმარებას მოგთხოვთ. გადაჭარბების გარეშე უნდა ითქვას, რომ ადრე ასეთი რამ არ ყოფილა. ერთ ქუჩაზე, მაგალითად, ჭავჭავაძეზე ამდენი მათხოვარი (მათ შორის, საზოგადოებრივ ტრანსპორტსა და მიწისქვეშა გვირაბებში) უკვე მეტისმეტია. განგაშის ზარები დროულად უნდა შემოიკრას და პრობლემას მიეხედოს. ისე, ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის ნახევარზე მეტი, სოციალურად დაუცველის სტატუსს ითხოვს, გასაკვირი არაფერია.**

მოწყალების მთხოვნელთა უზარმაზარი არმიიდან, ყველაზე აგრესიულები „ბოშათა ბანაკის“ წარმომადგენლები არიან. ერთხელ, მეცხრე საავადმყოფოს ეზოში ასეთ ამბავი შემემთხვა: ზრდასრულმა ბოშამ კარგად გავარჯიშებული ხელი გამომიწოდა და საწყლად შემომხედა. ძალიან მეჩქარებოდა და გვერდი ავუარე. მოულოდნელად, „შე მათხოვარო!“ ჩამესმა. შევტრიალდი და იქამდე ვდიე, ვიდრე ერთ-ერთ ჩიხში არ მივიმწყვდიე. ამის მერე, თბილისელი „ბუდულაი“ ასი მეტრის რადიუსში აღარ მეკარება...

ქალბატონი ვენერა გ. ყოველდღე ჭავჭავაძეზე, ბაგების დასახლებიდან ჩამოდის და სუპერმარკეტ „პოპულის“ წინ, მოწყალებას ითხოვს. ცალი თვალით ვერ ხედავს და ეს პოტენციურ დამხმარეებთან ურთიერთობაში ცოტა ხელს უშლის. ამბობს, რომ სამი შვილი ჰყავს, მაგრამ ერთიც არ მუშაობს:

**„თერთმეტიდან საღამოს ხუთ საათამდე აქ ვდგავარ. ხანდახან, სახლთან ახლოს, ბაგების სასაფლაოსთან ვჩერდები და აქეთ აღარ მოვდივარ. დღეში, საშუალოდ, ათ ლარს ვაკეთებ. ზოგჯერ, ჩემთვის პურს და სხვა პროდუქტსაც ყიდულობენ. ზაფხულობით უფრო კარგი მდგომარეობაა — ქუჩაში ხალხი ბევრია და შედარებით მეტსაც ვშოულობ“.**

ყვითელ ავტობუსში მორიგი მთხოვნელი ამოდის სულისშემძვრელი განცხადებით: **„დამეხმარეთ, საყვარელო ხალხო! შვილი მიწევს საავადმყოფოში. გადამირჩინეთ შვილი, გეხვეწებით, დაჩოქილი თქვენს წინაშე!“** შეწუხებული მგზავრები ჯიბეების მოფხეკას იწყებენ. „ბოგდანის“ მძღოლს ნერვებმა უმტყუნა: **„ნამუსი არ გაქვს, ქალო?! ჩემს ავტობუსში უკვე მერამდენედ ამოხვედი და აღარ შემიძლია შენი მოსმენა. წინა დღეებში სულ სხვა მიზეზს ამბობდი და დღეს — სხვას. დამასვენე, ღამის პირველ საათამდე სამუშაო მაქვს, ბოლოს და ბოლოს, შენ ხომ არ გადაგყვები, სახლში ცოლ-შვილი მელოდება, წილში შენ ხომ არ გამიყვან?!“**

ვაკეში, „ლიბერთი ბანკის“ გვერდით, მიწისქვეშა გადასასვლელში მთელი ოჯახი მათხოვრობს. ირგვლივ დაუსრულებელი მშენებლობაა და იქაურობა მტვერსა და ჭუჭყს მიაქვს. ზემოთ, პროსპექტის ორივე მხარეს, აუთვისებელი გოჯი არ დარჩა... ოჯახის უფროსი დილიდანვე, სანაგვე ურნებში ბოთლების შესაგროვებლად მიემართება — დიდ ტომრებს მიათრევს და დუხჭირ ყოფას არ ნებდება.

ზურაბ გ. სამებასთან ითხოვს მოწყალებას და მამაოსგან კურთხევაც აქვს. სამაგიეროდ, ეკლესიური სანქცია არ აქვს დალევაზე, რომელიც, ცოდვა გამხელილი სჯობიაო და, უყვარს. ღამის, ყოველი დღის ბოლოს, მათხოვრობით მოგროვილი თანხა ლოთობაში იხარჯება. ასეთ დროს, ზურაბი, ცოტა არ იყოს, დაუმორჩილებელი მორჩილი ხდება და საკუთარ თავსვე არასასურველ ამბებს უტეხს ხოლმე. ზურაბი სულიერ მამებს მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ ჰყავთ და ლოცვა-დარიგებას არ აკლებენ... მას სულიერად ავადმყოფი შვილი ჰყავს და თანადგომას საჭიროებს.

აფხაზეთიდან დევნილ მადონა ნ-ს, 1992 წლიდან დედაქალაქში იძულებით ცხოვრება მოწყალების თხოვნით არ დაუწყია: თავდაპირველად, გაჩერებაზე ქარხნიდან გამოტანილ პურს ყიდდა. წლების წინ გარევაჭრობა აკრძალეს და თვითდასაქმების გარეშე დარჩა. პური რომ ვეღარ გაყიდა, ბაზარში წავიდა და ლიმონი მოიტანა. იფიქრა, იქნებ, ციტრუსზე მაინც არ შემაწუხონო. ლიმონს ისე ხშირად არ ყიდულობდნენ, როგორც — პურს, მაგრამ რაღაც მაინც რჩებოდა. მერე ამის გასაღებაც აუკრძალეს, მარტო შენ ხომ არა ხარ, ჭავჭავაძეზე ვაჭრობა სხვებსაც უნდათო. ველურმა კაპიტალიზმმა თავისი ქნა. სხვა გამოსავალი რომ ვეღარ ნახა, შორს არ წასულა (ბოლო ხანს, მშობლიურ კუთხეზე ოცნებასაც ვეღარ ბედავს), იქვე გაჩერდა და ხელი გაიშვირა. ამ მდგომარეობაში უხვმა მაკონტროლებლებმა ვეღარაფერი ჰკადრეს. საბედნიეროდ, ამ ქვეყანაში მათხოვრობა კანონით აკრძალული არ არის.

მათხოვრობის მტკივნეული პრობლემა სოციალურ ქსელშიც აქტიურად განიხილება. საინტერესო შეფასებებს, ავტორთა ვინაობის გარეშე გთავაზობთ:

**„ვიცნობ პატარა გიოს, რომელმაც გვითხრა, რომ 6 წლის არის და ცხოვრობს 9 მეგობართან ერთად, ჭავჭავაძეზე. თურმე, ორი დიდი მეგობარიც ჰყავთ, ვისაც, ალბათ, ფულს აძლევენ. კაი ვინმე აღმოჩნდა, მიწისთხილი მივაწოდეთ. პირველად ჩემს ცხოვრებაში, მათხოვარმა მთლიანად არ გამოგვართვა, მაგდენი არ მინდაო და ცოტა ამოიღო. თქვა, რომ მისი დღიური შემოსავალი 100 ლარია და სულაც არ უნდა, ჩვენი იაფფასიანი მიწისთხილი...“**

**„12 წლის ვიყავი, როდესაც პირველად ვნახე ქართველი მათხოვარი. მშობლებმა წამიყვანეს მთაწმინდაზე, პანთეონის დასათვალიერებლად. იქ ვნახე თეთრწვერა მოხუცი, აკაკი წერეთელს ჰგავდა — ნამდვილი ბაბუ, იმერელი აზნაურის ტიპაჟი. მაშინ ძალიან გამიკვირდა. მერე, დამოუკიდებელი საქართველო გაიტენა მათხოვრებით. ეს აღარაა სირცხვილი, სამწუხაროდ. ცვლილებაა აუცილებელი, რომ რაღაც შეიცვალოს. სიღატაკეზე უარესი, ალბათ, მძიმე ავადმყოფობაა. ადამიანებს არ აქვთ საჭმელი 21-ე საუკუნეში. ამას შევეჩვიეთ კიდეც. აბა, რა უნდა ქნა, ჩაუყრი ხურდა ფულს, მაგრამ ეს პრობლემას არ შეცვლის“.**

**„უბრალო მთხოვნელი ზის თავისთვის და უდევს ქუდი. არ დარბის და არ იხვეწება. ბოშების მათხოვრობა კი, უფრო გამოძალვას ჰგავს. უმეტესობა, მომთაბარე ბოშური ტომი, დომები არიან. დომები საქართველოში აზერბაიჯანის ქალაქ ყაზახიდან გადმოსახლდნენ და დედაქალაქის ერთ-ერთ უბანში, სამგორში დასახლდნენ. დომების უმეტესობა კურმანჯის ლურისტანულ კილოს ფლობს. აღმსარებლობით, უმეტესობა მუსლიმია. აქ მცხოვრებ დომებს არ აქვთ საქართველოს მოქალაქეობა. ისინი არ დადიან სკოლაში, არ არიან აღრიცხვაზე პოლიკლინიკებში, არ მსახურობენ საქართველოს ჯარში“.**

**„რამდენჯერ მინახავს, დედა თავის შვილს სცემს იმის გამო, რომ საკმარისი ფული ვერ იშოვა. ერთი, ასეთების აზროვნებაში ჩამახედა. მაგალითად, იმავე ბელორუსში მათხოვრობა საერთოდ არ არის. იქ ასეთ ადამიანს, უბრალოდ, ვერ ნახავთ. რევოლუციის მოწყობა უნდოდათ ამ უბადრუკებს ლუკაშენკოს წინააღმდეგ. ამის მაგივრად, ჩავიდნენ და შეისწავლონ, როგორ მიაღწიეს ასეთ შედეგს. იქნებ, შეამცირონ მაინც ასეთების რაოდენობა“.**

**„რა მოხდება, საქართველოში მათხოვრობა რომ აიკრძალოს და დასჯადი გახდეს? როგორ ფიქრობთ, აქვს სახელმწიფოს ამის უფლება?“**

**„ციგანკები“ არ ვიცი, ეგენი თავიანთი პროფილით მუშაობენ. ეს არაა მათხოვრობა, მათთვის სამუშაო ადგილია. მეტროს კიბეებზე რომ შავებში ჩაცმული მოხუცი ქალი ან კაცი გხვდება, გამოწვდილი ხელით, მათ რას ეუბნები? ეგაა მათთვის ერთადერთი გამოსავალი. დავხოცოთ გაჭირვებული ხალხი საქართველოში?“**

აი, ასეთ, წინააღმდეგობით სავსე პრობლემასთან გვაქვს საქმე. თბილისის მერიის განკარგულებით, მათხოვრებს არ აქვთ საზოგადოებრივ ტრანსპორტსა და მიწისქვეშა გადასასვლელებში „მუშაობის“ უფლება. **„მაძღარს ყველა მაძღარი ეგონა“,** — ალბათ, ამ მოვლენასთან გვაქვს საქმე. ამავე დროს, შეუძლებელია, მარტო კანონითა და სამართალდამცველებით დაარეგულირო აღნიშნული „სფერო“. პირველ რიგში, ქვეყანაში გამეფებული სიღარიბე უნდა შემცირდეს. ადამიანები იმ ოდენობის სოციალურ დახმარებას მაინც უნდა იღებდნენ, რომ სიცივესა და ყინვაში ქუჩაში დგომა არ დასჭირდეთ. ნებისმიერი მთავრობისა და საზოგადოებისთვის ეს, ელემენტარულად, პრესტიჟის საქმე უნდა იყოს!

ლევან ცალუღელაშვილი

**„ტემნიცა რუხნეტ ი.. სვაბოდა.. ვას ვსტრეტიატ რადოსტნო უ ვხოდა“, — ამნისტიამ ქართველ „ფორუმელებს“ მხოლოდ ეს კი არა, სხვა არაერთი „ვოროვსკოი“ ლექსი გაახსენა. ზოგიერთი ამნისტირებული კი ასე შეიცხადეს: „ეეჰ, რამდენი გამოვა, ახლა... სამსახურში მაგათ არავინ აიყვანს, რა უნდა გააკეთონ? ან „წამალს“ გაყიდიან ან იყაჩაღებენ და იქურდებენ. უკვე ბევრჯერ შემხვდნენ ეგეთი ტიპები. ციხიდან ახალგამოსულები ვართ და ხო ვერ დაგვეხმარებიო“.**

# რას სთავაზობს ხელისუფლება ციხიდან გამოსულ ათასობით ადამიანს

„ხულიგანი“ ჩიორა, შევარდნაძისდროინდელი „გოთვერნული“ შეკითხვა და ივანიშვილისეული „გაგებით მოვეკიდოთ“

— „წამლის“ ბარიგებსაც უშვებენ? — იკითხა ვიღაცამ... ფორუმზე ამოკითხული ახლობელმაც დამიდასტურა: წერეთლის გამზირზე ახალგაზრდა, კარგად ჩაცმული ბიჭი დახმარებას ითხოვს, ციხიდან ახალი გამოსული ვარ და რა ვქნა, მიჭირსო. ერთ დღესაც, აღარავინ ჩაუყრის „ჯეელს“ ხურდას და ვინ იცის, რას მოიმოქმედებს?!

ასეა თუ ისე, 12 იანვარს, ამნისტიის შესახებ კანონის მიღებით, პარლამენტმა, განსაკუთრებით კი, ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის ხელმძღვანელმა, ეკა ბესელიამ დამნაშავეების გულიც მოიგო და უდანაშაულოებისაც. გუბაზ სანიკიძემ კალმახელიძის მიერ გარემონტებული ციხეები „კონცლაგერს“ შეადარა. ბატონმა პრემიერმა კი „მოგვაძახა“, მომავალ „პრესტუპნიკებს“ გაგებით მოეკიდეთ, ისევ უკან, ციხეში შებრუნდებიანო. ამნისტიით უკმაყოფილონი, ბესელიას აზრით, მხოლოდ „ხულიგანი“ ჩიორა, ე.წ. ვადაგასული პრეზიდენტი და მისი გუნდის წევრები დარჩნენ, რომლებიც რუსეთის ჯაშუშების გათავისუფლებაზე აპელირებენ. უმრავლესობამ არც კობა დავითაშვილს მოუსმინა, რომელიც მკვლელობისა და გაუპატიურებისთვის მსჯავრდებულების სასჯელის ერთი მეოთხედით შემცირებას აპროტესტებდა... ამნისტიის კანონი იმ არასრულწლოვნებსაც შეეხო, რომელთა მიერ ჩადენილ დანაშაულს ადამიანის სიკვდილი არ მოჰყოლია.

ფაქტია, უამრავი პატიმარი სასჯელს, მართლაც, სადისტურ პირობებში იხდიდა. თავად ვარ მოწმე, გლდანის №8 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში სულთმობრძავი პატიმარი როგორ იწვა საკუთარ განავალში და მხოლოდ იმიტომ არ ასუფთავებდნენ, რომ დაწესებულებას, თურმე, წყალი არ მიეწოდებოდა. გასაგებია, რომ ამნისტია ჰუმანური აქტი თუნდაც ამის გამო იყო, მაგრამ რა გააკეთა იგივე ახალმა ხელისუფლებამ ციხიდან გათავისუფლებულთა რეაბილიტაციისთვის? რატომღაც, არ მახსენდება, წინა ხელისუფლების დროს, ქუჩაში ახალგაზრდების ჯგუფს გავეჩერებინე და „ნაგლად“ ფული ეთხოვა, მაგრამ ახლა უკვე გამაჩერეს და მთხოვეს, — ტაქსზე გვაკლდებაო. რატომ უნდა მოვუბოდიშო ვინმეს იმის გამო, რომ არ მინდა ფულის მიცემა?

„სიგარეტი გაქვს?“ — შევარდნაძის ეპოქის „გოთვერნული“ შეკითხვა გამახსენდა, უცხო უბანში მოხვედრილს რომ გისვამდნენ და პასუხის ტემბრით გაფასებდნენ, რა ტიპი იყავი. მაშინ ვიღაც, თავის ჭკუით, მთელ უბანს შიშისზარსაც სცემდა, აქაოდა, „ნაჯდომი“ ვარო.

და მაინც, რომელი უფრო სადისტი იყო — სააკაშვილის ხელისუფლება, რომელიც ქურდული მენტალიტეტის მატარებლებს არაადამიანურად აწამებდა თუ თავად ე.წ. ქურდები, რომლებიც ათასგვარ სისასტიკეს სჩადიოდნენ?! საშინელება იყო, როცა ქურდები მართავდნენ თბილისის ქუჩას, უბანს, კლანებს, პოლიტიკას... საშინელება იყო, როცა დამნაშავეს ან მის შვილს მხოლოდ იმიტომ არ აკავებდნენ, რომ ვიღაც ჰყავდათ „ნაციონალებში“.

ვიცნობ ყოფილ პატიმარ ქალს, რომელმაც ციხეს კი დააღწია თავი, მაგრამ მევალეები ამოსუნთქვას არ აცლიან, სახლის აუქციონზე გაყიდვით ემუქრებიან, სახლს გაგიყიდით, შენ კი იქ დაგაბრუნებთ, საიდანაც გამოხვედიო. არადა, ეს ქალბატონი ჩემთან საუბარში ფერმერულ მეურნეობასა და ბიზნესგეგმას ახსენებდა, იქნებ, ბატონმა ბიძინამ ყოფილ პატიმრებს დასაქმებაში თუ არა, თვითდასაქმებაში მაინც შეგვიწყოს ხელიო.

„სვაბოდაზე“ გამოსვლა, გარეთ როგორი პირობებიც უნდა დაგხვდეს, რა თქმა უნდა, სასიხარულოა, მით უმეტეს მაშინ, როცა, ფორუმელების აზრით, წინა ხელისუფლება ერის გენოციდსა და გადაჯიშებაზე ზრუნავდა და ამდენი იმიტომ დააპატიმრა. ერთ ჩემს ნაცნობ პატიმარს „მესიჯი“ მივწერე, ციხიდან რომ გამოხვედი, რას საქმიანობ, რით ხარ დაკავებული-მეთქი. „არაფერს, სამუშაოს ვერსად ვშოულობ და „ვბეზდელნიკობ“, – მომწერა, — „რატომ მეკითხები“? ისე დავინტერესდი-მეთქი, — ვუპასუხე... კომუნისტების დროს, ხალხს აპატიმრებდნენ, რატომ არ მუშაობ. ახლა კი, ციხიდან გამოსულები „ბეზდელნიკობენ“ და ქუჩაში მათხოვრობენ... რას ვიზამთ, მთავრობა, მათ დასაქმებაზე ზრუნვის ნაცვლად, ყოველივე ამას, „გაგებით ეკიდება“.

## მეუფე იაკობი: „ღვთისმშობლისგან ბოძებული საზღვრების აღდგენის დრო შორს არაა!“

გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსის, ასევე პატრიარქის ქორეპისკოპოსის, მეუფე იაკობის განცხადებით, ღვთისმშობლისგან ბოძებული საქართველოს საზღვრების აღდგენის დრო არც ისე შორსაა და ისტორიული სამართლიანობის აღდგენას ყველა თაობის ადამიანი მოესწრება.

**„ძალიან ბევრს არ სჯეროდა, რომ ერი მძიმე სახადებისგან გავთავისუფლდებოდით, ახლაც ბევრს შეუძლებლად მიაჩნია ჩვენი ტერიტორიების დაბრუნება, რომლებიც ცოტა ხნის წინ თუ წინა საუკუნეებში წაიღეს ჩვენგან. თუ ვიქნებით ისევ ერთად, როგორც ვიყავით, ნახავთ, როგორ დაგვიბრუნებს უფალი იმას, რაც თვითონ მოგვცა, ხოლო შემდეგ უღირსი საქციელის გამო, სხვისი ხელით წაგვართვა. ამის დროც მალე დადგება. უწმინდესი რუსეთში ბრძანდებოდა. ერთი ჩასვლით, უცაბედი გადაწყვეტილებები არ ხდება, მაგრამ რაც ღმერთს შეუძლია, არ შეუძლია არც ერთ ადამიანს. უფალი უყურებს უწმინდესის თავდადებას, რომელსაც ამდენი ხანი ოდნავადაც არ დაუსვენია.**

**საზღვრები, რაც ჩვენ ღვთისმშობლისგან მოგვეცა, შეიძლება დღეს სხვა ქვეყნის საზღვრებში შედიოდეს, მაგრამ ისტორიული სამართლიანობა აუცილებლად აღდგება. ჩვენი ერი სულიერად მოძლიერდება და იმის ღირსი შეიქმნება, რაც დაკარგა, დაიბრუნოს. ეს დრო შორს არ არის და თქვენ ხართ ადამიანები, რომლებიც ამას მოესწრებით. იმედი გქონდეთ, ამაში ხელს ვერავინ შეგვიშლის, რადგან უფალი ჩვენთანაა“,** — ბრძანა მეუფე იაკობმა.

*„მედიანიუსი“*

## ღამის კლუბში გაჩენილ ხანძარს 90 ადამიანი ემსხვერპლა

ბრაზილიაში, ღამის კლუბში გაჩენილ ხანძარს სულ მცირე 90 ადამიანი ემსხვერპლა. უცხოური მედიის ინფორმაციით, ხანძარი ბრაზილიის სამხრეთში, ქალაქ სანტა-მარიას ერთ-ერთ ღამის კლუბში გაჩნდა. პირველადი ვერსიით, ხანძრის მიზეზი პიროტექნიკა გახდა.

ღამის კლუბში დაახლოებით 2000 ადამიანი იმყოფებოდა. არ არის გამორიცხული, რომ მსხვერპლის რაოდენობა გაიზარდოს.

*„ინტერპრესნიუსი“*

## ზაზა გაბუნიამ ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა დატოვა

გავრცელებული ინფორმაციით, თბილისის საკრებულოს დეპუტატმა ზაზა გაბუნიამ ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა დატოვა. თავად ზაზა გაბუნია „პირველთან“ საუბრისას აცხადებს, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით კომენტარს არ აკეთებს.

ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობაში, თავის მხრივ, აცხადებენ, რომ გაბუნიას მიერ პარტიის დატოვების შესახებ ინფორმაციას არ ფლობენ.

*„პირველი“*

# რა თანხა დაიხარჯა ვაშლოვანისა და ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკების რეაბილიტაციაზე

## ახალი ხელისუფლება ირწმუნება, რომ ტურიზმის დაფინანსება არ შეუმცირებია

ილია მარტყოფლიშვილი, „ვერსიისთვის“ კახეთიდან

**დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების დამთვალიერებელთა რიცხვის ზრდა შეინიშნება, თუმცა ამ მხრივ, გაცილებით წარმატებული მაინც 2012 წელი იყო. დაცული ტერიტორიების სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა, ანა ჯაფარიძემ „ვერსიას“ ვიზიტორთა სტატისტიკური მონაცემები მიაწოდა.**

სტატისტიკური ცნობების თანახმად, დედოფლისწყაროში ჩამოსული ვიზიტორთა რიცხვი შარშან გაორმაგდა — 2012 წელს ვაშლოვანის ნაკრძალს 6 968 ვიზიტორი ესტუმრა. თვალსაჩინოებისთვის, გასული წლების მონაცემებიც სახელდება: 2007 წელს ვაშლოვანის ეროვნულ პარკს მხოლოდ 632 ვიზიტორი ეწვია, 2010 წლისთვის ეს მაჩვენებელი 2 244-მდე გაიზარდა, 2011 წელს კი, 3 000-ზე მეტი ვიზიტორი იყო.

დაცული ტერიტორიების სააგენტოში ასევე აღნიშნავენ, რომ 31 დეკემბერს ვაშლოვანისა და ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკებში ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროცესი დასრულდა. გარემონტდა ვაშლოვანის პარკის ადმინისტრაციული შენობა და ვიზიტორთა ცენტრი, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში კი, ვიზიტორთა ცენტრის საზაფხულო ტერიტორიის რეაბილიტაცია მოხდა.

გამოქვეყნდა ინფრასტრუქტურული სამუშაოების ფინანსური ანგარიშიც. საერთო ჯამში, ვაშლოვანის ნაკრძალში რეაბილიტაციის პროექტის ბიუჯეტმა 87 000 ლარი შეადგინა, ბორჯომ-ხარაგაულისამ კი — 138 200 ლარი. მთლიანობაში, ორი ეროვნული პარკის რეაბილიტაციაზე 225 000 ლარი დაიხარჯა.

როგორც დაცული ტერიტორიების სააგენტოში განმარტავენ, მსგავსი ტიპის სარეაბილიტაციო პროექტები მომავალში გაცილებით აქტიურად გაგრძელდება. ანა ჯაფარიძის თქმით, პროექტი დაფინანსდა კავკასიის ბუნების ფონდის (CNF) და დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ.

**„ვაშლოვანისა და ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკების ვიზიტორთა რაოდენობა ყოველწლიურად მატულობს. 2012 წლის მონაცემებით, ვაშლოვანს ესტუმრა 6 968, ბორჯომ-ხარაგაულის ნაკრძალს კი 28 098 ვიზიტორი. მნიშვნელოვანია, რომ 2013 წლიდან, ბორჯომ-ხარაგაულისა და ვაშლოვანის ეროვნული პარკები ვიზიტორებს განახლებული ინფრასტრუქტურით დახვდება“,** — აღნიშნავს დაცული ტერიტორიების სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი ანა ჯაფარიძე.

ტურიზმის განვითარება საქართველოს როგორც წინა, ასევე ამჟამინდელი ხელისუფლებისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტია. ინფრასტრუქტურის განვითარებაც სწორედ ტურისტების მოსაზიდად ხორციელდება. ამ კუთხით ბევრი საინტერესო პროექტი განხორციელდა და მომავალშიც ბევრია დაგეგმილი.

**„ტურიზმის განვითარება საქართველოს მთავრობის უმთავრეს პრიორიტეტად რჩება“,** — ეს განცხადება ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების ახლადდანიშნულმა მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა თბილისში, სასტუმრო „ჰოლიდეი ინში“ გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა, სადაც 2012 წლის საქმიანობის შედეგები შეაჯამა და 2013 წლის გეგმებზე ისაუბრა.

მისი თქმით, ტურიზმის განვითარებამ დასაქმებას ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, ქვეყანაში მეტ შემოსავალს უნდა მისცეს ბიძგი:

**„ტურიზმი მთავრობის უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტად უნდა დარჩეს და ბოლო უნდა მოეღოს მითქმა-მოთქმას, თითქოს მისი დაფინანსება შემცირდა“.**

ამასთან, 2013 წლის 7 საუკეთესო ტურისტულ მიმართულებას შორის, სადაც სხვადასხვა ქვეყნის სამზარეულოს დასაგემოვნებლად ტურისტები უნდა ჩავიდნენ, საქართველო, ესპანეთის შემდეგ, მე-2 ადგილზე აღმოჩნდა. ესპანეთისა და საქართველოს შემდეგ, შვიდეულში მოხვდნენ ისეთი ქვეყნები, როგორიცაა, იაპონია, პერუ, უკრაინა, სიცილია და გვატემალა. ბლოგერი ელის პასკუალი ქართულ სამზარეულოს ახასიათებს, როგორც ერთ მთლიანობას, შერწყმულს ქართულ ფოლკლორთან, რომელიც გამოირჩევა არომატითა და ტრადიციული მომზადების წეს-ჩვეულებით. კულინარიული ტურიზმი დღეისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და წამყვანი სფეროა. ამ მხრივ ტურისტების ინტერესი ყოველწლიურად იზრდება.

## წყალტუბოელი „ოცნებელები“ ერთმანეთს დაერივნენ

პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ წყალტუბოს რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის არჩევის საკითხზე დაპირისპირება გრძელდება.

თავმჯდომარეობის კანდიდატების მომხრეები ერთმანეთს ნაციონალურ მოძრაობასთან გარიგებაში ადანაშაულებენ და აცხადებენ, რომ „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენლებმა მათთვის არასასურველ კანდიდატს თანხა გადაუხადეს.

27 იანვარს კი, წყალტუბოში, თავმჯდომარეობის ერთ-ერთი კანდიდატის რომეო ნიჟარაძის მომხრეებმა აქცია გამართეს.

**„რომეო ნიჟარაძე არჩევნების პერიოდში, მაშინ, როდესაც ნაციონალური მოძრაობის მხრიდან ზეწოლას განიცდიდა, კოალიციას აქტიურად ედგა გვერდით. ჩვენ, კოალიცია ქართული ოცნების თითქმის აბსოლუტურ უმრავლესობას გვსურს, თავმჯდომარედ რომეო ნიჟარაძე ავირჩიოთ, თუმცა თბილისში ოცნების ლიდერები სულ სხვა კანდიდატებს მოიაზრებენ. დავით საგანელიძეს სურს, ჩვენს ქალაქში თავმჯდომარედ ლაშა ნარჩემაშვილი დანიშნოს, რასაც აუცილებლად გავაპროტესტებთ, რადგან ეს პიროვნება ჩვენი ქალაქისთვის მიუღებელია“,** — განაცხადა ქართული ოცნების აქტივისტმა ნათელა სანაიამ.

შეგახსენებთ, რომ ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს წყალტუბოს რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის პოსტზე 3 კანდიდატურა მოიაზრება. ესენი არიან: ჯეირან ლიპარტელიანი, ლაშა ნარჩემაშვილი და რომეო ნიჟარაძე.

*„პირველი“*

## გაფიცული მძღოლები აქციას თბილისის მერიასთან გამართავენ

გლდანის ავტოპარკში „თბილისის მიკროავტობუსის“ წარმომადგენლებსა და ე.წ. ყვითელი მიკროავტობუსების გაფიცულ მძღოლებს შორის მოლაპარაკება დასრულდა.

როგორც მოლაპარაკების დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს მძღოლებმა განუცხადეს, შეხვედრას შედეგი არ მოჰყოლია. მათი თქმით, მთავარ მოთხოვნაზე, რომელიც არის გეგმის შემცირება, „თბილისის მიკროავტობუსის“ წარმომადგენლებისგან მიიღეს პასუხი, რომ ამას მონიტორინგი სჭირდება. გაფიცული მძღოლების განცხადებით, ეს დროში გაიწელება, ისინი კი გეგმის შემცირებას მყისიერად ითხოვენ.

რაც შეეხება მეორე საკითხს, ინდ/მეწარმის სტატუსის გაუქმებას, მძღოლების ინფორმაციით, ამასთან დაკავშირებით „თბილისის მიკროავტობუსისგან“ მიიღეს განმარტება, რომ ეს პარლამენტის გადასაწყვეტია. მათივე თქმით, ისინი იურისტებთან გაივლიან კონსულტაციას, რის შემდეგაც გაარკვევენ, რამდენად სწორია „თბილისის მიკროავტობუსის“ განმარტება აღნიშნულთან დაკავშირებით.

შეხვედრის მონაწილეების თქმით, მათ ერთადერთ მოთხოვნაზე მიაღწიეს შეთანხმებას — ეს არის სხვადასხვა ხაზიდან გათავისუფლებული მძღოლების სამუშაო ადგილებზე დაბრუნება.

შეხვედრას საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. მათ გააჟღერეს, რომ გაფიცვა 28 იანვარს, 10.30 საათიდან თბილისის მერიასთან გაგრძელდება. მძღოლები ყველა სამარშტრუტო ხაზის წარმომადგენელს მოუწოდებენ, მივიდნენ აქციაზე და ამას ფართომასშტაბიანი სახე მისცენ, რათა მათი მოთხოვნები დაკმაყოფილდეს.

*„ინტერპრესნიუსი“*

ქვათა მატიანე

# კვარშა — ძველი მეცხოვნე

## ცენტრალური ჯავახეთი

გელა ქოქიაშვილი



ტაძრის საერთო ხედი აღმოსავლეთიდან

ჩუნჩხის შემდეგ სოფლის თემშარა მალე მთავრდება. ქვიან და ბალახიან ველზე აქა-იქ, თითქოს, მოჩანს სამხიდიანი მანქანების ნაგზაური, მაგრამ იგი ხელს არ გვაძლევს. ძეგლი, რომელიც გვაინტერესებს, სულ სხვა მიმართულებით, დასავლეთით გვეგულება. წელამდე ბალახში ჩამალულ ლოდებზე რომ არ შეჯდეს, მანქანა ძალიან ნელა და ზიგზაგებით დაგვყავს, რაც მინდორში ორიენტაციის დაკარგვის საფრთხეს ქმნის. საქმეში კომპასს ვრთავთ. 6 კილომეტრის გავლას 1 საათზე მეტ დროს ვანდომებთ, მაგრამ ძეგლს ზუსტად აღმოსავლეთიდან ვადგებით — შესაშური სიზუსტით გვივლია!..

ამ ადგილს და ნაეკლესიარს **კვარშა** ჰქვია. პირველივე შთაბეჭდილება ძალიან მძაფრია — უზარმაზარი, სხვადასხვა ფორმის მუქი რუხი ლოდები მძიმე აბჯარივით აუსხამს ტრიალ მინდორში ეულ მეციხოვნესავით მდგარ ნატაძრალს. ჩნდება ეჭვი, რომ ტოპონიმი „კვარშა“ ქვაშავს უნდა ნიშნავდეს და მიმდებარე ტერიტორიას სახელი სწორედ აქედან გამომდინარე დაერქვა.

ტაძრის აღმოსავლეთი ფასადი 3-ნავიანი ეკლესიის შთაბეჭდილებას ახდენს, რადგან მეტნაკლებად შემორჩენილი მინაშენების გარდა, მას ამ მინაშენთა მსაზღვრელი ღრმა და მაღალი ნიშებიც აქვს. როგორც ნაგებობის შემდგომი დათვალიერებით დგინდება, ეს მინაშენები გვერდითი ნავები კი არა, ორი დამატებითი, მცირე სამლოცველო ყოფილა. თავის დროზე, ისინი ტაძრის გარშემოსავლელი დერეფნის აღმოსავლეთ ბოლოებს აგვირგვინებდნენ. ამ მინაშენებიდან ამჟამად საღად შემორჩენილა მხოლოდ ჩრდილოეთი სამლოცველო, რომელიც ტაძრის მთავარ დარბაზს (ძირითად ეკლესიას) საკურთხევლის მახლობლად გაჭრილი არქიტრავული კარით უკავშირდება. როგორც ძირითადი ეკლესიის, ისე ამ სამლოცველოს საკურთხევლის აბსიდი ნალისებრი შემოწერილობისაა. ასეთივე ყოფილა სამხრეთი სამლოცველოც. ცენტრალური ეკლესია სიმაღლეზეა ორიენტირებული — შიდა სივრცე ზემსწრაფია და აღმოსავლეთით ნალისებრი თაღით და კონქით სრულდება. მომეტებული სიმაღლის აღსაქმელად ხუროთმოძღვარს დამატებითი ხერხი გამოუყენებია — გრძივი კედლების მარტივი, მაგრამ ძლიერი პილასტრები თანდათან დაუვიწროვებია ზევით.

გასული საუკუნის 30-იან წლებში კვარშას ტაძარი ბოლშევიკური ბარბაროსობის მსხვერპლიც გამხდარა — მტკიცედ მდგარი ცენტრალური ეკლესია მარცვლეულის შესანახად გამოუყენებიათ, კირის ხსნარით შეუთეთრებიათ და საკურთხევლის აბსიდში დამატებითი კარი გაუჭრიათ. შეთეთრებული კედლების ერთ-ერთ მონაკვეთში წმინდა გიორგის და წმინდა თევდორეს ფრესკათა აბრისები გამოკრთის, ხოლო ორგან — ასომთავრული ლაპიდარული წარწერა: კონქში — **„ქრისტე შეიწყალე იოვანე ნათანიელი“**, აბსიდის ჩრდილოეთ მხარეს, პილასტრზე — **„ქრისტე შეიწყალე პეტრე“**. ასომთავრული წარწერების ნაწილი შემონახულია ფასადებზეც: აღმოსავლეთ კედელზე — **„ამის ეკლესიის“;** სამხრეთ კარის თავზე — **„ქრისტე შეიწყალე ნათანიელ, შეუნდვენ ცოდვანი“;** დასავლეთ კარის თავზე — **„ქრისტე შეიწყალე ერისთავთ-ერისთავი ივანე“;** დასავლეთ სარკმლის თავზე — **„ქრისტე შეიწყალე ლ-ლ, შეუნდვენ ცოდვანი“**; ჩრდილოეთ კედელზე — **„ქრისტე შეიწყალე გაბრიელ“**; **„ქრისტე შეიწყალე მიქაელ ცოდვილი“.** წარწერები პალეოგრაფიული ხასიათით X საუკუნის აქეთაა შესრულებული, ნაგებობა კი აშკარად ადრინდელია. X საუკუნეს, თითქოს, მხოლოდ ვიწრო სარკმლები მოგვაგონებს, მაგრამ იგივე ფორმა როგორც ზურტაკეტის (საკირის „ყიზილქილისა“), ისე ქვემო ქართლის („ქვემო ახალშენი“) და თვით ჯავახეთის („სირგვა“) ადრეშუასაუკუნეების ძეგლებზეც შეინიშნება. საყდრის


ფასადისა და ინტერიერის ზოგიერთი წარწერა

ასეთ დათარიღებას ერთი გარემოებაც უწყობს ხელს — გარდამავალი და განვითარებული შუასაუკუნეების ჯავახი ოსტატები ქვას ძალიან სუფთად თლიდნენ და ზუსტი მართკუთხედის ფორმას აძლევდნენ, კვარშაში კი მხოლოდ ამის მცდელობა შეინიშნება.

სოფელი ამ სახელწოდებით პირველად მოხსენიებულია XVI საუკუნეში შედგენილ „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“, მაგრამ ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ იგი გაცილებით ადრინდელი დასახლება არაა. საკითხავია, რა ერქვა კვარშას გაცილებით ძველ ეპოქაში?

ტაძრიდან დასავლეთით, 500-ოდ მეტრში, მტკვრის ხერთვის კანიონში ჩამავალი ბილიკი იწყება და ცნობილი ხერთვისის ციხის დანახვაც შეიძლება. ვუყურებ ამ დიდებულ პანორამას და დიდი ხნის წინათ ხერთვისის მკვიდრებთან საუბარი მახსენდება: — ჩვენი უმთავრესი სალოცავი კვარშას ეკლესიაა და ყოველ გიორგობას იქ ვზეიმობთო. მერე სხვა ამბავიც შევიტყე — ხერთვისელებს თურმე საქონელიც კვარშაში დაუდიათ, რადგან მის შემოგარენს, ტრადიციულად, თავიანთ საკუთრებად მიიჩნევენ. **მაშასადამე, ხერთვისი და კვარშა ერთმანეთს ეკუთვნიან!..**

ჩნდება შეკითხვა: კვარშა, ხერთვისი, ცხეკნელა და სხვა მიმდებარე ნასახლარებიც რომელიმე ძველი და დიდი დასახლების შემადგენელი უბნები ხომ არ იყო? რაღა ბევრი გავაგრძელო და, ერთი მეტად საფუძვლიანი ეჭვი მებადება — **აქ ხომ არ იყო დიდი წუნდა — ჯავახეთის უძველესი ცენტრი?**

მეცნიერთა ერთი ნაწილი თითქმის შეთანხმდა იმაზე, რომ ციხე-ქალაქი წუნდა მდებარეობდა ქვევით, უშუალოდ არტაანის ანუ მთავარი მტკვრის კანიონში, სადაც XII-XIII საუკენეების ეკლესია დგას (იმ ადგილს ნაქალაქარიც შეარქვეს). ხსენებულ მოსაზრებასთან შეგუება ძალიან ჭირს. **მტკვრის ნაპირზე და კლდეების ქვეშ არსებული ეს „ნაქალაქარი“ ისეთ ბუნებრივ ქვაბს წარმოადგენს, რომ მტრის შემოსევისას შიგ ამოიხარშები. ესეც არ იყოს, როგორ შეიძლებოდა, რომ მტკვრის კანიონში მჯდარ უფალ-ერისთავს მის თავზე და მისგან მოწყვეტილი ახალქალაქ-ჯავახეთის ზეგანი ეკონტროლებინა? როდის იყო, რომ უძველესი ქართული ციხე-ქალაქები და უმთავრესი პროვინციული ცენტრები ასეთ ადგილზე შენდებოდა? არმაზციხე მტკვრისა და არაგვის ხერთვისში, მთაქართლის თხემზე იყო შეფენილი, სამშვილდე — ქციისა და ჭივჭავის ხერთვისში მდებარე მაღალ კლდეზე, ოძრეხე — ოცხისწყლისა და პანტოვანის ხერთვისის მაღალი მთის სერზე, ბოჭორმა — ივრისა და მისი შენაკადის ხერთვისის თავზე მდებარე მიუვალ კლდეზე. ასე იყო ხუნანი, ურბნისი, დმანისი და უფლისციხე, ასე უნდა ყოფილიყო ჩელეთიც. გამონაკლისი მხოლოდ რუსთავი (ბოსტანქალაქი) და ნოქალაქევია (ციხე-გოჯი), მაგრამ მათ გარშემო ხომ არანაირი მთა არ არის და არც ბუნებრივ ქვაბებს წარმოადგენენ?!..**

წუნდის მდებარეობის განსაზღვრისას ვახუშტი ბატონიშვილის განმარტება აშკარად მცდარია და ვერავინ დაეყრდნობა, მაგრამ ერთიცაა: წუნდა რომ ჯავახეთის მტკვრის ნაცვლად, არტაანის მტკვრის კანიონის თავზე მოეთავსებინა, მაშინ კუმურდოს ადგილმდებარეობაც ზუსტი აღმოჩნდებოდა და გაურკვევლობასაც ნაწილობრივ ავიცილებდით თავიდან. ასე თუ ისე, ვახუშტისეული წუნდის კოორდინატები მართლაც მცდარია, მაგრამ რატომ გვავიწყდება ლეონტი მროველის თხზულების ის მონაკვეთი, სადაც ალექსანდრე მაკედონელის საქართველოში შემოსვლა ზეა საუბარი? „და პოვნა ციხე-ქალაქნი ესე ძლიერნი შუა ქართლ: **წუნდა, ხერთვისი მტკურისა**, ოძრხე მოკიდებული კლდესა ღადოსსა, თუხარისი მდინარესა ზედა სპერისასა, რომელსა ჰქვიან ჭოროხი, ურბნისი, კასპი და უფლისციხე, ქალაქი დიდი მცხეთა და უბანნი მისნი, სარკინე, ციხედიდი და **ზანავი, უბანი ურიათა,** და დედა-ციხე სამშვილდე და მტუერის ციხე, რომელ არს ხუნანი და კახეთისა ქალაქნი“. აქ ისე კი არ უნდა გავიგოთ, რომ ხერთვისი ერთ-ერთი ციხე-ქალაქია, არამედ ისე, რომ იგი წუნდის ადგილმდებარეობის განმარტებაა. მას იგივე დატვირთვა აქვს ამ წინადადებაში, რაც ღადოს კლდეს ოძრხესთვის და ჭოროხს თუხარისისთვის. ტექსტის გადამწერს წუნდის შემდეგ სასვენ ნიშნად თვითნებურად ჩაუსვამს მძიმე. ორიგინალში წინადადების ეს ფრაგმენტი ასეთი უნდა ყოფილიყო: **„წუნდა ხერთვისი მტკურისა** (სხვათა შორის, იგივე შეცდომაა ზანავთან დაკავშირებით. უნდა იყოს: **„ზანავი უბანი ურიათა“**.). „ხერთვისი მტკურისა“ რომ ციხე-ქალაქად მიაჩნდეს ლეონტი მროველს, მაშინ პარალელურად სხვა ხერთვის-ქალაქიც უნდა ეგულებოდეს და გვეუბნებოდეს. ამის საწინააღმდეგოდ ხერთვისი (ხერთვისი ერთვისის, ანუ შესართავის ხანმეტი ფორმაა), როგორც ორი მტკვრის შესართავი, ერთადერთია და ლეონტი მროველისგან დაკონკრეტებას არ მოითხოვდა. და კიდევ: თუ ამჟამინდელი ე. წ. ნაქალაქარის და ხერთვისი ციხის მდებარეობას გავითვალისწინებთ, მაშინ ისე გამოდის, რომ არც თუ ისე დიდ პროვინციას ორი ცნობილი ციხე-ქალაქი ჰქონია და ორთავე მაინცდამაინც გვერდიგვერდ, თანაც კანიონში არსებობდა. განა ეს ლოგიკურია?

ჩემეული დასკვნა, შეიძლება, თამამად გამოიყურებოდეს, მაგრამ ვფიქრობ: **უძველესი დიდი წუნდა მდებარეობდა ჯავახეთის ზეგანზე, არტაანის მტკვრის (ძირითადად მტკვრის ანუ არტანულას) და ჯავახეთის მტკვრის (ფარავნისწყლის) ხერთვისის თავზე, მთელი ჯავახეთის გაბატონებულ ადგილზე. მას აღმოსავლეთიდან დასავლეთით მიმართული სამკუთხედის შემოწერილობა ჰქონდა და ხერთვისში შეცურებული გემის ცხვირს წააგავდა.**

ეს იყო დიდი ქალაქი, რომელიც აღმოსავლეთით ზემო ჯავახეთს აკონტროლებდა, დასავლეთით კი ქვემო ჯავახეთსა და ნიალას. დღევანდელი, დამოუკიდებელი ხერთვისის წინამორბედი ციხე დიდი წუნდის გალავანში ჩადგმული ქვედა თავდაცვითი ბასტიონი იქნებოდა, ცხეკნელა ჩრდილო-აღმოსავლეთის კომპლექსი, ხოლო ქილდა და დახვანდა — სამხრეთ-დასავლეთი კომპლექსი. კვარშა დიდი წუნდის ერთ-ერთი ცენტრალური ტაძარი უნდა ყოფილიყო. რაც შეეხება ამჟამინდელ წუნდას, იგი განვითარებულ შუასაუკუნეებში რაღაც მიზეზით ზევიდან ქვევით ჩასახლებული წუნდელების ერთი ნაწილის მიერ უნდა იყოს დაარსებული.

... კვარშადან ქილდისა და კუმურდოსკენ გვაქვს გეზი.

ტაძრის ხედი ჩრდ. დასავლეთიდან და სამხრ. სამლოცველოს შემორჩენილი ნაწილი

*ავტორის ფოტოები*

# სომხეთიდან ხეირია — საქართველო ოლიმპიადას უმასპინძლებს

სომხეთში გამართულ ფიდე-ს საპრეზიდენტო საბჭოს სხდომაზე ქართული ჭადრაკისთვის ორი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღეს: 2015 წელს 16 წლამდე მოჭადრაკეთა გუნდურ ოლიმპიადას თბილისი უმასპინძლებს. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ ბოლო წლებში, საქართველოში, ფიდე-ს ეგიდით გამართული ღონისძიებების ორგანიზაციამ საჭადრაკო სამყაროს მოწონება დაიმსახურა. ამასთან, 2015 წლისთვის საქართველოს დედაქალაქში ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალია დაგეგმილი და მოჭადრაკეები პარალელურ რეჟიმში იასპარეზებენ.

მეორე მნიშვნელოვანი საკითხი: საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე, ყველაზე ტიტულოვანი ქართველი მოჭადრაკე ვაჟი, ზურაბ აზმაიფარაშვილი ფიდე-ში მსოფლიო ჩემპიონატებისა და ოლიმპიადების ჩატარების კომისიის წევრად დაამტკიცეს.

სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის, ლევან ყიფიანის მოწვევით, უახლოეს პერიოდში, საქართველოს მსოფლიო საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდენტი კირსან ილუმჟინოვი ესტუმრება.

# საქართველო ელიტ-რაუნდშია!

მალტაში დასრულდა ფუტსალის ევროპის ჩემპიონატის წინასწარი ეტაპი. საქართველოს ნაკრები სამგუნდიან ჯგუფში მოხვდა. ელიტ-რაუნდში გასასვლელად, ავთანდილ ასათიანის გუნდს მალტისა და მოლდოვასთვის უნდა ეჯობნა.

თავიდან, საქართველომ ჩინებულად დაიწყო და მალტა 9:0 დაამარცხა, მაგრამ მეორე ტურში მოლდოვასთან მხოლოდ 5-5-ს დასჯერდა. ამგვარად, ბოლო ტურმა ინტრიგა შეინარჩუნა: ჯგუფის გამარჯვებული მასპინძელი მალტისა და მოლდოვის შეხვედრას უნდა გამოევლინა.

ქართველი გულშემატკივრის გასახარად, მალტამ მოლდოვას წინააღმდეგობა გაუწია, მხოლოდ 1:4 დამარცხდა და საქართველოს პირველობას ხელი შეუწყო.

ელიტ-რაუნდის თამაშები 27-30 მარტს, ჰოლანდიაში გაიმართება. მასპინძლების გარდა, საქართველო ჩეხეთისა და ბელორუსის ნაკრებებს დაუპირისპირდება.

# სპორტული გამოცემების ფესტივალი „დინამო არენაზე“

25 იანვარს, ბორის პაიჭაძის სახელობის „დინამო არენაზე“, კოტე მახარაძის მედიადარბაზში სპორტული წიგნების პირველი ფესტივალი გაიმართა.

ამ გაუთავებელ წერაში ყველას გამოგვრჩა, რამდენი ნიჭიერი კოლეგა გვყოლია. გამოფენილი იყო დათო ტურაშვილის, დემიკო ლოლაძის, გარუნ აკოფოვის, ფრიდონ კერვალიშვილის, რევაზ შენგელიას, თენგიზ გაჩეჩილაძის, მამუკა კვარაცხელიას, გაბრიელ ბარჯაძის, გიორგი გორგოძის, ვაჟა დანელიას, დავით თავართქილაძის, ბესიკ ჯანგავაძის, ელენე ბილიხოძის, გურამ ძაგანიას, თამარ ჯიშკარიანის, თამარ ყულუმბეგაშვილისა და სხვათა სპორტულ თემატიკაზე შექმნილი წიგნები.

ყველაზე მოულოდნელი ის გახლდათ, რომ კალამს ხელი ოლიმპიურმა ჩემპიონებმა, რომან რურუამ და კახი კახიაშვილმაც მოკიდეს.

კახი კახიაშვილის თქმით, წიგნი საბერძნეთში ორ — ბერძნულ და ინგლისურ ენაზე გამოსცა.

**„სურვილი მქონდა, წიგნი დამეწერა. მიმაჩნია, რომ სამგზის ოლიმპიურ ჩემპიონს ვალდებულება მქონდა, ჩემი კარიერა, ცხოვრებაში გადატანილი სიძნელეები და ჩემპიონობისკენ მიმავალი მძიმე გზა გამეხსენებინა. წიგნი საბერძნეთში დიდი ტირაჟით არ გამოცემულა, მაგრამ სრულად გაიყიდა. სხვათა შორის, ის დღემდე ქართულად არ უთარგმნიათ.**

**ბოლო ორი წელია, საბერძნეთი დავტოვე და საქართველოში ოლიმპიური ჩემპიონების კლუბს ვხელმძღვანელობ. მიმაჩნია, რომ ოლიმპიური ჩემპიონები ხელისგულზე უნდა ვატაროთ. მათ სოციალური დაცვა ესაჭიროებათ. ამის თაობაზე ახლა შეხვედრები გვაქვს და იმედია, ქვეყნის წინაშე დამსახურების მქონე სპორტსმენები დაფასდებიან.**

**„ოლიმპიურ ჩემპიონთა კლუბი“ ბევრ სასიკეთო საქმეს აკეთებს. ყოველ კვირას სკოლებში დავდივართ და ბავშვებს ჩვენს კარიერაზე, მიღწევებზე, აუცილებელი ბარიერების დაძლევაზე ველაპარაკებით“,** — აცხადებს კახიაშვილი.



# ქეცბაიამ ხიზანიშვილი დააბრუნა

## ეროვნული ნაკრების შემადგენლობა

საქართველოს ეროვნული ნაკრები 2013 წელს პირველ საერთაშორისო შეხვედრას 6 თებერვალს ჩაატარებს. თემურ ქეცბაიას გუნდი ალბანეთს ტირანაში, „ქემალ სტაფას“ სტადიონზე დაუპირისპირდება.

**ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა შემდეგი ფეხბურთელები მიიწვია:**

**მეკარეები:** გიორგი ლორია (თბილისის „დინამო“), ნუკრი რევიშვილი („კრასნოდარი“, რუსეთი), როინ კვასხვაძე („ზესტაფონი“);

**მცველები:** გურამ კაშია (არნემის „ვიტესი“, ჰოლანდია), ზურაბ ხიზანიშვილი („ქაისერისფორი“, თურქეთი), ალექსანდრე ამისულაშვილი (სამარის „კრილია სოვეტოვი“, რუსეთი), უჩა ლობჟანიძე (კრივოი როგის „კრივბასი“, უკრაინა), გია გრიგალავა (ნიჟნი ნოვგოროდის „ვოლგა“, რუსეთი), დავით კვირკველია („გორის დილა“), გულვერდ თომაშვილი („გორის დილა“), ილია კანდელაკი (ბაქოს „ინტერი“, აზერბაიჯანი), მამუკა კობახიძე (ვლადიკავკაზის „ალანია“, რუსეთი);

**ნახევარმცველები:** ბუბა დაუშვილი (ლვოვის „კარპატი“, უკრაინა), ლევან ყენია (ლვოვის „კარპატი“, უკრაინა), სანდრო კობახიძე (დნეპროპეტროვსკის „დნიპრო“, უკრაინა), ჯაბა კანკავა (დნეპროპეტროვსკის „დნიპრო“, უკრაინა), თორნიკე ოქრიაშვილი (მარიუპოლის „ილიჩევეცი“, უკრაინა), დავით თარგამაძე (მარიუპოლის „ილიჩევეცი“, უკრაინა), ნიკა ძალამიძე (ბიალისტოკის „იაგიელონია“, პოლონეთი), ჯანო ანანიძე (მოსკოვის „სპარტაკი“, რუსეთი), ირაკლი ძარია (თბილისის „დინამო“);

**თავდამსხმელები:** ლევან მჭედლიძე („ემპოლი“, იტალია), მათე ვაწაძე („ორჰუსი“, დანია).

ამ სიაში რამდენიმე საინტერესო ამბავია. ქეცბაიამ ნაკრებში დააბრუნა თურქეთის უმაღლესი დივიზიონის „კაისერის“ მცველი ზურაბ ხიზანიშვილი. ამტკიცებენ, რომ 2012 წლის ოქტომბერში, ფინეთში ჩატარებული მატჩის შემდეგ, გუნდის ყოფილ კაპიტანსა და მთავარ მწვრთნელს კონფლიქტი მოუვიდათ.

ფინეთის დედაქალაქიდან ბელორუსის დედაქალაქ მინსკამდე (სადაც 16 ოქტომბერს თამაში გვქონდა) საქართველოს ნაკრების ფეხბურთელებს ავტობუსით 6-საათიანი დამღლელი მგზავრობა დასჭირდათ.

ამტკიცებენ, რომ ხიზანიშვილმა, ამის გამო ქეცბაიას უსაყვედურა, ფედერაციის პრეზიდენტს, ზვიად სიჭინავას კი ერთი-ორი ტკბილი სიტყვა მიაყოლა, კონფლიქტის მიზეზი ეს გახდაო.

სინამდვილეში, რა მოხდა, არავინ ლაპარაკობს, მაგრამ ხიზანიშვილი ნაკრებში 2012 წლის ბოლო მატჩში ეგვიპტესთან მართლაც არ გამოიძახეს.

ასევე საინტერესო აღმოჩნდა ნაკრებში დანიური ლიგის, „არჰუსის“ თავდამსხმელის, მათე ვაწაძის დაბრუნება. ქეცბაია ახალგაზრდა თავდამსხმელით იმ დროს არ ინტერესდებოდა, როდესაც ფორმაში იყო და გოლი გოლზე გაჰქონდა.

ალბანელებთან თამაშის შემდეგ, ჩვენს გუნდს ბრაზილია 2014-ის შესარჩევი ტურნირის მატჩი ელის: 22 მარტს საქართველოს საფრანგეთი უმასპინძლებს.

# საქართველო ბელორუსში ვერაფერს გახდა

მინსკის ყოველწლიურ საერთაშორისო ტურნირზე საქართველოს 17-წლამდელთა საფეხბურთო ნაკრებმა წარუმატებლად ითამაშა. მოულოდნელი ის გახლდათ, რომ გუნდს საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე აღიარებული სპეციალისტი, გიორგი დევდარიანი ავარჯიშებს, რომელმაც წარმატებებს შეგვაჩვია.

საქართველომ მინსკის ტურნირი თავიდანვე უიღბლოდ დაიწყო. პირველ შეხვედრაში ბელგიასთან 2:1-ს იგებდა, საბოლოოდ კი, 2:3 დამარცხდა. წაგება მგზავრობით გამოწვეული დაღლილობითა და ბელგიელთა არაჩვეულებრივი თაობით ახსნეს. ბენილუქსელების შემადგენლობაში, მართლაც, ბევრი მოთამაშეა და ისინი ცნობილი ევროპული კლუბების ღირსებას იცავენ.

მეორე ტურში საქართველომ მასპინძელი ბელორუსი 2:0 დაამარცხა და ფინალში გასვლის მიზერული იმედი შეინარჩუნა, მაგრამ ჯგუფური ეტაპის ბოლო შეხვედრაში, დევდარიანის გუნდი ისევე მოულოდნელად დამარცხდა, როგორც „ტიტანიკი“. ლიტვასთან ჩვენების გამარჯვებას ველოდით, მაგრამ ვაი, რომ მწარედ შევცდით და 0:3 წავაგეთ.

საბოლოოდ, გამარჯვებულის ტიტულისთვის ბრძოლის ნაცვლად, საქართველოს მოლდოვასთან მხოლოდ მე-7-მე-8 ადგილებისთვის ბრძოლა მოუხდა. ეს იყო ბელორუსის ტურნირზე ჩვენი ასაკობრივი ნაკრებებისთვის უჩვეულოდ დაბალი შედეგი.

ბოლო მატჩიც თავგადასავლიანი გამოდგა: „ჯვაროსნები“ 1:0 დაწინაურდნენ, თუმცა მეტოქემ ანგარიში გაგვითანაბრა, მეორე ტაიმის დასაწყისში კი, დაწინაურებაც მოახერხა. ქართველ ჭაბუკებს გამარჯვებისთვის გვარიანი მონდომება დასჭირდათ და, საბოლოოდ, 4:2 იმარჯვეს. თავი გამოიჩინეს გიორგი ჩაბრაძე (18, 57), რომან ჭანტურიამ (50) და ლუკა ზარანდიამ (63), მოლდოველთა რიგებში კი — კატერმა (27) და გოლუბცოვმა (44).

ერთი გამონათება მაინც იყო: შარშან ტურნირზე საუკეთესო ბომბარდირი დავით ჯიქია გახდა, საუკეთესო ნახევარმცველად კი გიორგი პაპუნაშვილი აღიარეს. ტრადიცია წელსაც არ დაირღვა და ინდივიდუალური ჯილდო გვერგო — მინსკის საერთაშორისო ტურნირის საუკეთესო ფორვარდად ლუკა ზარანდია დაასახელეს.

**„ჩემი გვარი რომ გამოაცხადეს, გაოცება სახეზე მეწერა... საპრიზო ადგილზე რომ ვერ გავედით, გვეგონა, ჩვენსკენ არავინ გამოიხედებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ჩვენთვის ელიტრაუნდისთვის მოსამზადებელი ტურნირი იყო, ძალიან გულდაწყვეტილები ვართ, შედეგი ვერ ვაჩვენეთ. ამ თამაშებმა ბევრი რამ გვასწავლა და ბევრი შეცდომაც დაგვანახა. მთავარია, მარტისთვის სათანადოდ მოვემზადოთ, ავსტრიაში კარგი შედეგი ვაჩვენოთ და ჯგუფიდან გავიდეთ“,** — განაცხადა სფფ-ის ოფიციალურ ვებგვერდთან საუბრისას ლუკა ზარანდიამ.

რა თქმა უნდა, ასეთი ტურნირი მოსამზადებლად გამოიყენება. მთავარია, გაზაფხულზე გუნდმა ევროპის ჩემპიონატის ელიტ-რაუნდში კარგად იასპარეზოს. დევდარიანის ყურადღება სწორედ იქითაა მიმართული.

17-წლამდე ნაკრები თბილისში დაბრუნდება და მცირე შესვენების შემდეგ, მოსამზადებელ ეტაპს გააგრძელებს. ელიტრაუნდის დაწყებამდე, გუნდი მარტში კიდევ სამ ამხანაგურ შეხვედრას ჩაატარებს: ჯერ ძალებს გერმანელ თანატოლებთან მოსინჯავს, ხოლო 12 და 14 მარტს თბილისში შვედებს ორ ტესტმატჩში გაეჯიბრება და ელიტრაუნდის სათამაშოდ ავსტრიაში გაემგზავრება. შეგახსენებთ, რომ ჩვენი გუნდის მეტოქეები სერბეთის, ირლანდიისა და ავსტრიის ნაკრებები იქნებიან.

*გვერდი მოამზადა გიორგი მაისურაძემ*




# წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები




## ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 6 | 3 | 8 | 4 | 2 | 1 | 9 | 5 |
| 5 | 1 | 2 | 6 | 3 | 9 | 4 | 8 | 7 |
| 4 | 9 | 8 | 5 | 1 | 7 | 6 | 3 | 2 |
| 2 | 5 | 1 | 9 | 8 | 6 | 3 | 7 | 4 |
| 3 | 8 | 4 | 7 | 5 | 1 | 2 | 6 | 9 |
| 9 | 7 | 6 | 4 | 2 | 3 | 8 | 5 | 1 |
| 1 | 4 | 9 | 3 | 7 | 8 | 5 | 2 | 6 |
| 6 | 3 | 5 | 2 | 9 | 4 | 7 | 1 | 8 |
| 8 | 2 | 7 | 1 | 6 | 5 | 9 | 4 | 3 |

## რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 7 | 5 | 2 | 6 | 4 | 3 | 8 | 1 |
| 3 | 2 | 1 | 9 | 8 | 7 | 6 | 5 | 4 |
| 8 | 6 | 4 | 3 | 1 | 5 | 7 | 2 | 9 |
| 2 | 5 | 8 | 7 | 9 | 6 | 1 | 4 | 3 |
| 7 | 4 | 3 | 1 | 2 | 8 | 9 | 6 | 5 |
| 1 | 9 | 6 | 5 | 4 | 3 | 2 | 7 | 8 |
| 6 | 3 | 2 | 8 | 5 | 1 | 4 | 9 | 7 |
| 5 | 1 | 9 | 4 | 7 | 2 | 8 | 3 | 6 |
| 4 | 8 | 7 | 6 | 3 | 9 | 5 | 1 | 2 |

## საშუალო

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 6 | 4 | 3 | 9 | 2 | 8 | 7 | 1 |
| 3 | 2 | 1 | 7 | 8 | 6 | 5 | 4 | 9 |
| 9 | 7 | 8 | 1 | 5 | 4 | 6 | 3 | 2 |
| 8 | 5 | 9 | 2 | 6 | 3 | 7 | 1 | 4 |
| 7 | 4 | 6 | 5 | 1 | 9 | 3 | 2 | 8 |
| 1 | 3 | 2 | 4 | 7 | 8 | 9 | 6 | 5 |
| 6 | 1 | 7 | 9 | 4 | 5 | 2 | 8 | 3 |
| 2 | 8 | 5 | 6 | 3 | 1 | 4 | 9 | 7 |
| 4 | 9 | 3 | 8 | 2 | 7 | 1 | 5 | 6 |

## ექსტრემალური

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 6 | 7 | 8 | 1 | 5 | 9 | 4 | 3 |
| 1 | 9 | 3 | 2 | 6 | 4 | 8 | 7 | 5 |
| 8 | 5 | 4 | 9 | 7 | 3 | 6 | 2 | 1 |
| 9 | 4 | 5 | 7 | 8 | 1 | 3 | 6 | 2 |
| 3 | 2 | 6 | 5 | 4 | 9 | 7 | 1 | 8 |
| 7 | 8 | 1 | 6 | 3 | 2 | 5 | 9 | 4 |
| 6 | 7 | 2 | 4 | 5 | 8 | 1 | 3 | 9 |
| 5 | 1 | 9 | 3 | 2 | 6 | 4 | 8 | 7 |
| 4 | 3 | 8 | 1 | 9 | 7 | 2 | 5 | 6 |

# ჰოროსკოპი
## 28 იანვარი

**ვერძი** — დღეს უველა ის რჩევა და შენიშვნა გაითვალისწინეთ, რასაც გარშემოყოფებისგან მიიღებთ. აუცილებელია, გამოიჩინოთ ინტერესი და აქტიურობა — რაც მეტ კითხვას დასვამთ, მით მეტ სწორ პასუხს მიიღებთ. შეეცადეთ, დღეანდელი საქმეები ბოლომდე მიიყვანოთ, დღის მეორე ნახევარში კი შეგიძლიათ, დრო სასიამოვნო გარემოში დასვენებას დაუთმოთ.

**კურო** — ამ ნიშნის წარმომადგენლებისთვის დღის მთავარი ტენდენცია სასიკეთოა — ის ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ცვლილებებს უკავშირდება. გაჩნდება საინტერესო იდეები, გაიჩენთ მოკავშირეებსა და თანამოაზრეებს. ზუსტად იცით, რომ მიზნის მისაღწევად თავდაუზოგავი შრომა მოგიწევთ, თუმცა ეს არ გაშინებთ.

**ტყუპები** — ტეუპებს დღეს გაუჭირდებათ ადამიანებთან კონსტრუქციული ურთიერთობის დამყარება, ამიტომ, შეეცადეთ, უველა მნიშვნელოვანი საკითხი ტელეფონით ან ინტერნეტით მოაგვაროთ. დღის მეორე ნახევარში სიტუაცია უკეთესობისკენ შეიცვლება, მაგრამ სჯობს, კონფლიქტების თავიდან ასარიდებლად, შინ დარჩეთ და დრო ოჯახურ გარემოში გაატაროთ.

**კირჩხიბი** — დღეს საკმაოდ რთულ სიტუაციაში აღმოჩნდებით: არჩევანის გაკეთება მოგიწევთ საკუთარ საქმიან ინტერესებსა და შეგობრების დახმარებას შორის. ძნელი იქნება სულიერი წონასწორობის შენარჩუნება, როცა ბევრი სათხოვარი გესმით, რომლის შესრულებაც არ არის იოლი, მაგრამ მათზე უარის თქმაც არ შეიძლება. საღამოს დაძაბულობა მოიხსენით და ცოტა გაერთეთ.

**ლომი** — ლომებს თავის გაკონტროლება საკმაოდ გაუჭირდებათ. მაგრამ თუ გინდათ, საქმეში წარმატებას მიაღწიოთ, ამის გაკეთება ძაინც მოგიწევთ. ადამიანები თქვენგან გაბედულ გადაწყვეტილებებს მოითხოვენ. ნუ გაუცრუებთ მათ იმედებს, მაგრამ იმოქმედეთ ღირსეულად და ფრთხილად.

**ქალწული** — დადგა დდე, როცა მარტო თავს გაცილებით უკეთ გრძნობთ, ვიდრე ვიღაცების კომპანიაში. სხვათა შორის, მარტოობაში კარგადაც ფიქრობთ, გასაოზრებელი კი მართლაც ბევრი გაქვთ. უველაზე უჩვეულო იდეებიც კი იმსახურებს ყურადღებასა და სერიოზულ განხილვას. დღის მეორე ნახევარში სუფთა ჰაერზე გასეირნებაც არ გაწყენდათ საყვარელ ადამიანთან ერთად.

**სასწორი** — ამ ნიშნის წარმომადგენლებს გეძლევათ შანსი, რაღაც შეცვალოთ პირად ცხოვრებაში, ბოლო მოუღოთ გაუთავებელ პრობლემებს, რომელთა გადაჭრის იმედი უკვე აღარც კი გქონდათ. თქვენგან გაბედული და თავზე ხელაღებული ნაბიჯია გადასადგმელი. მაგრამ ამის გაკეთება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ ამისთვის ნამდვილად მზად ხართ.

**ღრიანკალი** — დღეს წარმატებით გაართმევთ თავს საქმეებს, რაც არ ითხოვს შემოქმედებით მიდგომას, მოაწესრიგებთ დოკუმენტებს, მთლიანობაში კი, ეს დღე რუტინული პრობლემების მოსაგვარებლად არის კარგი, მნიშვნელოვანი პროექტების წამოწყება არ ღირს.

**მშვილდოსანი** — მშვილდოსნები დღეს შეძლებენ სიტუაციის უკეთესობისკენ შემობრუნებას. ამისთვის, პირველ რიგში, მშვიდად უნდა გააანალიზონ მოვლენები. მეორეც, მოქმედების აბსოლუტურად ახალი გეგმა უნდა შეადგინონ. აქ თქვენი შემოქმედებითი ნიჭი აუცილებლად გამოგადგებათ, რადგან ნებისმიერი მიზნის მისაღწევად, ორიგინალური მეთოდების გამოყენება უკეთესია.

**თხის რქა** — ამ ნიშნის წარმომადგენლები დღეს უველა დაგეგმილი საქმის განხორციელებას ვერ მოახერხებენ. ამას რაც ადრე მიხვდებით, მით მეტ ენერგიას დაზოგავთ. გაითვალისწინეთ, რომ შეგობრების, კოლეგებისა და ახლობლების დახმარების იმედი არ უნდა გქონდეთ. თუ რამის მიღწევა გსურთ, დამოუკიდებლად იმოქმედეთ. ფინანსური ფონი სასიკეთოა, საეიდლებისგან კი დღეს თავი შეიკავეთ.

**მერწყული** — დღეს უფრო დაკვირვებული იყავით ახალი ნაცნობების შეძენისას — შემთხვევითმა გატაცებებმა, შესაძლოა, სერიოზული პრობლემები შეუქმნას იმ ურთიერთობას, რაც ძალიან ძვირფასია თქვენთვის. შესაძლოა მცირედი ფულადი დანაკარგი. ხარჯების მეკვეთრი ზრდის ერთ-ერთი მიზეზი კი იმაში მდგომარეობს, რომ დახმარებაზე უარს ვერავის ეუბნებით.

**თევზები** — საკმაოდ სასიკეთო და ნაყოფიერი დღეა თევზებისთვის. შეეცადეთ, ისე იმოქმედოთ, როგორც ადრე დაგეგმეთ. ცხადად გამოვლინდება თქვენი ორგანიზატორული ნიჭი, შეგიძლიათ, ნებისმიერი კოლექტივის კარგი ხელმძღვანელი იყოთ. შესანიშნავ ურთიერთობებს ამყარებთ მაღალი თანამდებობის პირებთანაც.

# ნაკლები ხორცი – გაუმჯობესებული კლიმატი

ის, ვინ ხორცის მოხმარებას შეზღუდავს, თავს დიაბეტის, ნაწლავის კიბოსა და გულსისხლძარღვთა სისტემის დაავადებების განვითარების რისკს შეუმცირებს. გარდა ამისა, კარგ საქმეს გააკეთებს კლიმატისთვისაც, — ასეთ დასკვნამდე მივიდნენ კემბრიჯის უნივერსიტეტის სწავლულები. მეცნიერებმა გამოთვალეს, რამდენი ნახშირორჟანგი გამოიყოფა პროდუქტების წარმოებისა დ მათი დამუშავებისას. მიღებული შედეგების მიხედვით, მსხვილფეხა რქოსანი პირუ ტყვის ხორცის დამუშავებისას, 15-ჯერ მეტი ნახშირორჟანგი გმოიყოფა, ვიდრე, მაგალითად, თევზის ან პომიდვრის მომზადებისას და 8-ჯერ მეტი, ფრინველის ხორცის დამუშავებისას. ასე რომ, ხორცის ხშირი მოხმარება არა მხოლოდ საკუთარი ჯანმრთელობისთვის არის საზიანო, არამედ ბუნებისთვისაც.

# ბანაობა უწყლოდაც შეიძლება

სამხრეთაფრიკელმა სტუდენტმა კეიპთაუნის უნივერსიტეტიდან ლუდვიგ მარიშეინმა გელი შექმნა შხაპისთვის, რომელსაც წყლის გამოყენება არ სჭირდება. ახალი საშუალება კანს ისევე ადეზინფიცირებს, როგორც სრულყოფილი ბანაობა. გელი, რომელსაც **DryBath** უწოდეს, კლავს მიკრობებს, ატენიანებს კანს და მას სასიამოვნო სურნელს ანიჭებს. მარიშეინმა უკვე დააპატენტა საკუთარი გამოგონება და ჯილდოც — **Global Student Entrepreneur Awards** მიიღო. ლუდვიგი, უახლოეს მომავალში, საკუთარი კომპანიის დაფუძნებასა და გამოგონების წარმოებაში ჩაშვებას აპირებს. პროდუქცია კი ღარიბ ქვეყნებზე იქნება გათვლილი.




# მილიონერი მეეზოვე მუშაობს

ჩინელი მილიონერი ქალი იო იოჟენი მეეზოვედ მუშაობს და თვეში, გასამრჯელოს სახით, დაახლოებით 220 დოლარს იღებს. ქალი ასე იმიტომ იქცევა, რომ მის ორ შვილს მაგალითი მისცეს. ჯერ კიდევ 80-იან წლებში იოჟენი ჩვეულებრივი ფერმერი იყო. რამდენიმეწლიანი თავდაუზოგავი შრომის შედეგად, მისმა ოჯახმა სამი სახლი შეიძინა, მათი გაქირავებით კი დამატებითი შემოსავალი გაიჩინა. უძრავ ქონებაში განხორციელებული ინვესტიციის შედეგად, იომ საკმაოდ დიდი თანხა იშოვა და მალე მის ანგარიშზე მილიონები გაჩნდა. თუმცა, ამის მიუხედავად, ქალი მუშაობას არ თაკილობს. მისი თქმით, შვილებს კარგი მაგალითი უნდა მისცეს და დაანახოს, რომ უსაქმურობა სირცხვილია. ამის გამო, ჩინელი მილიონერი ყოველ დილით 3 საათზე დგება და ქალაქის ქუჩებს ასუფთავებს.

# სახლი ნაგვისგან ააშენა



აშშ-ს კალიფორნიის შტატში, ქალაქ კამბრიში უჩვეულო ნაგებობა დგას, რომელიც ახლა უკვე ადგილობრივ ღირსშესანიშნაობად იქცა. ეს უნიკალური სახლი ნაგვისგან არის აშენებული, მისი შემქმნელი კი არტურ ბილია. მას ძალიან უყვარდა სხვადასხვა გამოუსადეგარი ნივთის შეგროვება და დროთა განმავლობაში, ნაგავი უზარმაზარ ბარიკადად იქცა. სწორედ მაშინ გადაწყვიტა ბილმა, მისგან სახლი აეშენებინა. როგორც მედია წერს, არტურმა წამოწყებულ პროექტს **Nit Wit Ridge** დაარქვა და მის აშენებას თითქმის მთელი ცხოვრება მოანდომა, რადგან არქიტექტურის არაფერი გაეგებოდა და თან მარტო მუშაობდა. შენობისთვის მეტად უცნაური ფუნდამენტი შექმნა — გიგანტური ორმო ამოთხარა და ის სხვადასხვა სახის ნაგვით აავსო. მას მოჰყვა ტერასების, დეკორატიული თაღების, ბილიკებისა და შადრევნების აწყობა. ეს უცნაური მშენებელი ცოტა ხნის წინ, 96 წლისა გარდაიცვალა. მისი ქმნილება კი ახლა ტურისტების ინტერესის ქვეშ მოეცა და სახლს ყოველდღე უამრავი დამთვალიერებელი აკითხავს.

# სუდოკუმანია

## ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 2 | 1 | | | | | |
| 5 | | 9 | | 6 | | 8 | 4 | |
| 6 | 8 | | | | 2 | | | |
| | 9 | | 5 | 2 | | | 8 | 7 |
| | | | | | | | | |
| 2 | 7 | | | 3 | 6 | | 9 | |
| | | | 3 | | | | 7 | 9 |
| | 6 | 3 | | 4 | | 1 | | 8 |
| | | | | | 7 | 4 | | |

## სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 2 | | | | | 8 |
| 9 | | 1 | | | | | | |
| 3 | | 8 | | 9 | | 5 | | |
| | | 6 | 9 | | | | | 7 |
| 2 | | | 1 | | 4 | | | 6 |
| 1 | | | | | 6 | 3 | | |
| | | 5 | | 6 | | 1 | | 3 |
| | | | | | | 9 | | 5 |
| 7 | | | | | 5 | | | |

## რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 8 | 7 | 9 | | | | | 2 |
| | | | 8 | | | 1 | 9 | |
| | 1 | | | 5 | | | | |
| | | | 7 | | | | | |
| 5 | | 2 | 4 | | 8 | 3 | | 7 |
| | | | | | 2 | | | |
| | | | | 8 | | | 4 | |
| | 9 | 4 | | | 6 | | | |
| 8 | | | | | 9 | 2 | 6 | 3 |

## ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 4 | | 2 | | 1 | | 8 |
| | | 2 | 3 | | | | 5 | |
| 5 | | | 9 | | | | | |
| | 8 | | | 5 | | 6 | | 9 |
| 4 | | | | 6 | | | | 1 |
| 1 | | 6 | | 4 | | | 2 | |
| | | | | | 7 | | | 2 |
| | 6 | | | | 2 | 3 | | |
| 3 | | 5 | | 9 | | 4 | | |

# ღალატის საწინააღმდეგო წამალს შექმნიან

გერმანელი მეცნიერები სუსტი სქესის წარმომადგენლებს პირდებიან, რომ სულ მალე შექმნიან მამაკაცების პოლიგამიურობის საწინააღმდეგო წამალს. ცოტა ხნის წინ, ბონის უნივერსიტეტის სპეციალისტებმა ჰორმონ ოქსიტოცინის დამატებითი თვისებები აღმოაჩინეს, რაც ძლიერ სქესს ღალატის სურვილს დაუკარგავს. სწავლულების ექსპერიმენტში მონაწილეობა მიიღო 86-მა ჰეტეროსექსუალმა მამაკაცმა, რომელთა საშუალო ასაკი 25 წელს შეადგენდა. მოხალისეები ორ ჯგუფად დაყვეს — ერთ მათგანს, სპრეის სახით, ოქსიტოცინი შეუყვანეს, მეორეს უსაფრთხო პრეპარატი. მეორე ჯგუფის წარმომადგენლები ფლირტში თავით გადაეშვნენ, პირველი ჯგუფის მამაკაცები კი ცდილობდნენ, ამ ცდუნებისგან თავი შეეკავებინათ, მეტიც, ისინი ქალებს 75 სმ-ზე ახლო მანძილზე არ უშვებდნენ. მეცნიერები ცდილობენ, ამ ჰორმონის ბაზაზე ახალი პრეპარატი შექმნან, მაგრამ საკითხავი ისაა, ენდომებათ თუ არა ძლიერი სქესის წარმომადგენლებს მისი მიღება.

# ყავა კანის კიბოს წინააღმდეგ

გსურთ, თავიდან აიცილოთ კანის კიბოს ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმით დაავადების რისკი? მიირთვით მეტი ყავა, — აცხადებენ ამერიკელი ონკოლოგები. ასეთ დასკვნამდე მასშტაბური და ხანგრძლივი კვლევების შედეგად მივიდნენ, რომელიც 20 წელს გრძელდებოდა და მასში 112 897 ადამიანი მონაწილეობდა. ამ ადამიანთაგან, კვლევის პერიოდში, 22 786-ს განუვითარდა ბაზალიომა — კანის კიბოს ერთ-ერთი მძიმე ფორმა, რომელიც ნელა ვითარდება და სიკვდილიანობის მაღალი დონით გამოირჩევა. მეცნიერები დარწმუნებით ლაპარაკობენ უკუკავშირზე ბაზალიომას განვითარებასა და საკვებში კოფეინის მოხმარებას შორის. რაც მეტია სასმელში კოფეინის შემცველობა, მით დაბალია ბაზალიომას განვითარების რისკი.

# თვითმფრინავი კაცების გამო ვერ აფრინდა

კურიოზული შემთხვევა მოხდა ლივერპულის აეროპორტში. ჟენევის რეისის მგზავრები, ის-ის იყო, მოეწყვნენ სავარძლებში და ასაფრენად მოემზადნენ, რომ საჰაერო ლაინერის მეთაურმა უცებ გამოაცხადა — სალონში რამდენიმე ზედმეტი მგზავრიაო. ყველამ ერთმანეთს გადახედა უბილეთოს აღმოსაჩენად, მაგრამ ასეთი მგზავრი არ გამოვლინდა. მამაკაცები კი „ჭარბი“ რაოდენობით იყვნენ. თვითმფრინავის ასაფრენი მასის გამოთვლისას პილოტები ვარაუდობენ, რომ ქალი დაახლოებით 70 კილოგრამს იწონის, კაცი კი — 88-ს და ორივე სქესის წარმომადგენლის რიცხვს თანაბრად ანგარიშობენ. მაგრამ ამ შემთხვევაში, ჟენევის რეისზე მგზავრებიდან მხოლოდ 20 მანდილოსანი იყო და 135 მამაკაცი. ამის გამო გაჩნდა ზედმეტი წონაც. საბოლოოდ, 4 მოხალისე ჩავიდა თვითმფრინავიდან. ისინი შვეიცარიაში შემდეგი რეისით გაემგზავრნენ და თან, შექმნილი უხერხულობისთვის, კომპენსაციის სახით, 100-100 გირვანქა სტერლინგიც მიიღეს.

# ციხეში სიგარეტის ქურდობისთვის ჩასვეს

ამერიკის შეერთებულ შტატებში ერთ-ერთი ყველაზე უფრო უცნაური შემთხვევა მოხდა სამართალდამცავი ორგანოების ისტორიაში. მათ ციხეში ჩასვეს ქალი, რომელმაც 22 წლის წინ ერთი კოლოფი სიგარეტის მოპარვა აღიარა. ამჟამად, რობინ ჰოლი გათხოვილია, ორი შვილი ჰყავს და რეაქტიული ძრავების შექმნაზე მუშაობს. 1991 წელს მან აღიარა, რომ ფლორიდაში, WalMart-ის სუპერმარკეტში ერთი კოლოფი სიგარეტი მოიპარა, თუმცა 22 წლის შემდეგ, როცა ის ქმარ-შვილთან ერთად, კნავერლის პორტში, საკრუიზო ლაინერიდან ნაპირზე ჩამოვიდა, ბორკილები დაადეს. პოლიციელები ქალს ტრაპთან ელოდებოდნენ და იმის გამო დააკავეს, რომ სახელმწიფოსთვის 85 დოლარი ჰქონდა გადასახდელი. პასუხს ვაგებ იმაზე, რაც მაშინ ჩავიდინე, მაგრამ არა მგონია, ამისთვის დამაპატიმრონ, — განაცხადა გაოგნებულმა ქალმა. არსებული ინფორმაციით, 1991 წლის შემდეგ ჰოლს კანონი არც ერთხელ აღარ დაურღვევია.

# ნაყინი ყელის სამკურნალოდ

ამერიკულმა კომპანიამ **Jeni's Splendid Ice Creams**, რომელიც ნაყინს აწარმოებს, ამ ცივი ტკბილეულის ახალი სახეობა შექმნა. ეს ორიგინალური დესერტი შედგება თაფლის, პექტინის, ფორთოხლისა და ლიმნის წვენისგან. შემადგენლობაშია ასევე ბურბონი და წიწაკა. თაფლი სიმწარეს ანეიტრალებს და ყელის გაღიზიანებას ხსნის, ციტრუსის წვენი ორგანიზმს აუცილებელ „ცე“-ვიტამინს აწვდის, წიწაკა კი სუნთქვას აადვილებს. ამ გემრიელი წამლის გაყიდვა შტატებში უკვე თებერვლიდან დაიწყება და ის, სავარაუდოდ, 12 დოლარი ეღირება. აღსანიშნავია, რომ ჩეხეთში არსებობს კაფე, სადაც მსურველებს კამისა და შებოლილი ხორცის არომატის ნაყინს სთავაზობენ, არსებობს ასევე ქონდრის, ნივრისა და ლუდის არომატის მქონე ნაყინიც.

# ჰოროსკოპი
## 29 იანვარი

***ვერძი*** — დღე, შესაძლოა, მძიმე აღმოჩნდეს და იმედგაცრუება მოგიტანოთ, თუკი არ მოძებნით საკუთარი პოზიციების გასამაგრებლად გზებსა და მეთოდებს, არ გამოიჩენთ ინიციატივასა და შეუპოვრობას. დიდი ალბათობაა წინააღმდეგობებისა, რაც ახალ სამსახურს შეიძლება ეხებოდეს. საღამოს არ არის გამორიცხული, განწყობა გაგიფუჭდეთ. თუ გექნებათ საშუალება განმარტოებისა, ამ შანსს ხელიდან ნუ გაუშვებთ.

***კურო*** — დღე წარმატებული იქნება: წინააღმდეგობების, უსიამოვნებების გარეშე, ყველაფერს მიაღწევთ, რასაც დაისახავთ მიზნად. ამ ნიშნის წარმომადგენელი მანდილოსნები ეფექტურად გამოავლენენ საკუთარ ნიჭსა და უნარს. სავარაუდოა ახალი გატაცებები ან მსუბუქი ფლირტი... თუმცა ვარსკვლავები გაფრთხილებენ, ემოციებს ენერგიულად ნუ გამოხატავთ — წამოწყებულმა რომანმა, შესაძლოა, ბევრი ტკივილი მოგიტანოთ.

***ტყუპები*** — კარგი დღეა მუშაობისთვისაც და სიყვარულისთვისაც, თუმცა, შესაძლოა, მცირე ფინანსური დანაკარგი. თუ რაიმეს ყიდვას გეგმავთ, ჯერ დაფიქრდით, ღირს კი მასზე ბევრი ფულის დახარჯვა. დღის პირველ ნახევარში, სჯობს, დაწყებული საქმეები ბოლომდე მიიყვანოთ, საღამოს კი გართობისა და დასვენებისთვისაც დაგრჩებათ დრო, შეგიძლიათ თამამად ესტუმროთ მეგობრებს, ამით მათ ძალიან გაახარებთ.

***კირჩხიბი*** — ეს დღე წარმატებებით სავსე უნდა იყოს: თქვენს ნებისმიერ წამოწყებას შესანიშნავი დასასრული ექნება. რაც შეეხება პირად ცხოვრებას, თავს ყველაზე ბედნიერ ადამიანად იგრძნობთ. ხელოვნება უზარმაზარ სიამოვნებასა და სასურველ ნაყოფს მოგიტანთ, ბავშვები კი საკუთარი წარმატებებით გაგახარებენ, თუმცა დიდ დროს ნუ დაკარგავთ გართობასა და შეხვედრებზე.

***ლომი*** — ლომებისთვის, შესაძლოა, მძიმე დღე აღმოჩნდეს. დიდია ალბათობა, პროფესიულ სფეროში უფრო მოკრძალებული ადგილი დაიკავოთ, ვიდრე იმსახურებთ. შეიძლება, შეგხვდეთ წინააღმდეგობები კარიერაში ან მიზის მიღწევაში შეგეშალოთ ხელი.

***ქალწული*** — ჰარმონიული დღეა ქალწულებისთვის. გამოირჩევით ფსიქიკური გაწონასწორებულობით, ტრადიციების მიმდევრობითა და არსებული ნორმების დაცვით. თამამად დაიწყეთ ნებისმიერი საქმე, რადგან წარმატება გარანტირებული გაქვთ. საქმე, რითაც დაკავდებით, არც ისე დაგტვირთავთ, ამიტომ სამუშაო დღის ბოლოს თავს გადაღლილად არ გრძნობთ. საღამოს, შესაძლოა, მეგობრებთან ურთიერთობის გარკვევის აუცილებლობა გაჩნდეს.

***სასწორი*** — დღეს შეგიძლიათ რეალურად, უკეთესობისკენ შეცვალოთ სიტუაცია. კარგი დღეა მსხვილი შენაძენისთვის. ვარსკვლავები გაფრთხილებენ, ემოციების გამოვლენისგან თავი შეიკავოთ, რათა კონფლიქტს თავი აარიდოთ.

***მორიელი*** — დღე განსაკუთრებით საშიშია ჯანმრთელობის მდგომარეობის მხრივ. ფრთხილად და ყურადღებით იყავით: ნებისმიერი ნაკაწრი სხეულზე დიდხანს არ შეგიხორცდებათ, რომ არაფერი ვთქვათ სერიოზულად დაშავებაზე. დღის მეორე ნახევარში გადადეთ ყველა ვიზიტი და შეხვედრა. უფრო მეტი დრო დაუთმეთ ძილსა და დასვენებას.

***მშვილდოსანი*** — წარმატებული დღე იქნება როგორც პროფესიული საქმიანობისთვის, ისე პირადი ცხოვრებისთვის. მშვილდოსან ქალებს ახალი გატაცება ელით, რაც სასიამოვნო იქნება პარტნიორისთვის. ვარსკვლავები გაფრთხილებენ, რომ თქვენთვის დამახასიათებელმა იდეალიზმმა, შესაძლოა, ხელი შეგიშალოთ თაყვანისმცემლის ღირსებებისა და ნაკლის სწორად შეფასებაში. მშვილდოსან-კაცებს კი ემოციების თავშეკავებულად გამოვლენას ურჩევენ — პარტნიორის კრიტიკა კარგია, მხოლოდ გონივრულ საზღვრებში.

***თხის რქა*** — ამ ნიშნის წარმომადგენლებისთვის კარგი დღეა კოსმიური ენერგიის ასათვისებლად, ახალი სიყვარულისთვის, პაქტიებისთვის. მშვენიერი პერიოდია, ასევე ქორწინებისთვის, ჰარმონიული ოჯახური ურთიერთობებისთვის. წარმატებული დღეა მსხვილი შენაძენისთვის, უძრავი ქონების შესყიდვისთვის. დღის მეორე ნახევარში საკუთარ ჯანმრთელობასაც მიხედეთ და რაციონიდან ძნელად გადასამუშავებელი საკვები ამოიღეთ.

***მერწყული*** — კარგი დღეა საქმიანი და შემოქმედებითი აქტიურობისთვის. შესაძლოა, დღეს არავითარ წინააღმდეგობას არ გადააწყდეთ. უსიამოვნო მოვლენები გვერდს ისე აგივლით, ვერც კი შეამჩნევთ. შეგიძლიათ, დროებით დაივიწყოთ კამათი, გაუგებრობა, განშორება. საღამოს საყვარელ ადამიანთან ერთად გაისეირნეთ ან დრო შინ, მყუდრო გარემოში გაატარეთ.

***თევზები*** — წინააღმდეგობებით სავსე დღეა. პირველი ნახევარი, შესაძლოა, წარმატებული აღმოჩნდეს ახალი კონტრაქტების გაფორმებისა და საქმიანი მოლაპარაკებებისთვის. ვისაც გინდათ და რაშიც გინდათ, იმაში დაარწმუნებთ, ამიტომაც, შესაძლოა, პარტნიორებთან მნიშვნელოვანი საკითხები წარმატებით მოაგვაროთ. დღის მეორე ნახევარში საგრძნობლად შემცირდება თქვენი სასიცოცხლო ენერგია, იმედგაცრუებას ძნელად გადაიტანთ და თავდაჯერებულობასაც თანდათან კარგავთ. ამიტომ, სჯობს, ყველა საქმეს მოეშვათ და სიმშვიდეში განმარტოებულმა, დაისვენოთ.

## ამინდის პროგნოზი

| | ორშაბათი | სამშაბათი |
|---|---|---|
| თბილისი | +14 | +10 |
| ქუთაისი | +16 | +13 |
| ბათუმი | +16 | +12 |
| სოხუმი | +14 | +13 |

| | ორშაბათი | სამშაბათი |
|---|---|---|
| თელავი | +13 | +8 |
| გუდაური | 0 | -1 |
| ბაკურიანი | +1 | -1 |
| მესტია | +5 | +5 |

## შენდება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის სავანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატობედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

**ზარის ღირებულება 1 ლარი**

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205. გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი). სს „კორ სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

**უფალმა შეგიწყალოთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!**

ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ

**Appraisal.llc**

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com



იპოვეთ თქვენი www.versia.ge

# ვერსია

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, ნინო ხარშილაძე, რუსუდან შელია, ნელი თორდია, დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – ნათია მზექალაშვილი, გიორგი ლომსაძე

ISSN 1987-8699



მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
ტელ: 590 740999; 2942399
e-mail:dosie@caucasus.net;
dosieversia@caucasus.net
versiaprinti@yahoo.com